

საქართველო

& მსოფლიო

www.geworld.net

ბაზოცხის მთხზაბათობით

ფასი | დარი.

აღ.ფოსტა: info@geworld.net



ნაფი!

3

ფოტო გადაღებულია გლდანის ნაბავსაყრელის წინასაარჩევნო შტურმისას, 2003 წლის 16 იანვარს, 16 საათსა და 45 წუთზე.

გვინდა თუ არა ტოტალური ომი? 4



უგულავა სააკაშვილს ავტოგუსებით ებრძვის 24



**რუსუდან შარაძე:
სელისულვაა
ეაეაჩევი
დახვრიტა!**

22-23

10 Who is who?!

გოთრგი თავდგირიძე:
გვვილოგინანი
მოსახლოგინათვის
გრაღის კი არა,
გაგვის სროლავ
დაუგვაგელია
8-9

ფატი ხუციშვილი:
თუკვეთვი
საქართველოს
საკონსულ
ჩვენს ინგერესებს
არასოდეს იხავს
11

ირმა ინაშვილი:
ქართული
ჟურნალისტიკა
ზურავ ჟვანიავ
გარყვნა
12

ნაბუკო-
მითი თუ
რეალობა?
15

მარინა ბალიაშვილი:
ზვიადთან
შედარავით,
ვივა
ბანალური
სუბიექტია
16

მოსკოვი
ბინა
2,5
მილიარდად
გაიყიდა
28

გიორგი თავდგირიძე:

მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ბრაღის კი არა ბაგის სროლას კი დაუშვებელია



გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს რუბრიკას „საუბრები ექსპერტთან“, სადაც აგვისტოს მოვლენებს სამხედრო ექსპერტები განიხილავენ. დაპირებისამებ გთავაზობთ სამხედრო აკადემიის ყოფილ რექტორთან – გიორგი თავდგირიძესთან ინტერვიუს გაგრძელებას.

– ბატონო გიორგი, როგორ აღმოჩნდნენ ქართული სამხედრო დანაყოფები ჯერ ცხინვალის სამხრეთით, მერე კი გორს აქვთ?

– მარტივად – მათ მიიღეს ცხინვალში შესვლის ბრძანება, მაგრამ დავალება იყო ზოგადი და რადგან ჯარს კონკრეტული იმოცანები არ ჰქონდა, ვერ შეჩერდა ცხინვალში, ვასცდა ქალაქს და აღმოჩნდა ცხინვალის სამხრეთით, ისე, რომ არც უბრძოლია. ამ დანაყოფებში დომინანტი შს სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმი იყო, რომელიც კარგად იბრძოდა, მაგრამ არ ჰქონდა კოორდინაცია შეიარაღებულ ძალებთან. სამუხაროდ, საზოგადოება და ხშირ შემთხვევაში პოლიტიკოსებიც ვერ ასხვავებენ ჩვეულებრივ ბრძოლებს ფართომასშტაბიანი შეტევებისგან. რუსებს აქვთ ერთი ასეთი ილითა – „დაზვერვა ბრძოლით“, ანუ პირველი დღეები შეიძლება ყოფილიყო „დაზვერვა ბრძოლით“ და არა – ფართომასშტაბიანი შეტევა. სამხედრო ხელოვნება სწორედ ისაა, გამოიყენო, რას აკეთებს მონივრულად – ძირითადად შეტევაზე გადადის თუ ტყუილ მანევრს იყენებს შენს შეცდომაში შესაყვანად. მესამე დღეს უმაღლესმა მთავარსარდალმა მოულოდნელად კაპიტულაცია გამოაცხადა. ქართულმა შენაერთებმა შეწყვიტეს ბრძოლა, მაგრამ ჯარმა ვერ გაიგო, მართო ცხინვალის რეგიონი უნდა დაეტოვებინა თუ ყაზარმებში დაბრუნებულიყო, რადგან კაპიტულაციის შემდგომი სხვა ბრძანება არ მიუღია. ყველასთვის ცნობილი ვახდა, რომ კაპიტულაციისთვის ხელი მოწერილია, მაგრამ რუსეთი საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვს მის პრესაში გამოქვეყნებას...

– რატომ?

– ალბათ, სააკაშვილი ფიქრობდა, რუსეთისთვის კაპიტულაციის შესახებ ბრძანებულება ჩუმად გადაეცა და ამით ევაჭრა. ეს გახლავთ სეპარატული მოლაპარაკება! შენი ქვეყნის ინტერესებს ლაღატობ, როდესაც ცდილობ, მონივრულად გეგმავს ჩუმი მოლაპარაკება ანარმოო. ვფიქრობ, სააკაშვილი ანარმოვდა მოლაპარაკებას რუსეთის ხელისუფლებასთან, მაგრამ რუსეთმა უარი თქვა კულუარულ მოლაპარაკებებზე.

– რაზე უნდა ენარმოებიან სააკაშვილის მოლაპარაკება რუსეთის ხელისუფლებასთან?

– იმაზე, რომ შეწყვეტდა ბრძოლას, დათმობდა ყველაფერს, ოღონდ შეენარჩუნებინა სკამი და ძალაუფლება. საქართველოს ხელისუფლებამ კაპიტულაციის შესახებ ბრძანება ინტერნეტში გამოაქვეყნა. ამით დამთავრდა საქართველოს მოქმედება და მას შემდეგ მხოლოდ ევროპა, ამერიკა და რუსეთი მოქმედებენ. საქართველო კი მოკვდა... მთავარსარდალმა გამოაცხადა კაპიტულაცია, ქვეყანას აღარ ჰყავს ხელისუფლება, ჯარი, მოსახლეობა დაბნეულია. 5-დღიანი ომი, როგორც მას რუსეთი და მსოფლიო უწოდებს, რეალურად 2-დღიანი იყო. ამის შემდეგ გამარჯვებული ქვეყანა დამარცხებულ ქვეყანაში იწყებს გარკვეული სტრატეგიული ობიექტების დაკავებას და მან იცის, რომ მონივრულად ნინალმდევრობას არ გაუწევს. ქართული პიარმანქანა ამასაც საბრძოლო მოქმედებად ასალებს და რადგან სურს, შეიქმნას უფრო ძლიერი ქვეყნის იმიჯი, აცხადებს, რომ რუსეთის ჯარი კი შემოდის, მაგრამ ჩვენ მედგარ ნინალმ-

დევობას ვუწვევით. აქედან გამომდინარე, საფუძვლიან ეჭვს იწვევს ის, თუ რატომ მოაწერა კაპიტულაციაზე ხელი სააკაშვილმა, როცა მას ჰყავდა ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები და ჯარშიც არ იყო კატასტროფული მდგომარეობა.

– თქვენი აზრით, რატომ მოაწერა ხელსუფლებამ კაპიტულაციას ხელი?

– იმიტომ, რომ სააკაშვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, როგორი იქნებოდა ამერიკისა და ევროპის რეაქცია და მხარდაჭერა. ამდენად, ვფიქრობ, გასაგებია რატომაც მოაწერა ხელი პრეზიდენტმა კაპიტულაციას. სააკაშვილმა თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად საქართველოს ინტერესებს უღალატა! შესაძლოა, ჩემი შეფასება მცდარია, მაგრამ სხვა ასხნა პრეზიდენტისაგან ჩვენ არ მოგვისმენია. რასაც ის ლაპარაკობს, მხოლოდ ევროპელებზე გათვლილი და ამასაც იმიტომ აკეთებს, რომ სააკაშვილს ძალიან შეეშინდა ჰაავის ტრიბუნალის და მან ტყუილზე აგებული პიარპროპაგანდა დაიწყო. ლიად რომ ეთქვა – ცხინვალში კონსტიტუციური უფლებების აღდგენა მინდოდაო, ქართველები ვაკვირდით და ამაში კატასტროფული არაფერია, მაგრამ ვერ ვაკვირდებთ ევროპელი და ამერიკელი. ჩვენ ემოციურად ვუდგებით ამ საკითხს, ისინი – იურიდიულად.

უცხოელებს უკვირთ, თუ კონსტიტუციური ნესრივის აღდგენას ვაპირებდით, გრადები რატომ გამოვიყენეთ... კონსტიტუციური ნესრივის აღსადგენად არ იყო საჭირო მასიური საარტილერიო ცეცხლის გახსნა! გერმანიამაც კი, რომელიც თითქოს ვერაულოდ დაესხა საბჭოთა კავშირს, ორი თუ სამი საათით ადრე გადასცა ნოტა საბჭოთა კავშირის მთავრობას და აუწყა, რომ იწყებდნენ სამხედრო მოქმედებას. ცხინვალზე თავდასხმამდე ორი საათით ადრე რომ მაინც განეცხადებინა სააკაშვილს, სამხედრო შეტევას ვინცებთ რეგი-

ონზეო, ფორმალურად მაინც ვიქნებოდით მართალი და ვერავინ გვეტყოდა, რომ მიძინარე ცხინვალს გრადი დაეუშინეთ.

– თუ სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო ომი, სამ დღეში რუსეთის ჯარი ამ რაოდენობით როგორ შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაზე?

– რა რაოდენობის ჯარი შემოვიდა? თქვენც პრეზიდენტის მსხვერპლი ხართ! ეს იყო დაახლოებით 6 ათასი ჯარისკაცი, და არა სამოცდაათი ათასი, რომორც ამას ხელისუფლება აცხადებს.

– სამ დღეში შესაძლებელი იყო 6 ათასი ჯარისკაცისა და ტექნიკის შემოსვლა?

– რადგან ნინალმდევრობას არ ვუწვევით, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო. ნინალმდევრობის განცხადებით შემთხვევაში, ისინი გაცილებით დიდ დროს მოანდომებდნენ შემოსვლას. 9 აგვისტოს ქართული სამხედრო ნაწილი მოიხსნა როკის ხეობიდან და როკის გვირაბი უკვე ადვილად ფორსირებადი ვახდა. შემდეგ კაპიტულაცია გამოაცხადეთ და რუსებმა უკვე იცოდნენ, რომ საქართველო არ გაუწევდა მათ შემოსვლას ნინალმდევრობას.

– და რა გარანტია ჰქონდა რუსეთს, რომ ქართული მხარე შეასრულებდა ნინალმდევრობის არგანუების პირობას?

– როგორც ჩანს, ჰქონდა მყარი გარანტიები, თორემ როგორ შეიძლება, ამხელა ფრონტის ხაზი ეკავოს მომხდურს და მისი საფუშაგოები თითო ტანკით იყოს გამაგრებული?! ქართულ შეიარაღებულ ძალებს რომ ჰყოლოდა სამხედრო ლიდერი და მესამე დღეს მოეკრიბა ძალები, საკმაოდ მძიმე დარტყმას მიაცენებდა მონინალმდევრს; ისე ამოუღებდა რუსების გაბნეულ ქვედანაყოფებს, რომ გონზე მოსვლას ვერ მოასწრებდნენ. ამიტომაც ვასკენი – რუსებს ჰქონდათ გარანტია, რომ ქართველები საბრძოლო მოქმედებებს ვეღარ განახლებდნენ.

ეს ცალსახად იკითხებოდა მათ მოქმედებაში. მას შემდეგ, რაც გორი დაიკავა, რუსეთი ატარებდა ჩვეულებრივ სამშვიდობო ოპერაციას, და აფართოებდა თავის ექსპანსიას თითო-ორი ტანკით. იგოეთთან, ხაშურის მიმართულებით რაც სოფლები დაიკავეს რუსებმა, ყველგან თითო ტანკი და მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები მოქმედებდა.

– თუ ჯარი და ხელისუფლება ნინალმდევრობას ვერ გაუწევდა რუსულ ჯარს, მაშინ რატომ არ შემოვიდნენ ისინი თბილისში?

– რუსეთს აქვს გროზნოს მაგალითი. ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო თბილისში, უკვე სხვა სახის ბრძოლა დაიწყებოდა. თბილისი ხელისუფლების კონტროლიდან გამოვიდოდა და რუსებს ძალიან გაუჭირდებოდათ. მილიონახევრანი ქალაქის ალება რთულია. ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. გახსოვთ სტალინგრადის მაგალითი?! მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სტრატეგიული სამიზნე იმ დროს გერმანიისთვის სტალინგრადი იყო, ქალაქის ალება ძალიან გაუჭირდათ. ვერ მოხერხდა გროზნოს ალება, ვიდრე პოლიტიკური ვითარება არ შეიცვალა და ამისთვის რუსეთს მთელი თავისი შეიარაღებული ძალების მობილიზება დასჭირდა. საქართველო კი ჩეჩნეთზე გაცილებით დიდია. რა თქმა უნდა, ჩვენ მოსკოვს ვერ ავიღებდით, მაგრამ ცხადია, რომ თბილისში საომარი მოქმედებების შემთხვევაში რუსეთი პოლიტიკურად დამარცხდებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის გეგმაში თბილისში შემოსვლა თავიდანვე არ შედიოდა. თბილისისკენ მხოლოდ იმიტომ წამოინია, რომ ახალგორის დაჯგუფება ყოველგვარი ექსცესისგან დაეზღვია. სამუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, რაღაც მითი გამოიგონოს და სიმართლედ გაასაღოს. სწორედ ეს იწვევს დასავლეთის უნდობლობასაც. სამუხაროდ, თუ სააკაშვილი ჰაავის ტრიბუნალზე აღმოჩნდება, ამით ქართული სახელმწიფოც დაზარალდება.



„Who is who“, ანუ ვინ არის სუ?

„ზევით – არ შეუძლია, ქვევით – არ უნდათ!“ – კლასიკურად ქცეული რევოლუციური სიტუაციის ეს ფორმულა ეკუთვნის კაცს, რომლის ნეშტი, აი, უკვე მწველია, წვეს გრანიტის მავზოლეუმში რუსეთის ცენტრში, მისი დედაქალაქის მთავარ მოედანზე. ფორმულა მიუთითებს ერთგვარ კრიზისულ სიტუაციაზე, როდესაც „ზევით“ (ხელისუფლება) არ შეუძლია, მართონ ქველთა უნდა, „ქვევით“ (ხალხი) კი – იცხოვროს ქველთა უნდა. ფორმულის გამოყენება დღევანდელ საქართველოსთან დაკავშირებით შეიძლება სრულად, მხოლოდ საჭიროა, შეიცვალოს შესაბამისი ასე: „ზევით – არ უნდათ, ქვევით – არ შეუძლიათ!“ ეს იგი: „ზევით“ (ხელისუფლება) – არ უნდა წასვლა, „ქვევით“ (ხალხი) – არ შეუძლია მისი გადაწყვეტა...

ჰოდა, „ზევით“-თან დაკავშირებით ჩვენთან ყველაფერი განსხვავდება: საქართველოში პირველი წელიწადი არაა, რაც არის ხელისუფლება საპრეზიდენტო, ხელისუფლება საკანონმდებლო, ხელისუფლება აღმასრულებელი, მაგრამ არაა ხელისუფლება პარლამენტული რუსეთისაგან განსხვავებით, სადაც ასეთი ხელისუფლება არის! რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება შეიძლება არ არის დემოკრატიის „შუქურა“, სამაგიეროდ, ყველა მისი მოქმედება მიზნად ისახავს, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხისა და რუსეთის კეთილდღეობას. დარწმუნებული ვარ, საქართველოში რომ ყოფილიყო ეროვნული ინტერესებით მოქმედი ხელისუფლება, ქართველი ხალხი დაუფიქრებლად იტყოდა უარს დანაპირზე ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებზე. დღეს კი, ყველაზე დიდი, რაც შეუძლია გააკეთოს ხელისუფლებამ საქართველოსთვის და პირადად თავისი თავისთვის – ესაა გადადგომა და მონასტერში წასვლა – მონაწილის საკუთარი ცოდვები...

რაც შეეხება „ქვევით“-ს, საქართველოში არიან მოქალაქეები, არის საზოგადოება, მაგრამ არაა სამოქალაქო საზოგადოება! იგი ვერ ჩამოყალიბდა, ვინაიდან მოქალაქეთა კონსოლიდაცია სრულფასოვან სამოქალაქო საზოგადოებად მრავალჯერ შეწყდა რევოლუციებით, ომებითა და გადატრიალებებით,

რომლებიც ხდებოდა შიგნით, ხაზს ვუსვამ – ქვეყნის შიგნით, რადგან სხვადასხვა გარეგანი კატაკლიზმა მხოლოდ ამჭიდროვებს, ერთი ქვეყნის მოქალაქეთა კონსოლიდაციას ახდენს გარედან მომავალი საშიშროების წინააღმდეგ. და, როგორც შედეგი, დღეს საქართველოში არის ხალხი (დემოსი), არის ხელისუფლება (კრატოსი), მაგრამ დღემდე არაა სხალხი ხელისუფლება, ესე იგი – დემოკრატია! საზოგადოება დაიღალა და განზიარებულია: მას ხშირად ატყუებდნენ ვაი-პოლიტიკოსები, იყენებდნენ „საზარბაზნე ხორცად“ თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ხელისუფლება და ოპოზიცია საქართველოში, სამწუხაროდ, აღმოჩნდა ერთი პარტიის ორ ნახევრად გამოხილი და მიხეილ სააკაშვილის უდავო დამსახურება არის ის, რომ მან, როგორც არასოდეს არავინ, გააშინა ქართული პოლიტიკის ტებლიშმენტის არსი, პოლიტიკური სიტუაცია ქვეყნის შიგნით მიიყვანა გროტესკამდე და გვიჩვენა – „Who is who“, ანუ „ვინ ვინ არის!“ საქართველოს პრეზიდენტის ამასწინანდელი გულგრილი აღიარება კი გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსთან“ იმის შესახებ, რომ ისეთი ხელისუფლების დასამხობად, როგორც დღევანდელ საქართველოშია, მას სამი თვე დასჭირდებოდა, გაახარებ-

და, ალბათ, ბელადსაც მაგზო-ლუმიდან მოსკოვის წითელ მოედანზე (ცოცხალი რომ ყოფილიყო, რასაკვირველია)... „ქვევით“-ს არ შეუძლია „ზევით“-ის გადაყენება იმიტომ, რომ დღეს საქართველოში არაა არც ერთი ლიდერი, არც ერთი პარტია ან მოძრაობა, რომელიც შეაძლებდეს ხალხის ბაძოქლას! ყველა მათგანმა მოახდინა თავისი თავის კომპრომეტირება წარსულში: როგორც მინიმუმი – პროვინციალიზმით, გათიშულობითა და გაუბედაობით, როგორც მაქსიმუმი – სიმბდალით, მოტყუებითა და გამყიდველობით! ხალხს მოსწყინდა პაიკად ყოფნა მათ პოლიტიკურ თამაშებში. ათასგზის მართალი იყო სააკაშვილი, როცა ოპოზიციას „ფარჩაკები“ უწოდა, ესე იგი თბილისური ქალაქური სლენგიდან რომ ვთარგმნოთ, ფრაზები! სხვა რა შეიძლება კიდევ ვუწოდოთ: – მათ, ვისაც რამდენჯერმე ზედიზედ საპროტესტო მიტინგებზე უშედეგოდ გამოჰყავდა 300 ათასამდე კაცი?! – მათ, ვინც საკუთარი ამბიციებისა და ფობიის გამო ვერ შეძლო გაერთიანება?! – მათ, ვინც დღეში ორჯერ იცვლის პოლიტიკურ ორიენტაციას, დახტის პარტიიდან პარტიაში, ოპოზიციიდან – ხელისუფლებებში?! – მათ, ვინც, მიუხედავად იმისა, რომ სისხლისაგან იცლება სამშობლო – დაქუცმაცებული, გაყიდული, გაღანძვლილი, ასეულობით ათასი ლტოლვილით, დაცარიელებული სოფლებითა და განანაგებული ტყეებით – აწყობს ყოველდღიურ ტელეშოუებს, მიღება-„ტუსოვკებს“ ციხის კამერის მსგავსად სტილიზებულ კომფორტულ ოთახში ტანსაცმლის საკუთარი კოლექციის ჩვენებით?! – მათ, ვინც დღიდან დღემდე პრესასა თუ ტელევიზიაში „ნარმოგვიჩენს“ თავს – აწყობს სალაყბოს, განიხილავს მაღალმატერებს, მაგრამ ვმინია სიმართლის თქმისა, თუმც კი იცის?! დღეს, როცა ხელისუფლება ცაიტნოტშია, ფრაზებმა, როგორც ჩანს, ოკეანის გაღმადან მიიღეს ახალი დაკვეთა: დაიწყოს სეპარატიზმი – „დემოკრატიული საქართველოს“ პროექტის გამოყოფა მისი ხელმძღვანელის – მიხეილ სააკაშვილისაგან. მითომღი – პარლამენტისა და პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები. კანდიდატურა – ირაკლი ალასანიია, რომელსაც გამყრელიძე უსუფაშვილის მსგავსად აიყოლიებენ ძალები, ვისაც ვარსკვლავიანი ცაც კი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშა ჰგონია: ბურჯანაძე, გაჩეჩილაძე, ნოღაიძე და დანარჩენი „ვარსკვლავურ-ზოლე-

ბიანი“ პოლიტიკური სპექტრი. ამიტომ ისინი დღე და ღამ შეჰყვრობილი არიან რიგგარეშე არჩევნების იდეით, არ ითვალისწინებენ იმას, რომ სააკაშვილს შეუძლია ითამაშოს დასწრებაზე: – გაძლიერებული მილიტარი – რიტორიკა („ომი არ არის წაგებული იმიტომ, რომ ჯერ არ დამთავრებულა!“ – საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლიდან პარლამენტში მიმდინარე წლის 13 თებერვალს); – ევროპაში ამერიკის სახმელეთო ძალების მთავარსარდლის, გენერალ კარტნერ ჰამის განცხადება პენტაგონის მიერ ქართველი სამხედროების მომზადების ახალი ეტაპის საკითხის განხილვის შესახებ პენტაგონის მიერ; – ავღანეთში ქართული კონტინგენტის სავარაუდო გაგზავნის შესახებ და სხვა ღონისძიებანი წაჭოსთან პარტნიორობის ფარგლებში; – განუწყვეტელი ინციდენტები და პროვოკაციები კონფლიქტურ ზონებში; – ყოფილი ბიოლოგის (ამჟამად – სამხედრო ექსპერტის...) პაველ ფელგანგაუერის მორიგი გაფრთხილებანი უახლოეს თვეებში საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებათა განახლების საშიშროების შესახებ (ისევე ყოფილი ბიოლოგი!) მონუმბის მისი შესახებ, რომ უკიდურესად დაძაბულმა სიტუაციამ ნებისმიერ დროს შეიძლება იფეთქოს 2008 წლის აგვისტოდ... და მაშინ პრეზიდენტისა და პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები იქნება ან ბოლო მოეღება, ან მათში, თუნდაც, ნაკლები უპირატესობით, გაიმარჯვებს მიხეილი და მისი გუნდი! მაგრამ ახალ ომში წაგების შემთხვევაში მათ ელოდებათ კედლები კიდევ უფრო საიმედო ურდულეობით, ვიდრე ეს მონასტრებს აქვს, ანდა გადასვლა ხარისხობრივად სხვა მდგომარეობაში სადაც კედლები და ურდულეობა საერთოდ აღარ არსებობს... რუსეთი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ავღანეთის საკითხზე მოლაპარაკებით (თალიბების წინააღმდეგ თავისი ხელშეწყობის გაცვლით ამერიკის მიერ საქართველოს რუსეთის ინტერესების ზონად აღიარებაზე) დაამთავრებს დანებებულ საქმეს და „ჩაექცავს“ „კავკასიის მტკიცე ნურს“: ამისათვის კი მას გამალაზიანებელი საბაბი, რასაც ერთგულად სთავაზობს დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება (იხ. ზემოთ), თავზე საყრელი აქვს!

მათ შეიძლება კიდევ მიემატოს ახლებიც: შეუძლებელია, ამ უკანასკნელ ხანებში არ შეამჩნიო სამხედრო კომპაქტურად დასახლებული (დაახლოებით 150 ათასი) საქართველოს სამხრეთი რეგიონის (სამცხე-ჯავახეთის) გააქტიურება, სადაც შეიძლება დაიწყოს არასასურველი პროცესები და, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჯერჯერობით არაა „სასწრაფო რისკები“, ამ რეგიონის მოსახლეობას უკიდურესად ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რამდენად დაუცველია საქართველო ჩვენი პოლიტიკოსების ხელში (ეს განსაკუთრებით საგრძნობია სომხური მედიის მიხედვით). ესეც თქვენი ახალი საბაბი იქ რუსეთის ჯარების შესაყვანად, რათა დაიცვან სამოქალაქო მოსახლეობა – ეთნიკური სომხები, რომელთა ისტორიული სამშობლო (სომხეთი) რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, აგრეთვე სომეხი პროვინციის რუსეთის მოქალაქეები, რომლებმაც დიდი ხანია მიიღეს რუსეთის პასპორტები, როცა მსახურობდნენ და მუშაობდნენ ადრე ახალქალაქში დისლოცირებულ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზაზე. ეჭვგარეშეა, სომხეთის ინტერესების გარდა, ამავე დროს გათვალისწინებული იქნება ინტერესები: – აზერბაიჯანისა, რომელსაც, ავტონომიად სამცხე-ჯავახეთის გამოყოფის შემთხვევაში, დაუბრუნებენ ყარაბაღს (ან მის დიდ ნაწილს) და ნახიჩევანს; – თურქეთისა, რომლის დასაკმაყოფილებლადაც რუსეთი (რუს რესპუბლიკის – ხელშეკრულების მხარის – სამართალმემკვიდრის) ახალი რეალობის გათვალისწინებით (იურისპრუდენციის ენაზე – ახლად წარმოჩენილ ვითარებასთან დაკავშირებით) შეიძლება დათანხმდეს მოსკოვისა (1921 წლის 16 მარტის) და ყარსის (1921 წლის 13 ოქტომბრის) ხელშეკრულებათა დენონსაციაზე, რაც გამოიწვევს საქართველოსგან აჭარის ავტონომიისა და სხვა, შედარებით მცირე ტერიტორიების გამოყოფას. „FAILED STATE“-ის სტატუსი, ესე იგი – არსებობის სახელმწიფო – აი, რა გვეუქმრება და ამიტომ მე კიდევ ერთხელ მინდა, ვთხოვო საქართველოს ხელისუფლებას: არ გადადგას წინდაუხედავი ნაბიჯი, რომელიც უკვე ნამდვილად აღმოჩნდება უკანასკნელი – როგორც საქართველოს მთლიანობისთვის, ისე თავად მისთვის! ვთხოვ პრეზიდენტს, და არა ოპოზიციას, საზოგადოებრიობას ან მედიას, იმიტომ, რომ ამ სიტუაციაში, ოფიციალური ხელისუფლების გარდა, როდესაც დრო წამლულა და მოკიდებულია, არავის ძალუძს „გორდის კვანძის“ გახსნა! ის კი, რაც შეიძლება მოხდეს, თუ კი არ გავხსნით მას, არამედ გადავჭრით, – მე უკვე ვთქვი...


არსო
სიღირებულებები

საქართველო

გსურთ, გაგვიჩიაროთ თქვენი მოსაზრებები? ლაზიკიკაპო: 92-37-58, ან მოგზავნეთ: info@geworld.net

“ყოველ დილით შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც კვირაში 5 დღე წვიმიანია, დაინახავთ ქართველ ქალთა გრძელ მწკრივს ტომრებნამოკიდებული საქონლით, ტვირთის სიმძიმით წელში მოდრეკილებს, ტალახსა და მტვერში ამოსვრილებს, როგორ მიიზღაზნებიან უახლოესი ბაზრისკენ.”

ფატი სუსიფილი: თურქეთში საქართველოს საკონსულო ჩვენს ინტერესებს არასოდეს იცავს



სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოდან უცხოეთში წასულ მოქალაქეთა 60% ეროვნებით ქართველია. ქართველთა მასობრივი მიგრაცია ვარდების რევოლუციის შემდეგაც შეუქცევადია, რასაც უცხო ქვეყნების საკონსულოებთან მდგარი ხალხმრავალი რიგები მოწმობს. საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა 85% 20-დან 50 წლამდე ასაკისაა. ასე რომ, წასულნი ყველაზე აქტიურ და ნაყოფიერ წლებს სამშობლოს გარეთ ატარებენ, რათა მოიპოვონ „პური არსობისა“.

ქართველ ემიგრანტთა ცხოვრების შესახებ გვიამბობს ერთი იმათგანი, 15 წელი უცხოეთში მყოფი ქალბატონი ფატი ხუციშვილი:

– ქალბატონო ფატი, რატომ და როგორ წახვედით უცხოეთში?

– 15 წელი გავიდა, რაც სამშობლოდან წავედი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ თურქეთში ამდენ ხანს დავრჩებოდი. ზოოვეტერინარი გახლავართ, გორში პროფილით ვმუშაობდი, სიმდიდრე არ მქონდა, მაგრამ არც მიჭირდა. ქვეყანაში სისტემის ნგრევასთან ერთად მეცხოველეობის ფერმიბიც დაიშალა. უმუშევარი დავრჩი. ძველი დანაზოგი მცირე ხანს მომეყვა, მერე კი... ფეხსაცმელიც აღარ მქონდა, გარეთ რომ გავსულიყავი. რა არ ვცადე, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. ისევ მეგობრებმა შემაგულიანეს, რამე საქმე დაკინებოთო. ამ მიზნით, რაც მებადა, გავყიდე და ფულად ვაქციე. ხუთი ქალი შევკავშირდი, იაპონური ტელეფონის აპარატები ვიყიდეთ თურქეთში გასატანად. ფული ვისესხეთ და ვიზებიც გავაკეთეთ. იმედით, რომ მოგებას ვნახავდით, ტრაპიზონს გავეშურეთ. სარფის საბაჟოსთან ჯოჯოხეთი დაგვხვდა, ერთი კვირა ჩახუთულ ავტობუსში ვისხედით, ყოველგვარ აუცილებლობას მოკლებულნი, ტუალეტიც კი არ იყო. მაშინვე ფერი ვიცვალეთ. მინიმალურ ჰიგიენურ პირობებს მოკლებულნი, ჭუჭყიანები, ფეხებდასიებულინი, ნერვებდაწყვეტილნი საზღვრის გადალახვას ვცდილობდით. საოცრება ის არის, რომ სხვა როგონების წარმომადგენლები – რუსები, სომხები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, ერთივინ ვიზაში 10 დოლარს იხდიდნენ, როცა ქართველები, რომლებიც უშუალოდ მოსაზღვრეები ვართ, ასეთ ვიზაში ოფიციალურად 30 დოლარს ვიხდიდით.

– თქვენი ბიზნესი როგორ წარმოგება?

– ტრაპიზონში ჩასულემა ბაზარში დახლო ვიქირავეთ, ჩვენი გამოუცდელი ვაჭრობაში, ენობრივი ბარიერი, უცხო ჩაცმულობა, ქალური სითამამე მუსლიმანურ ქვეყანაში თურქ მყიდველში დაცინვას იწვევდა. ამას ისიც დაემატა, რომ ნაყიდი აპარატურა იაპონურის ნაცვლად კორეისა აღმოჩნდა. კლიენტს კი პატენტის არ სურდა. ზარალი ვნახეთ. ვალსაც ვერ ვფარავდით. ნირნამხდარნი და იმედგაცრუებულნი დაბრუნებას ვეღარ ვებდავდით... დაიწყო სიმწრით სავსე დღეები.

უსახსრონი და ულუკმაპურონი სამუშაოს ვეძებდით. ღმერთმა არ მიმატოვა და ლაზების მხარეში, ქალაქ არდაშენში, სასტუმროს დამლაგებლად დავინყე მუშაობა. როგორც უცხოელს, ყველაზე ბინძური და უხერხული ადგილების დალაგება მიხდებოდა, თანაც ადგილობრივებზე ბევრად მცირე გასამრჯელოთი, თითქმის 18 საათს ვმუშაობდი. სასტუმროში ვცხოვრობდი, მაგრამ კვების ხარჯს ვიხდიდი. ფულის დაზოგვის შანსი არ მქონდა. 5 წელი ამგვარი ყოფით სიცოცხლეს ვინარჩუნებდი.

– ამ ხნის განმავლობაში ოჯახთან კონტაქტი არ გქონდა?

– მხოლოდ სატელეფონო კავშირი. ოჯახიდან მსაყვედურობდნენ, რომ ჩემი მოვალეობი იარაღის მუქარით ანუხებდნენ. გულდამძიმებული ვფიქრობდი, ფულის შოვნის უკეთესი გზა მომენახა. თურქული ენაც შევისწავლე. ქართველი ქალებიც მოვძებნე, რომლებიც თავს ვაჭრობით ირჩენდნენ – ერთგან დეფიციტურ საქონელს იაფად ყიდულობდნენ და მეორე ადგილზე ძვირად ყიდდნენ. ამგვარი ქართველი მოვაჭრეებიც საკონსულატის ქალაქების – ფინდიკლის, რიზეს, ფაზარის, არდაშენისა და ჩაილერის ბაზრობები.

ყოველ დილით შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც კვირაში 5 დღე წვიმიანია, დაინახავთ ქართველ ქალთა გრძელ მწკრივს ტომრებნამოკიდებული საქონლით, ტვირთის სიმძიმით წელში მოდრეკილებს, ტალახსა და მტვერში ამოსვრილებს, როგორ მიიზღაზნებიან უახლოესი ბაზრისკენ. ძირითადად, ფეხით დავდივართ, ფული რომ დავზოგოთ. ოფლითა და სისხლით დანაზოგი კი საქართველოში იგზავნება. ესაა ერთადერთი საშუალება, საკუთარი სისხლი და ხორცი, მოხუცი დედ-მამა, არასრულწლოვანი შვილები, სმირად



ორიენტირდაკარგული მეუღლე შიმშილისგან იხსნა.

– ამგვარი შრომით თვეში რამდენს შოულობთ?

– დაახლოებით 300 დოლარს. თურქეთში თუ ვაჭრობ, პოლიციასთან ურთიერთობა რთულია. ისინი ახალგაზრდა ქალებს, ასე – 40 წლამდე, საეჭვოდ მიიჩნევენ და ხშირად უმიზეზოდ შეურაცხყოფენ, ამცირებენ. ამგვარი დამოკიდებულება კი არც თუ იშვიათად სკანდალით მთავრდება. ღირსებაშეღაცებულმა თუ საქართველოს საკონსულატში ჩავიღვე, პასუხის ღირსადაც არ ჩავთვლიან. საქართველოს საკონსულატო თურქეთში ქართველ ემიგრანტთა ღირსებას, უფლებებსა და ინტერესებს არასოდეს იცავს. იყო შემთხვევა, როდესაც ამგვარ თავგადასავალში ერთერთმა ჩვენგანმა პასპორტი დაკარგა თუ განგებ ამოაცალეს, ღმერთმა უწყის... მან კი საკონსულატს მიაკითხა. იქ კი უსირცხვილოდ, ყველაფრის გაუთვალისწინებლად, 3-დოლარიან პასპორტში 50 დოლარი მოსთხოვეს. ეს თანხა იმ მდგომარეობაში მას ნამდვილად არ ჰქონდა, ისევ ჩვენ შევეუფრავით.

ერთ მეგობარს დედა გარდაეცვალა, წამოსასვლელი ფული არ ჰქონდა. პანაშვიდი იქ გადაეუხადეთ. ვისხედით ერთად და გულამოკვნილნი დავტიროდით ჩვენს ყოფას, მიტოვებულ სამშობლოს, გათიშულ კერას, დედებს, რომელთაც ჩვენი ცრემლი არ ეღირსათ უკანასკნელ გზაზე, რადგან უცხოეთს ჩავრჩით.

15 წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შევძელით, ჩვენი გაგვეტანა. ერთი ქართველი გოგონა ჩამოვიდა, ვინმე თამარი, ზედმეტ სახელად – „პასკა“. ჩამოსვლის შემდეგ შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო. ამის გამო მძიმე სამუშაოს შესრულება, რომელიც ემიგრანტთა ხვედრია, ვერ შეძლო. ვერც სამშობლოში დაბრუნდა უფულობის გამო. ცხრა თვე ლუკმას ვუყოფდით, ბოლომდე მაინც ვერ ვუპატრონეთ. სამშობლო ხარჯები და, საერთოდ, სამედიცინო მომსახურება თურქეთში ძალიან მაღალია. ფულიც რომ გვემოგნა, ოფიციალური პროცედურა იყო ძნელი მოსაგვარებელი, რადგან ჩვენ ყველანი უკანონოდ ჩასულად ვითვლებით. შედეგად კი, 32 წლის ახალგაზრდა ქალი თავის შვილთან ერთად დაიღუპა. მომხდარმა ლაზების მხარის მთელი ქართველობა შეძრა. სასონარკვეთილებამ ზღვარს მიაღწია. გადმოსვენების ხარჯები 2000 დოლარს შეადგენდა. ლაზების მხარდაჭერით შევძელით იმ უბედური ქალის ნეშტის საქართველოში გადმოსვენება.

– ქალბატონო ფატი, ქართველი მამაკაცები თუ არიან თურქეთში?

– არიან... დღე-ღამეს შრომის ბირჟაზე ატარებენ და ყველანაირ სამუშაოზე თანახმანი არიან. ძირითადად, მშენებლობაზე, მტვირთავებად, კანალიზაციის განმწმენაზე მუშაობენ. ხშირად მინახავს ქუჩის გისოსებთან ჩამომსხდარნი, ცარიელი პურითა და ბოსტნეულით როგორ საუზმობენ. არდაშენი პატარა პროვინციული ქალაქია და იქ 200-მდე ქართველი ემიგრანტია, წარმოიდგინეთ, დიდ ქალაქში რა ხდება. თურქეთი არალეგალური ქართველი „მონები“ სასვე.

– მაინც, როგორ ახერხებთ არალეგალურად ცხოვრებას?

– პერიოდულად ბათუმში ვბრუნდებით და ვისდით ლალას – თითოეული ჩვენგანი 80 დოლარს, ჩინოვნიკების გასამდიდრებლად. ეს უცნაური ვიოიაჟი რომ გავამართლოთ, ხოფის ბაზარზე დეფიციტურ საქონელს ვყიდულობთ. სამწუხაროდ, ნაყიდ საქონელს ემბარგოს მომიზეზებით თურქები საბაჟოზე გვატოვებინებენ.

– ქალბატონო ფატი, მუსლიმანურ ქვეყანაში რჯულს როგორ ინარჩუნებთ, რას ფიქრობდით, როდესაც თქვენი მშობლიური გორი იბომბებოდა?

– ფარულად მაქვს წმინდა გიორგის ხატი, რომლის წინ სათლელს ვანთებ და ვლოცულობ, რადგან ჩვენს ისტორიულ მტერს – თურქებს ჩვენი ხატები არ უყვართ. ნოსტალგია გვტანჯავს, განსაკუთრებით მძაფრად – სალამოს, როდესაც ყველა სულდგმული „შინ“ ბრუნდება. წარმოიდგინეთ ჩვენი წუხილი და განცდები, როცა რუს აგრესორთა მიერ გორი იბომბებოდა. საქართველოს ქართლის განადგურებით გული ამოაცალეს. ფიქრობ, ქართული მიწა დაიღალა ლალაბით, უსამართლობით, ცოდვის სიმძიმით, უკეთურთა პარპაშით. 18 წელია, ვერ მივალნივით სტაბილურობას, დიდხანს დავდივართ გზაარეულნი. ჩვენ ხომ უფალმა მიწიერი სამოთხე გვიბოძა, რატომ ვერ ვუვლით, ვერ ვპატრონობთ, რატომ არ შეგვიძლია ავისა და კარგის გარჩევა, ერთმანეთზე ზრუნვა, მოყვასის თანალობა და ღირსეულის დაფასება?.. 15 წელია, უფალს ცრემლისღვრით ვევედრებით, მოგვეცეს გზა სამშობლო-საკენ. მამულს მოცილებული ვინაობადაკარგული კაცი, გინდ მილიონები იშოვოს, ვერ გაიხარებს, რადგან ხეც იქ ხარობს, სადაც მისი ფესვებია.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

შეუღლილის წერილები

(თითქმის გოგოლის მიხედვით)

ჰა-ჰა-ჰა, შემომხედეთ – რით არა ვარ იდიოტი?! არადა, როგორ შეუძლია სალადა მოაზროვნე ადამიანს, არ გაიგოს, ნატოს სტანდარტებით აღჭურვილი და ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი არმია ერთ დღეს რატომ გაანადგურეს დაუანგულ ტანკებზე ამხედრებულმა ნახევრად მთვრალმა კონტრაქტორებმა და საპენსიო ასაკის მფრინავებმა?! თუ გონებასუსტი არა ვარ, რატომ არ მესმის, რატომ დაუფუცდა ჩემს სამშობლოს ომის ხუთი დღე დაახლოებით იმდენივე, რამდენიც დიდი სამამულო ომის ხუთი წელი სსრ კავშირსა და გერმანიას ერთად აღებულს?! და რატომ მოხდა, რომ მილიარდობით დოლარი, რაც ხუთი წლის განმავლობაში დახარჯა საქართველომ თავის არმიაზე, გამოიწერა ხუთ დღეში, და ჩვენ მშვიდად უნდა გვემზირა, თუ როგორ მიჰყავთ ჩვენი ახალი ტანკები, გემები, მიაქვთ საბრძოლო მასალა და იარაღი?! დიახ, დიახ, სწორედ ჩვენი საქართველოს მოქალაქეების ტანკები და გემები, ვინაიდან ყველა ეს ჩვენი საჩუქარი რუსეთის შეიარაღებული ძალების შექმნილი იყო არა მხოლოდ ამერიკული, არამედ ჩვენი ქართველ გადასახადის გადამხდელთა ფულით!



მხოლოდ არანორმალურს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წაგებული ომის შემდეგ ამერიკელი გადასახადის გადამხდელი არ გადააყენებს ხელისუფლებას, არამედ გადაუხდის მას უფრო მეტ გადასახადს წარუმატებელი სამხედრო ექსპერიმენტისათვის! ჩვენ კი სწორედ ამას ვაკეთებთ, როცა საქართველოს ყველა ბანკში 2008 წლის 1 ოქტომბრიდან ელექტრონების, ბუნებრივი აირის, წყლის, ნაგვის გატანისა და ტელეფონის ანგარიშების გადახდისათვის ვიხდით კიდევ ახალ გადასახადს საბანკო მომსახურებისათვის თითოეულ ანგარიშზე 0,50 ლარის ოდენობით ცალ-ცალკე! და თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი კომუნალური გადასახადების ოდენობა ჩვენთან ხუთია, ჯამში თითოეულ ოჯახზე შეადგენს 2,50 ლარს (თუ არ ჩავთვლით ყველა სხვა დანარჩენ შესაძლო გადასახადს, მაგალითად: მობილური და საქალაქთაშორისო ტელეფონებზე საუბარს, 09 საცნობარო მომსახურებას, ინტერნეტ-მომსახურებას და ა.შ.). საქართველოში არსებული ოჯახების რაოდენობაზე ამ თანხის ნამრავლით მიღებულ მაჩვენებელზე მე აღარ ვეკამათები ჩვენს მინისტრებსა და პარლამენტარებს და ვენდობი, ვინაიდან მე, ჩემი სუსტი გონებითა და განსაკუთრებულად არამყარი ფსიქიკით, ზუსტი თანხის დასახელება არ შემიძლია! თუმცა მათ, ალბათ, უკვე ყველაფერი გაამრავლეს-გადაამრავლეს. ეს მხოლოდ მე ვარ, არანორმალური, ამაში ეჭვიც რომ არ შემპარვია...

მე კიდევ მტერს, ადრე მეგონა, რომ თითოეული ლარი ჩვენში მიემართება დანიშნულებისამებრ და რომ ჩვენი მინისტრები პატიოსნებისა და წესრიგის ეტალონები არიან, სანამ თავდაცვის ექს-მინისტრი ოქროშაველი, ციხისაგან რომ თავი დაეხსნა, საფრანგეთის ქვეშევრდომი არ გახდა, ხოლო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ექს-მინისტრმა ჭიპაშვილმა, როგორც ამბობენ, სამართალდამცავებისაგან თავი არ გამოიხსიდა 30 მილიონ დოლარად. საინტერესოა, გაჭირვების გამო და ავადმყოფობით დაღუპული რამდენი ადამიანის სიცოცხლეს შეიცავს ეს სისხლიანი მილიონები...

და ამის შემდეგ მე კვლავ უნდა მჯეროდეს, რომ ყველა ეს მილიარდი მართლაც ჩვენს ჯარისკაცებს ხმარდებოდა და ვწუხდეთ თითოეული 12 მილიონ დოლარის ღირებულების ჩამოგდებულ ათ უპილოტო თვითმფრინავზე?! ჯანდაცვის ექს-მინისტრის ამ 30 მილიონით ჩვენ (საქართველოს მთელ მოსახლეობას ხელისუფლების გამოკლებით) ჯანმრთელად რომ გვიცავდა, შეიძლება ვიყიდოთ სამი ახალი უპილოტო თვითმფრინავი (ახლა ისრაელში ბითუმად მოვაჭრეებისათვის სერიოზული დისკანტია, ესე იგი შელავათები). მაგრამ მაშინ რატომ არის, რომ 1993 წელს ქართული არმია (გაუნგრთელი, აღჭურვილი, ნახევრად მშობრივი, ორ კაცზე ერთი ავტომატით!), ცუდად თუ ავად, იბრძოდა აფხაზეთში მთელი წელიწადი მაგ შენი უპილოტო თვითმფრინავების გარეშე?!
მე, ჩერჩეტს, კიდევ ვერ გამიგია: რატომ ვერ მიხვდნენ დღემდე რუსეთსა და საქართველოში, რომ მტრები ჩვენ საერთო გვეყავს?! რაკრიტიკით ირჩევდა მთელი ეს წლები რუსეთი საქართველოში მეგობრებს უკლებილე ყველა რომ თავისი კეთილდღეობისათვის ზრუნავს?! რატომ ელოლიავენბოდა, აჯილდოვებდა ნოდებებითა და ორდენებით კონიუნქტურშიკებს გამცემ ინტელიგენციას და პოლიტიზნესმენებს, ვისაც დღეს არ აღმოაჩნდა არც ერთი კეთილი ან, თუნდაც, ობიექტური სიტყვა რუსეთის მისამართით და რომლებმაც ორდენები უკან მიაყარეს მას?! რატომაა, რომ რუსეთი, რომელიც უნდვდა მატერიალურ დახმარებას დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, პენსიონერებს, საქართველოს მრავალმედიან და მცირემედიან ოჯახებს (ვისაც თავი რუსეთის თანამემამულედ მიაჩნია), იხდიდა მათი დასვენების, მკურნალობის, კულტურული ღონისძიებების, ბავშვების განათლებისთვის (მათ შორის რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მიღება თუნდაც შეზღუდული ოდენობით იყო, მაგრამ უკამოცდოდ!), ხედავდა ბევრ მათგანს სამარცხვინო საპროტესტო აქციებში თბილისში რუსეთის ფედერაციის საელჩოს წინ?! სად არიან დღეს რუსეთის თანამემამულეთა იმედგერი და აქტივი? სხვა დროს მიღენად მრავალრიცხოვანი, ძლიერ რომ იტყვდა საბანკეტო დარბაზი მიღებებზე რუსეთის დღეების დღესასწაულთან დაკავშირებით?! შეიყუყუნე კუთხეში, გამოდარების მოლოდინში, მერე კი, ღმერთი იქნება შემნე და... კიდევ აულერდება სადღეგაქმელები და წყაროსავით წამოვა ფინანსები რუსეთის საელჩოდანო?!

სრულ გონებაჩლუნგს არ ვმიძლია ბავიბო: რატომ არის, რომ ვიპირი რუსი ჯარისკაცი, რომელიც გომორა პურს, ბოთლ არაყს ან ერთ-ორ ცალ მკვასხე ვაშლს ითხოვს, უფრო საშიშია საქართველოსთვის, ვიდრე პრივატიზაციის ყოფილი შეფი და სპეკულანტი ბენდუქიძე, ვინც მუქთად გაიმიტა მთელი საქართველო (სხვათა შორის, ყველა სტრატეგიული ობიექტი ენერგომომპოვებელი, გამამდიდრებელი, ოქროს გადამამუშავებელი და სხვა რუსების ხელშია)?!

რატომ არაა ჩვენს ხალხებს ყოფს გადაულახავი საზღვრები და ჯარები, აგრეთვე ობიექტური ინფორმაციის სრული უქონლობა?! იქნებ, უმჯობესია, ამ უკანასკნელზე და თავის წარსულ სამსახურებზე დაფიქრებულიყო ჟურნალისტი შევჩენკო?!
ან კი, რომელ კომისიას შეუძლია რაიმე გადაწყვეტილება, როდესაც ერთადერთ, ადრე მოქმედ საერთაშორისო ოთხმხრივ კომისიას ოკუპაციის, მავატიეთ, რეინტეგრაციის, მინისტრმა იაკობაშვილმა კაკა უწოდა?! და რატომ არააინ დასაჯა იგი, როცა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ გამოიციხავს პარტიზანულ ომს, ვინაიდან რუსეთს ამას არ აპატიებენ!, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება მოსკოვში შესაძლო ქართული ტერაქტების შესახებ?! როგორ არ ვიკითხო: მინისტრი იაკობაშვილი ყოველივე ამას აკეთებს თავისი გაუნათლებლობის გამო, თუ... სპეციალურად?!
მხოლოდ ჭკუაზე შემცდარს შეუძლია დღეს გაიხსენოს, რომ რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობა ნიშნავს მოქალაქისათვის ამ ქვეყანაში არა მხოლოდ უვიზო შესვლის რეჟიმს, არამედ მის წინაშე თავისი მოქალაქეობრივი ვალდებულებების შესრულებასაც! სხვათა შორის, თქვა უარი რუსეთის მოქალაქეობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაშაძემ, რაც მანამ უნდა გაეკეთებინა, სანამ მას საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამი-

ნისტროს რუსეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშნავდა?! მე იაკობაშვილის მოქალაქეობაც მაინტერესებს, ექს-პრემიერ-მინისტრ გურგენიძის ინგლისის მოქალაქეობაც, პრეზიდენტის კანცელარიის ექს-უფროსის ბენდუქიძის რუსეთის მოქალაქეობაც, აგრეთვე თავდაცვის ექს-მინისტრ კეზერაშვილის, რუსეთში საქართველოს ექს-ელჩის კონმაროშვილის და სხვა მრავალთა მოქალაქეობა...
სრულ გონებაჩლუნგს არ შემიძლია ვაგონო: რატომ არის, რომ მშიერი რუსი ჯარისკაცი, რომელიც გოგორა პურს, ბოთლ არაყს ან ერთ-ორ ცალ მკვასხე ვაშლს ითხოვს, უფრო საშიშია საქართველოსთვის, ვიდრე პრივატიზაციის ყოფილი შეფი და სპეკულანტი ბენდუქიძე, ვინც მუქთად გაიმიტა მთელი საქართველო (სხვათა შორის, ყველა სტრატეგიული ობიექტი ენერგომომპოვებელი, გამამდიდრებელი, ოქროს გადამამუშავებელი და სხვა რუსების ხელშია)?!

რუსმა ოფიცრებმა მაროდორობისათვის დახვრიტეს თავიანთი ორი ჯარისკაცი, ჩვენში კი ბენდუქიძე და კომპანია დღემდე უვნებელია, სამაგიეროდ, ლეგენდად იქცა რუსების მიერ მოპარული გამოყენებული უნიტაზი, ვერცხლის კოვზი, ველოსიპედი და წყვილი ნახშირი ფეხსაცმელი. თუმცა მაშინ მაროდორობა ბევრი ადგილობრივი მცხოვრებიც, ვინც ვარისკა და დარჩა იმ ტერიტორიაზე...

და კიდევ ბევრი რამ არ მესმის... ან მე რას მემართლებით?! გიჟი გიჟია!!! ერთი რამ მანყნარებს: თურმე, ჩემნათი გიჟი კიდევ ბევრია - ამას წინათ, სოციალოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დედაქალაქის მკვიდრთა ერთი მეოთხედი აგვისტოს ომში გამარჯვებულად... საქართველოს და მის პრეზიდენტს საბაჰვილს მიიჩნევენ!

ოოო, როგორ ამტკიცდა თავი... ამბობენ, თავის ტკივილის საუკეთესო საშუალება - გილიოტინაო...

**არსო
სიღირსაჰვილი**

ის, ვინც დათვის გასახელდა ნავიდა

THE INDEPENDENT
დიდი ბრიტანეთი

სამხრეთ ოსეთის კატასტროფა დაგვიანდა სააკაშვილის სხვა მხარეები – სიმბაგე, თავშეუკავებლობა და ილუზიებისკენ მისწრაფება, ბოლომდე თავის დაძვრენისაკენ ლტოლვა მანაც.

სუთი წლის წინ, როდესაც სათავეში ჩაუდგა „ვარდების რევოლუციას“, რომელმაც ის ევროპის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტად აქცია, ოცდამეერთე საუკუნის იდეალური რევოლუციონერი ეგონათ. განათლებამ (უკრაინის კიევის და ამერიკის კოლუმბიის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული), ქარიზმატულობამ, მძვინვარებამ, საერთაშორისო საქმიანობის გამოცდილებამ, გამორჩეულმა მახვილიცხვაობამ (თანაც რამდენიმე ენაზე) საშუალება მისცა მას, ამერიკაში პატარა სახელმწიფო – საქართველო საერთაშორისო ცნობიერებაში დაემკვიდრებინა და მისთვის მსოფლიოში მრავალი კარი გაეღო. დასავლეთის ქვეყნები და პირველ რიგში შეერთებული შტატები ლამის რიგში ჩადგნენ დახმარებისა და თანამშრომლობის შეთავაზებით.

მაგრამ თამაშის დროს ოდესაც კარტები უნდა გახსნა. ეს მომენტი 2008 წელს დადგა: როდესაც სააკაშვილმა დაანება, რუსეთთან მოკლე და სასტიკ ომში ჩაეთრიათ სამხრეთ ოსეთზე კონტროლისათვის. ბუნდოვანი ეჭვები მისი ხასიათის თაობაზე, ძალიან ბევრს რომ ტანჯავდა, ერთბაშად სრულიად უსიამოვნოდ განსხეულდა. სულ რამდენიმე კვირაში სააკაშვილი ჯერ არა უბრალოდ ნაციონალური, არამედ ინტერნაციონალური გმირი გახდა – აგრესიული რუსული დათვის მიერ გასრეხილი პატარა მამაცი ქვეყნის ლიდერი, ბოლოს კი საქმის მთავარ ფიგურანტად იქცა. მისმა ყველაზე თავგადაკულმა მომხრეებმაც კი აღიარეს, რომ ომი სწორედ რომ მან დაიწყო, და არა რუსეთმა, რომ სწორედ იგი შეეცადა, ძალით დაებრუნებინა სამხრეთ ოსეთი.

იმ მომენტისათვის სააკაშვილის რეპუტაცია უკვე შეღებული გახლდათ, მაგრამ სწორედ სამხრეთ ოსეთისა და ეთნიკური უმცირესობით დასახლებული კიდევ ერთი ანკლავის – აფხაზეთის გამო რუსეთთან კონფლიქტის შიშმა მისი მისამართით გაისმა შიკრიტაპი პოლიტიკული გამოსადგომის თაობაზე, რომელიც ახლაც შეიძლება პრაქტიკული პრობლემა აღუდგას. რუსეთის მხრიდან პროვოკაციები იყო, ზოგი იმასაც ამბობს, რომ რუსებმა მას მახე დაუგეს, დარწმუნებულებმა, რომ სააკაშვილს მოთმინება გამოეუღო. ის და ვლადიმერ პუტინი ერთმანეთს ვერ იტანდნენ; ამბობენ, კონფლიქტის მერე პუტინმა მისი „კვირცხებით ჩამოკიდების“ სურვილიც კი გამოთქვა.

მაშ ასე, სამხრეთ ოსეთის კატასტროფამ სააკაშვილის მეორე მხარე დაგვიანდა – სიმბაგე, თავშეუკავებლობა და ილუზიებისკენ მიდრეკილება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე თავის დაძვრენისაკენ მისწრაფება. სააკაშვილს ძალიან გაუჭირდება (თუ საერთოდ შეძლებს) პრინციპული, მომხიბვლელი და ქარიზმატული ადამიანის იმიჯის აღდგენა, რომელმაც მის ზღურბლთან ოდესაც ტამის ცემით მოიყვანა დასავლეთი.

მერი დეჟანსკი

დენის ბლერი (აშშ-ის დაზვერვის ხელმძღვანელი): გასული წლის აბრეშთოვი რუსეთმა ქართვლი სამხედროები დააპარსხა

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის ახალი ხელმძღვანელის, დენის ბლერის განცხადებით, საქართველოში ზედაპირული სტაბილურობის მიუხედავად, ოპოზიცია პრეზიდენტ სააკაშვილს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს. ამ კრიტიკაზე მისი რეაქცია კი ან განამტკიცებს, ანაც შეაფერებს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების პროცესს. „ეს აზრი მან კონგრესში, სენატის სპეციალური კომიტეტის მოსმენაზე გამოთქვა, რომელზეც წარმოადგინა ამერიკული დაზვერვის მოხსენების ლია ვერსია იმ საშიშროებების შესახებ, აშშ-ის უსაფრთხოებას რომ ემუქრება. რუსეთს „თავისი სპეციფიკური ინტერესები“ აქვს, რომლებიც ზოგიერთ სფეროში ამერიკისა და ემთხვევა, – განაცხადა ამერიკის მთავარმა მწვერავმა და ეჭვქვეშ დააყენა აგვისტოს მოვლენების შეფასების ქართული ვერსია, კერძოდ კი საქართველოს პრეზიდენტის მტკიცება, რომ რუსეთს ომი მოუვლავთ.



დოკუმენტის განხილვისას კომიტეტის თავმჯდომარემ დაიან ფინსტაინმა ნაციონალური დაზვერვის ხელმძღვანელს ჰკითხა, შესაძლებელია თუ არა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება. „პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელებს ვურჩევდი, აშშ-ისა და რუსეთის სურვილების თანხვედრას შეეცადონ, – მიუვო ბლერმა, – ვფიქრობ, რუსეთიც აღიარებს, რომ ზოგიერთ საკითხს ერთნაირად ვუყურებთ. მაგალითად, რუსეთს არ სურს, რომ ირანს ბირთვული იარაღი ჰქონდეს.“
შესაძლო თანამშრომლობის მეორე მაგალითად დენის ბლერმა ავლანეთი მოიყვანა. „რუსეთს მიაჩნია, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი აშშ-ის როლი ავლანეთში მასაც ხელს აძლევს,“ – განაცხადა მან.

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის მოხსენებაში აღნიშნუ-

ლია, რომ „ახლახან რუსეთის ლიდერები პოზიტიურად მიუდგნენ ამერიკულ-რუსული ურთიერთობების დინამიკაში ცვლილებების შეტანის საკითხს... თუმცა, ისეთი პრობლემები, როგორცაა ნატოს გაფართოება, კონფლიქტი საქართველოში, ასევე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსება აღმოსავლეთ ევროპაში, კვლავაც აფერხებს ურთიერთობების განვითარებას და ართულებს თანამშრომლობის გზების განსაზღვრას რუსეთთან... მოსკოვმა ხაზგასმით არაერთხელ აღნიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრება საფრთხის ქვეშ დააყენებს არსებულ რეჟიმებს და მოლაპარაკებებს შეიარაღების კონტროლზე, რის გამოც რუსეთი იძულებული იქნება, სამხედრო კონტროლებს მიმართოს.“
დენის ბლერის თქმით, „რუსეთს თავისი ბირთვული

სიძლიერის იმედი აქვს და აშშ-ისა და ნატოს მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე საპასუხო ბირთვული იერიშის უნარიც შესწევს... გარდა ამისა, მოსკოვი სამხედრო სფეროში აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთსა და ვენესუელასთან. თანაც, ამას ნაწილობრივ იმისთვისაც აკეთებს, რომ აშშ-სა და სხვა სახელმწიფოებს შეახსენოს რუსეთის გლობალური სამხედრო მნიშვნელობა.“

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის არმიის რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად „გასული წლის აგვისტოში რუსეთმა ქართული სამხედროები დაამარცხა.“

დენის ბლერის აზრით, ამჟამად კავკასია დაძაბულობის კერად რჩება. „რუსეთ-საქართველოს ომიდან 6 თვის შემდეგაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კვლავინდებურად ცხელ წერტილებს წარმოადგენს. იქ მაღალია პროვოკაციების, გადაჭარბებული რეაქციების ან მცდარი შეფასებების რისკი, რამაც შესაძლოა საომარი მოქმედებების განახლება გამოიწვიოს.“

„აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბაღის საკითხზე განხეთქილების დაუძლეველობა ხელს უწყობს კავკასიაში დაძაბულობის მაღალი დონის შენარჩუნებას, – მიაჩნია დენის ბლერს. აზერბაიჯანი უფრთხის იზოლაცია-

ას მას შემდეგ, რაც კოსოვოში დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, გაუმჯობესდა სომხეთისა და თურქეთის ურთიერთობები, – განაგრძო მან, – სომხეთს კი ბაქოს შეიარაღებული ძალების გაძლიერება აფრთხობს.“

ირანში არსებულ ვითარებაზე ლაპარაკისას აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის ახალმა ხელმძღვანელმა გამოთქვა აზრი, რომ ირანს ბირთვული იარაღის შესაქმნელად ჭარბად გამდიდრებული ურანის საკმარისი მოცულობით წარმოების უნარი ტექნიკურად შესწევს. მისი თქმით, „2007-2008 წლებში ირანმა ნათანში, თავის ძირითად ბირთვულ-საკვლევ კომპლექსში, ცენტრიფუგების დადგმისა და ექსპლუატაციის სფეროში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია... თუმცა, ბირთვულ იარაღს ირანი 2013 წლამდე ალბათ მანაც ვერ შექმნის ტექნიკური და პროგრამული პრობლემების გამო.“
ამავე დროს, ბლერის თქმით, ირანი აგრძელებს ბალისტიკური რაკეტების შესაქმნელი ტექნოლოგიების შემუშავებას. ეს რაკეტები ბირთვული იარაღის გადატანას შეძლებენ. „ჩვენი ვარაუდით, ირანს აქვს მეცნიერული, ტექნიკური და სამრეწველო შესაძლებლობები იმისა, რომ საბოლოო ჯამში ბირთვული იარაღი შექმნას,“ – განაცხადა ამერიკის მთავარმა მწვერავმა.

უგუნური საქართველო

TRU BOSTON GLOBE, აშშ

უეჭველია დასკვნა, რომ სააკაშვილმა დაიწყო ეს ომი და სიმართლეს არ ამბობდა მასზე. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომელი მხარის ინიციატივა იყო ომი რუსეთსა და საქართველოს შორის.

თუ ბრალი რუსეთს მიუძღვის, როგორც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამტკიცებს, მაშინ ობამას ახალ ადმინისტრაციას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებისას შესაძლებლობები შეზღუდული ექნება. თუ აღმოჩნდება, რომ მთავარი დამნაშავეები ქართველები არიან, პრეზიდენტმა ობამამ უნდა აუხსნას სააკაშვილს, რომ საიმედო მოკავშირე არ უფულებელყოფს ვაშინგტონის ნებას და უფუ-

ნურად არ ცდილობს რუსეთთან არასაჭირო კონფრონტაციაში ამერიკის ჩათრევას. სწორედ ამიტომ ობამამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ომის დაწყების შესახებ გამოცდილი დამკვირვებლების მიერ ეუთოს ეგიდით გაკეთებულ ახალ მოხსენებებს. ეს დამკვირვებლები, რომლებიც 8 აგვისტოს ღამით თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, იუწყებიან, რომ ხედავდნენ, როგორ გროვდებოდა ქართული არტილერია და სარაკეტო დანადგარები სამხრეთ ოსეთის საზღვართან 7 აგვისტოს დღის 3 საათზე, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ანკლავის ტერიტორიაზე პირველი რუსული კოლონა შემოვიდოდა.

მათ დამომნებს აგრეთვე იმავე საღამოს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალის დაცხრილვა. ჭურვები საკუთარ სახლებში დამალულ მშვიდობიან მცხოვრებთ ეცემოდა. დამკვირვებლებს კი არ სმენია არაფერი, რაც დაადასტურებდა სააკაშვილის განცხადებას, რომ ქართველების მხრიდან ცხინვალისთვის საარტილერიო ცეცხლის გახსნა ქართული სოფლების დაცხრილების პასუხი იყო.

ეუთოს დამკვირვებელთა კომპეტენტურობასა და პატიოსნებაში ეჭვის შეტანის მიზეზი არ გვაქვს. უეჭველია დასკვნა, რომ სააკაშვილმა დაიწყო ეს ომი და სიმართლეს არ ამბობდა მასზე. შესაძლოა, კრემლმაც შეიტანა თავისი წვლილი გარკვეული ხნის განმავლობაში საქართველოს პროვოცირებით – ხოლო მისი რეაქცია საქართველოს თავდასხმაზე ხაზგასმით სასტიკი იყო – ეს არ აძლევს საბაზს სააკაშვილს, თავისი თავის პროვოცირების უფლება მისცეს.

საქართველო

გსურთ, გაზვიადებით თქვანი მოსაზრებები? დაგვიკავშირდით: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

სამ დედაქალაქს შორის საერთაშორისო ვიდეოხილვის მონაწილეებმა იმსჯელეს საკითხზე: „გაზის პროექტი „ნაბუკო“ დადებითი და უარყოფითი მხარეები რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის.“

რუსეთ-უკრაინის ამასწინანდელმა საგაზო კონფლიქტმა აქტუალობა შესძინა პროექტ „ნაბუკოს“ — გაზსადენს, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები ევროპაში კასპიისა და შუაზღვიური გაზისთვის რუსული სატრანზიტო დერეფნის ალტერნატივად განიხილავენ.

ვიდეოხილვის მიმდინარეობისას სამი ქვეყნის ექსპერტები პროექტის კონკურენტუნარიანობაზე, მის ეკონომიკურსა და გეოპოლიტიკურ პერსპექტივებზე მსჯელობდნენ.

ვიდეოკონფერენციაში მონაწილეობდნენ: მოსკოვში — ფინანსებისა და ენერჯეტიკის ინსტიტუტის პრეზიდენტი ლეონიდ გრიგორიევი, ენერჯეტიკული კვლევების ინსტიტუტის მოვლო ენერჯეტიკული ბაზრების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელი ტატიანა მიტროვა; ბაქოში — პარლამენტის დეპუტატი, დემოკრატიული რეფორმების პარტიის თავმჯდომარე ასიმ მოლაზადე, ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ექსპრეზიდენტი საბიტ ბაგიროვი, წამყვანი ექსპერტი ნავთობი და საგაზო პოლიტიკის საკითხებში ილჰამ შაბანი; თბილისში — ეკონომიკური საკითხების ექსპერტი ლიანა ჯერვალაძე, ენერჯეტიკული საკითხების ექსპერტი დათო ებრალიძე და ეკონომიკის საკითხების ექსპერტი ნიკო ორველაშვილი.

რუსეთ-უკრაინის საგაზო კრიზისმა დაგვანახვა, რომ ევროპული პროექტი „ნაბუკო“ მაქსიმალურად სწრაფად უნდა განხორციელდეს, — ასეთი აზრი გამოთქვა მოსკოვში ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩეხეთის ელჩმა რუსეთში მიროსლავ კოსტელკამ.

„ნაბუკო“ 3,3 ათასი კმ სიგრძის მაგისტრალური გაზსადენია ცენტრალური აზიიდან ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, რომლის დაპროექტებაც მიმდინარეობს.

ხელშეკრულებას გაზსადენის მშენებლობის შესახებ 2007 წლის 25 ივნისს ხელი მოაწერეს ევროკომისიის კომისარმა ენერჯეტიკის საკითხებში ანდრის პიებალესმა და თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის ენერჯეტიკის მინისტრებმა. 2008 წლის 5 თებერვალს პროექტს გერმანიაც შეუერთდა. გაზსადენს გვერდით უნდა აეწყო რუსეთისთვის აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ავსტრიისა და გერმანიის გავლით.

თავდაპირველად, 2004 წელს წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებდა გაზის მიწოდებას სპარსეთის ყურეში მდებარე ირა-

ნის საბადოებიდან. 2006 წელს, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული კონფლიქტის გამო, გადაწყდა პროექტის იმგვარად შეცვლა, რომ გაზი თურქმენეთიდან, უზბეკეთიდან და აზერბაიჯანიდან მიენოდებინათ. გაზსადენის საპროექტო სიძლიერე წელიწადში 26 32 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს, ხოლო პროექტის საორიენტაციო ღირებულება 7,9 მლრდ ევროა.

გაზსადენის მშენებლობა 2010 წლის ბოლოს უნდა დაიწყოს და 2013 წელს დასრულდეს. გაზის პოტენციურ მიმწოდებლებად აზერბაიჯანი, ირანი, თურქმენეთი და ერაყი სახელდება. ერაყული გაზის ევროპაში მიწოდებას მხარს აშუ უჭერს. პროექტის მშენებლობის მონაწილეები თანაბარწილად (16,67 %) არიან ავსტრიული კომპანია OMV, უნგრული MOL, ბულგარული „ბულგარგაზი“, რუმინული „ტრანსგაზი“, თურქული „ბოტასი“ და გერმანული RWE.

„ნაბუკოს“ გაზსადენი ვერ იქონიებს სერიოზულ გავლენას ევროპაში გაზის მოხმარების სტრუქტურაზე მიწოდების უმნიშვნელო მოცულობების გამო, — მიაჩნია ენერჯეტიკისა და ფინანსების ინსტიტუტის პრეზიდენტს ლეონიდ გრიგორიევს. „ევროპაში წელიწადში 600-700 მლრდ კუბურ მეტრს გაზს მოიხმარენ, ხოლო „ნაბუკოს“ მეშვეობით 30 მლრდ კუბური მეტრის მიწოდებაა დაგეგმილი. ასე რომ, ეს პროექტი ევროპაში გაზის მოხმარების საერთო კონფიგურაციაში ვერაფერს ცვლის,“ — განაცხადა მან. ამასთან, გრიგორიევის თქმით, არასერიოზული მოცულობების გამო ამ პროექტს არ შეიძლება ანტირუსული ენოდოს. მან ასევე აღნიშნა, რომ დიდი მარაგების მქონე ირანს არასოდეს უფიქრია, გაზის მსხვილი ექსპორტიორი ყოფილიყო. „ირანს მუდამ სხვა გეგმები ჰქონდა. ის ნავთობის მიწოდებას გეგმავდა, ხოლო გაზს შიდა მოხმარებისთვის იტოვებდა,“ — თქვა გრიგორიევმა და დასძინა, რომ კონსორციუმში მწარმოებელი ქვეყნების არარსებობას ეს პროექტი „ლირიკის ფანრში“ გადაჰყავს. ამავე აზრისაა მსოფლიო



ენერჯეტიკული ბაზრების შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელი ტატიანა მიტროვა. „ეკონომიკური შემადგენლების გარეშე ამ პროექტს განხორციელება არ უნერია, — განაცხადა მან, — მხოლოდ სურვილი კი არაფერს ნიშნავს.“ მიტროვას თქმით, 2002 წლიდან პროექტის ღირებულება მრამდენჯერმე მოიმატა და ამჟამად 8 მლრდ დოლარს შეადგენს. ამასთან, მან დასძინა, რომ უწინდებურად გაურკვეველია მოცემული პროექტის სარესურსო ბაზა, ირანული გაზი მიმზიდველია, მაგრამ მიუწვდომელი, ამიტომ პირველ ადგილზე რჩება აზერბაიჯანის გაზი, რომელიც დაკავშირებულია ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტის მშენებლობასთან.

ამავე დროს, წამყვანი აზერბაიჯანელი ექსპერტი ნავთობისა და გაზის პოლიტიკის საკითხებში ილჰამ შაბანი საზგასმით აღნიშნავს, რომ კასპიის პოლიტიკური სტატუსის გარკვევამდე ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამასთან, აზერბაიჯანმა დიდი ხანია, გაზის მიწოდების დივერსიფიკაცია მოახდინა, ამიტომ ისეთი პროექტის არარსებობა, როგორც „ნაბუკო“, ვერაფრითაა ზეგავლენას ვერ იქონიებს ბაქოზე ახლაც და მომავალშიც.

თავის მხრივ, ქართველ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში ლიანა ჯერვალაძეს მიაჩნია, რომ პროექტის რეალიზაციაზე გავლენის მოხდენა აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკას შე-

უძლია, თუკი იგი ირანისადმი დამოკიდებულებას შეცვლის. ამ შემთხვევაში პროექტის განხორციელება კასპიის სტატუსის საკითხის გვერდის ავლით მოხერხდება, ხოლო გაზი ირანიდან პირდაპირ თურქეთს მიენოდება.

მოლაპარაკებები „ნაბუკოს“ თაობაზე, რომლის უმთავრეს საკითხადაც გაზსადენის შევსების გარანტიები მიიჩნევა, უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. ექსპერტები მოლაპარაკებების პროცესის გააქტიურებას რუსეთ-უკრაინის გაზის კონფლიქტს უკავშირებენ.

ევროპის პოლიტიკური კვლევების ცენტრის ანალიტიკოსების აზრით, მთავარი პრობლემა სწორედ ისაა, რომ ჯერ არ განსაზღვრულა გაზის მიწოდების წყაროები „ნაბუკოსათვის“. ირანიდან გაზის მიწოდება პრობლემატურია იმის გამო, რომ ამ ქვეყანას საერთაშორისო სანქციები აქვს დაწესებული. ასევე აუცილებელია მასშტაბური ინვესტიციების მოზიდვა ექსპორტისათვის, ხოლო რაც შეეხება თურქმენეთიდან გაზის ექსპორტირებას, ექსპერტების აზრით, ეს ქვეყანა ამჯობინებს, გაზი რუსეთსა და ჩინეთს მიჰყიდოს.

მეორე პრობლემური საკითხი ტრანზიტის უკავშირდება. ანალიტიკოსების მოსაზრებით, თურქეთი, როგორც საკვანძო სატრანზიტო ქვეყანა, შესაძლოა, რუსეთმა გამოიყენოს პროექტის დასაბლოკად, იმასთან დაკავშირებით, რომ არ წყდება კამათი კასპიის ზღვის დემილიტაციაზე.

ევროკავშირის თავმჯდომარე ჩეხეთი თვლის, რომ პროექტი შესაძლოა, განხორციელდეს 2015 წლისთვის. თუმცა, როგორც ქართველმა ექსპერტმა ნიკო ორველაშვილმა აღნიშნა, დამატრეკულე გარემოებას წარმოადგენს ხსენებული პროექტის გადაჭარბებული პოლიტიზაცია მაშინ, როცა მაგისტრალის გვერდით, კაცმა არ იცის, ვის მიერ ჩამოყრილი ბომბები ფეთქდება. ექსპერტები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ეს პროექტი მიმზიდველია, უპირველესად, ბალკანეთის ქვეყნებისთვის, სადაც რუსეთიდან გაზის მიწოდება ფერხდება; და ასევე საქართველოსთვისაც, რომელსაც დამატებითი დივიდენდების მიღება შეუძლია სატრანზიტო მომსახურებისთვის.

აზერბაიჯანელმა ექსპერტებმა გაიმეორეს აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის სიტყვები, რომლის თქმითაც, აზერბაიჯანი მზადაა, „ცისფერი სანჯავის“ მიმწოდებლად და სატრანზიტო ქვეყნად იქცეს. აზერბაიჯანელი ექსპერტის ილჰამ შაბანის განცხადებით, „ნაბუკოს“ პროექტისადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებენ არა გაზის მწარმოებელი, არამედ სატრანზიტო და მომხმარებელი ქვეყნები. თუმცა, როცა სატრანსპორტო მაგისტრალი მზად იქნება, გამოჩნდებიან მწარმოებლებიც, რომლებიც მარშრუტის შევსებას აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებთან ერთად მოისურვებენ.

გვერდები მოამზადა მურად ალაშვილმა

სალომე ზურაბიშვილი პრაზიდენტს თანამდებობის დასატოვებლად ვადას 9 აპრილამდე აქლავს

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, ოპოზიციური პარტიებთან გაიარა კონსულტაციები და საერთო აზრის გათვალისწინებით, პრეზიდენტ სააკაშვილს პოსტის დასატოვებლად ვადას 9 აპრილამდე აძლევენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციის ქუჩის აქციებით იმუქრება. მისივე თქმით, ქუჩაში იმდენ ხანს დარჩებიან, სანამ პრეზიდენტი იძულებული არ გახდება თანამდებობა დატოვოს.

„ჩვენ რომ 9 აპრილს შევიკრიბებით, აღარ დავიშლებით, ვიდრე სააკაშვილი არ გადადგება“, — აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა მისივე თქმით, ის და მისი თანამოაზრეები პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ინიცირებულ არც ერთ პრო-

ცესში არ მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის არც კონსულტაციებში, არც საპარლამენტო არჩევნებში და არც რეფერენდუმში.

ასევე, სალომე ზურაბიშვილმა ირაკლი ალასანიასა და მის პოლიტიკურ ალიანსზეც გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ თუ ალიანსის ულტიმატუმი შესრულდება და პრეზიდენტი სააკაშვილი 10 დღეში რეფერენდუმს დანიშნავს, ეს კარგი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ყველას მოუწოდებს, 9 აპრილს ერთად დადგნენ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის მოთხოვნით.

მარინა ბალიაშვილი:

ზვიადთან შედარებით, მიუა ბანალური სუბიექტია...



ამგვარ სუბიექტს ფსიქოლოგები არშემდგარ პიროვნებას ვეძახით

პოლიტიკაში ლიდერად აღიარებას, უპირველესად, ერის პოლიტიკური კულტურა და ტრადიციები განსაზღვრავს. ქართული ფსიქოლოგიის მამის – დიმიტრი უზნაძის თეორიით, ისტორიზმის პრინციპით ლიდერის გამოვლენაში დრო გადამწყვეტ როლს თამაშობს. ადამიანთა გონებაში გამოცდილებით სიბრძნე იზრდება, რომლის ფოკუსში აუცილებლად ახალი დროის საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური ფიგურა გამოიკვეთება ხოლმე. ნებისმიერ მოქალაქეს სურს, იცოდეს, როგორი პიროვნება დგას ქვეყნის პოლიტიკურ სადავებთან. რამდენად აკმაყოფილებს ის სრულყოფის პარამეტრებს, რადგან მისი ზნე, ხასიათი, ცხოვრების ნირი, პიროვნული თვისებები უშუალო კავშირშია მის პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან. საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიის შესახებ გვესაუბრება დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი მარინა ბალიაშვილი:



– ფსიქოტიპი ადამიანის სულიერ ძალთა, გარემო პირობებითა და მიმდინარე მოვლენების მუდმივი და ერთობლივი მოქმედების შედეგად ყალიბდება. უპირატეს გაველენას კი ფსიქოტიპის განვითარებაზე ე.წ. ტემპერამენტი ახდენს. არსებობს ტემპერამენტის ოთხი სახე: სანგვინიკური, მელანქოლიკური, ქოლერიკური და ფლეგმატიკური.

– ქალბატონო მარინა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რომელს განეკუთვნება?

– მიხეილ სააკაშვილი ქოლერიკული ტემპერამენტის მქონე პიროვნებაა, რასაც ხალხში სულსწრაფს ეძახიან. ქოლერიკები კოლოსალურ ენერჯიას ფლობენ, ძლიერი გრძობები ამოძრავებთ, ვნებების ერთგულნი არიან, ხოლო მიზანსწრაფვაში ურყევი, ბევრჯერ, მოშურნეა. ქოლერიკი თავნებაა, მასზე ნათქვამი: – „შეაყარე კედელს ცერცვი“. ამას ემატება უზომო თავმოყვარეობა, ამპარტავნობა, მუდმივად უპირატესობის მოთხოვნა, რის გამოც ხშირად ხარბია და ეშმაკი. გარე მოვლენებზე მძაფრი რეაქცია აქვს, როგორცაა: ბრაზი, სიძვე, სიანჩხლე, აღშფოთება, გალანძვლა, გაკიცხვა და სიჯიუტე. ცუდი ისაა, რომ უარყოფითი ემოციებს ხანგრძლივად და ინტენსიურად ემორჩილება. უყვარს მბრძანებლობა, მონური მორჩი-

რმისული განცდა და განსჯა, რელიგიური შემწყნარებლობა.

ბატონ მიხეილს ქოლერიკულ ტემპერამენტთან ერთად აქვს ქარიზმა, ანუ მასზე გავლენის უნარი, ემოციური მუხტის გადატანა-გავრცობა, განწყობილების შექმნა, ხალხის აყოლიება, რაც ლიდერთა ყველაზე აუცილებელი თვისებაა. მისმა ქარიზმამ გარკვეულ ეტაპზე კარგად ითამაშა და პოლიტსარბიელზე წარმატება მოუტანა. მისი ნიჭიერება, ანუ გონებრივი შესაძლებლობები, უმეტესწილად, გენეტიკური საჩუქარია. საერთოდ, ნიჭი მემკვიდრეობითია. მე სოციალური ფსიქოლოგიაში ვმუშაობ და ვიცი, რომ დიდ ისტორიულ პიროვნებათა უმრავლესობა ამგვარი ტემპერამენტით ხასიათდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბატონი მიხეილი თავისი ტემპერამენტით უარყოფითი მხარეებისკენა მიდრეკილია. დადებითი მხარეებისკენ მიდრეკილი ქოლერიკები დიდი და უცნაური პიროვნებები არიან.

– ქალბატონო მარინა, ბატონი მიხეილის „უარყოფითი მხარეებიდან“ რომელს გამოყოფდით?

– ადამიანი შეიძლება ნიჭიერიც იყოს, განათლებულიც, მაგრამ თუ მისი ნიჭი და განათლება ცუდი ემოციონორულია და არ წარმართა, ამგვარ სუბიექტს

ში ჩარჩენილებს, ანუ ინფანტილურებს ვეძახით. ჩვენი დღევანდელი რთულია და უმძიმესი, რომელიც პოლიტიკურმა ლიდერმა – პრეზიდენტმა ადეკვატურად, სათანადოდ უნდა აღიქვას და გააანალიზოს. „პრეზიდენტი დაფრინავს“ – აქედან ჩანს მისი პიროვნული უმნიშვნელობა და პოლიტიკური სიბრძნე. დღევანდელ არსებულ რეალობას თვითგადარჩენის მიზნით მოქალაქეთა 90% გაურბის, მაგრამ ძალიან ცუდია, როცა ქვეყნის პრეზიდენტს ეს სისუსტე ახასიათებს. ფსიქოლოგია ამბობს: რეალობიდან ასხვლეტილობა ბიძგა აძლევს სიცრუეს – მანკიერებათა დედას. სწორედ სიცრუე კვებავს პრეზიდენტის პატივმოყვარეობას. სიცრუე ინფანტილურია, ბავშვების დაავადებაა, რომელიც აღზრდით თუ არ დაიბლოკა, გარკვეულ ასაკში თვითმოტყუების ტკბობაში გადადის.

ჩვეულებრივი მოკვდავი შეიძლება რეალობას გაექცეს ძილით, დასვენებით, მოგზაურობით. ქვეყნის პირველი პირი კი რეალობიდან გამოსვლას თავდავიწყებული მუშაობით, ასკეტური თავშეკავებითა და ყველაფერზე წინ ქვეყნისა და ერის პრობლემებთან ბრძოლას უნდა აყენებდეს. პოლიტიკურ ლიდერთა ხვედრია, რთულ, ისტორიულ მოსახვევში თავგანწირული სულისკვეთება გამოიჩინონ, რადგან ლიდერი მალა დგას და ერიცა და ბერიც მას შეჰყურებს. ამ დროს პრეზიდენტის ვოიაჟები, გრანდიოზული გალაკონცერტები, გართობა, სიამეთაძენა და სიცოცხლით ტკბობა (რაც თავისთავად კარგია)... მაგრამ სად, როდის, რა სიტუაციაში?

სისასტიკეც უმნიშვნური პიროვნებას თვისებაა. ამის თქმის უფლებას მის მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობა“, მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა, აშენებულის დაუნდობელი ნგრევა მძალევს. მას არ გააჩნია, ზოგადად, ადამიანებისადმი სიმპათიური დამოკიდებულება, კაცთმოყვარეობა. უფრო მიზანტროფის სახე აქვს. ამიტომ აკადრებს ხალხს ამდენ

ცყუილს. ასევე, როგორც ყველა ქოლერიკი – ინფანტილური ტიპი, ზერელება, უპასუხისმგებლო. დაუკვირდით მის საპარლამენტო გამოსვლებს, წარმოთქმულ მიმართვებს, დაშვებულ შეცდომებს. აშკარაა, იმპულსურობით მისი დახასიათება რბილი ფორმაა. ამიტომ მისი ნდობის მაჩვენებელი დაბალია.

– ქალბატონო მარინა, მკაცრი შეფასებაა, ის ხომ რელიგიურია, ხშირად ვხედავთ პატრიარქის გვერდით, ლოცულობს, ხატებს ემთხვევა...

სისასტიკეც უმნიშვნური პიროვნების თვისებაა. ამის თქმის უფლებას მის მიერ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობა“, მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა, აშენებულის დაუნდობელი ნგრევა მძალევს. მას არ გააჩნია, ზოგადად, ადამიანებისადმი სიმპათიური დამოკიდებულება, კაცთმოყვარეობა.

– ხედავთ... ფარისევლობაა. ამის თქმის უფლებას სახარებისეული სიბრძნე მძალევს: – „ნუ გაიღებთ მონყალებას სხვების დასანახად, ჩუმად აკეთეთ, რაც გინდათ, რომ გააკეთოთ“. ტელევიზიების თანხლებითა და პიარტექნოლოგიებით მადლის გაღება არარელიგიურია. ქვეყნის მადლი „ქვავს დევს“. მისი ვიზიტები შეჭირვებულლებთან დადგმული სუბტექსტულია, ხოლო შეჭირვებულთა გულწრფელი მადლობები – მისი პატივმოყვარეობის მალაში. მას დიდ პიროვნებებთან მიტმანება ახასიათებს, ამიტომ დგება პატრიარქის გვერდით.

ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ვერ ფლობს საკუთარ თავს, ხომ გახსოვთ დიდი შოთა: – „თუ თავი შენი თან გახლავს“... ამიტომაც არარაციონალურად აზროვნებს. მის მოღვაწეობაში სიცრუემ განსაკუთრებული მასშტაბები და ეპიდემიური ბუნება შეიძინა. ხშირად გაიკონებთ, პოლიტიკა სიცრუის ხელოვნებააო, მაგრამ ბატონი მიხეილი სულაც არ ცდილობს, სიცრუე ხელოვნებად დაიყვანოს. ცყუილებში ჩაფლული ხშირად აბსურდამდე მიდის და ლამის თქვას „ვეფხისტყაოსანიც“ ჩემი ზეობის ჟამს

დაინერაო, რაც მის რეიტინგს აშკარად ადგებს.

– მისი ფანები, ე.წ. „მიმისტიები“, მას ხან ზვიად გამსახურდიას, ხანაც სტალინს ადარებენ, თვითონ კი იდეალად დავით აღმაშენებელი მიაჩნია. ამას რით ახსნით?

– თავისი იდეალი რომ ჰყავს, ესეც ინფანტილურია. დავითის სახელთან სურს ასოცირება. ეს ავადმყოფური პატივმოყვარეობაა. რაც შეეხება ზვიადსა და მიშას, რადიკალურად განსხვავებული ფსიქოტიპებია. ზვიადი იდეის კაცი იყო, იდეალისტი ლიდერი,

ეროვნული თვითშეგნებით კონსტრუირებული, სტრუქტურულად საქართველოს ბედ-იღბალზე კონცენტრირებული. ზვიადთან შედარებით, მიშა ბანალური სუბიექტია, რომელსაც არ შეუძლია პირადულზე ამაღლდეს. ამისთვის მას არც ნებისყოფა, არც სულიერი სიმტკიცე და არც შინაგანი კეთილშობილება არ ყოფნის.

სტალინი უდიდესი პოლიტიკოსი იყო, ჭკუითა და გონებით გამორჩეული, რაციონალურად მოაზროვნე, ბრწყინვალე სტრატეგი. უბრალო ლიდერი კი არა... ბელადი იყო. ჰენრი კისინჯერი ამბობს: – „სტალინს ჰიტლერთან დაპირისპირება იმიტომ გაუჭირდა, რომ მისი რაციონალიზმი ჰიტლერის იმპულსურობას შეეჯახა“. ჰიტლერიც ქოლერიკი გახლდათ. პირადად მე ვერ ვხედავ სტალინის პიროვნებასა და მიხეილ სააკაშვილს შორის პარალელურ, მსგავს ფსიქოლოგიურ მტრისებას.

ქვეყნის პრეზიდენტი არავისთან მსგავსებას არ უნდა ეძებდეს. ის ხალხის წიაღიდან უნდა იყოს გამოსული, ანუ „ერთი ჩვენგანი“ და „ჩვენ შორის საუკეთესო“.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

ქვეყნის პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პიროვნული სიმდიდრე. სიმდიდრეში ასაკს არ ვგულისხმობ. ადამიანი 20 წლის ასაკშიც პიროვნებაა, ზოგი კი 60 წელს ისე მიაღწევს, სიმდიდრეს ვერ ეღირსება. შეუძლებელია, ანუ უმნიშვნური პიროვნებას რეალობის აღქმის უნარი არ გააჩნიათ. ასეთ სუბიექტებს ფსიქოლოგები ბავშვობა-

ლებს, ცინიკოსია. თვითონ კი სხვებისადმი მორჩილებას ვერ ეგუება, სიამაყით დანყვევლილს „პიროვნობის ჭია“ ღრღნის. შეკავების უნარი სუსტი აქვს, იმპულსებს ვერ იმორჩილებს, რის გამოც ექსტრემალურ სიტუაციაში მისი მხრიდან სისასტიკის გამოვლენის ალბათობა დიდია. ქოლერიკისთვის უცხოა ჰუმანურობა, თანადგობა, თანადგობა, სოციალური სოლიდარობა, სიღ-

ფსიქოლოგები არშემდგარ პიროვნებას ვეძახით. ქვეყნის პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პიროვნული სიმდიდრე. სიმდიდრეში ასაკს არ ვგულისხმობ. ადამიანი 20 წლის ასაკშიც პიროვნებაა, ზოგი კი 60 წელს ისე მიაღწევს, სიმდიდრეს ვერ ეღირსება. შეუძლებელია, ანუ უმნიშვნური პიროვნებას რეალობის აღქმის უნარი არ გააჩნიათ. ასეთ სუბიექტებს ფსიქოლოგები ბავშვობა-

საქართველო

გსურთ, გაზვიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ძვირფასო მკითხველო, გინდ დაიჯერე, გინდ არა. მაგრამ ყველაფერი, რასაც ახლა ვიამბობ, ცოტა ხნის წინათ შემემთხვა... ჩვეულებრივი თბილისური საღამო იდგა. ცხრასათიანი საინფორმაციო გამოშვება უკვე მთავრდებოდა, როცა კარზე ზარის ხმა გაისმა.
კარი გავადე და საკუთარი სახლის ზღურბლზე დავინახე... თავად სპარტიველს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი!!! წითელი ვარდით ხელში...

– ბატონო მიხეილ??? – ძლივს ამოვღერდე...
– ჰო, მე ვარ, შენი პრეზიდენტი, – ჩვეულებრივად მიპასუხა მან, თანაც დასძინა – ხომ წერ, სააკაშვილი ხალხისთვის მიუხედავად, ჰოდა, მეც ავდექი და მოვედი!
– სტუმარი ღვთისაა, მით უმეტეს – ასეთი მალაღობი, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ცოტა გონს რომ მოგვადი, შინ შევიპატიოყენო. ისიც შემოვიდა და, როგორც ასეთი სიტუაციაში ქართველებს გვჩვენებდა, სახელდახელო სუფრა ვიპოვე, ღვინოთა და ტრადიციული სადღევანდოებით. ჩვენ შორის გულითადი საუბარი გაიმართა.
– მაინც, რით დავიმსახურე ასეთი პატივი, ბატონო მიხეილ?
– ჯერ ერთი, დროა, ერთმანეთს შენობით მივმართოთ, მეორედ – შენი სტატუსი წავიკითხე და შენ შესახებაც გავიკითხე-გამოვიკითხე. უნდა გითხრა, რომ, სხვებისგან განსხვავებით, ძირითადად, სიმართლეს წერ... და, რაც მთავარია, როცა მაკრიტიკებ, ღვარძლს არ ანთხევ! ამიტომაც დავინტერესდები, თუ ვინ იყო პოლიტოლოგი არნო სიდინ-ბეგიშვილი, რატომ მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ? დღეს ხომ საქართველოში ჩემი კრიტიკით პრობლემების გარდა ვერაფერს შეიქმნის – ვერც ფულს მიოვი, ვერც თანამდებობას მიიღებ და ვერც სახელს მოხვეჭ... აი, ქსანში, საკანში კი შეიძლება მოხვედრე! ხომ იცი, რომ ჩემი მლიქვნელები მშობელ მამას გაიმეტებენ საციხოდ, ოღონდ მასიამოვონ. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, სულაც ნაცემი გიპოვონ სადღაც, თანაც, ჯიბეში „სუბოტეკსით“.....
– ვიცი, მიშა, ვიცი! რას იზამ, ცხოვრებაში ბევრს იმიტომ ვერაფერს ვენიე, რომ, გინდა მომკალი, მლიქვნელობა არ შემიძლია: როგორც გარკვეულ დონეს მივალნე ყოველგვარი „ლობის“ გარეშე, კვლავ ყველაფრის ნულიდან დანება მისდებდა... ლობიო მიირთვი, ბატონო პრეზიდენტო, დედაჩემის მომზადებულა...
– მეც ამას გეუბნები, რაღაც არანორმალური ხარ: სტუმრად პრეზიდენტი გწვია, შენ კი, იმის მაგივრად, რომ მოინანიო, რაიმე მთხოვო, ვთქვათ, თანამდებობა (იცინის), შენსას მიერეკები. არა უშავს, არა უშავს, ეს ისე, ხუმრობით ვთქვი. მართალი გითხრა, შენისთანები მჭირდება კიდევ. ცოტა ხანს მოითმინეთ და მალე ყველაფერი კარგად იქნება.
– მოვითმინოთ, „უფრო მაგრად შემოვიჭიროთ ქამრები“?! კარგი რა, მიშა! ეს „სიმღერები“ ბევრჯერ მოგვისმენია – კომუნისტებისგანაც, შევარდნაძისგანაც, ახლა შენგანაც ვისმენთ... დავილაღე ლოდინით, ნიასური ხომ არა ვარ, ამქვეყნად მეორედ რომ მოვიდე?! მე, კარგი, ჯანდაბას ჩემი თავი, ხალხს რას უშერებ?! ჩემსა და შენს ხალხს, მიშა! იცი თუ არა, ძვირფასო, რომ სა-

ქართველო „ფოკუსნიკების“ ქვეყანაა?! თვით დევიდ კოპერფილდიც კი, შენი ქვეყნის მოქალაქეებთან შედარებით, არარაობაა! ერთი ამიხსენი, „ფოკუსნიკების“ გარდა, ვინ გაიტანს თავს ამ პენსიებით? და თითქმის ასეთივე ხელფასით, ანდა, თუნდაც, უიმი-სოდაც?! იცი თუ არა, მიშა, ბოლო ხანს რამდენად გაძვირდა ცხოვრება საქართველოში?! მედიკამენტები, მთელი სამომხმარებლო პაკეტი – პროდუქტი, საქონელი, მომსახურება... ისე, ჩემგან თავის მოხვედრება გაკლდა, განა შენი ბენდუქიძე არ გეუბნებოდა ამას? თუ მხოლოდ იმას გიკაკლავს, რომ სახეში შეაფურთხეს?!
– ჰო, ბენდუქიძე, დაფუშვით, უკვე დიდი ხანია, შესაცვლელი იყო. „მაგრამ გააკეთა თავისი საქმე“ – გაყვიდა ყველაფერი, თავისი სინდისიც საჩუქრად მიაყოლა... ეჰ, ფიქრობ, მე განა არ მტკივა გული ჩემი ხალხის გამო? განსაკუთრებით, როცა ჩვენს ჰიმნს ვუსმენ... ისე მტკივა, რომ გული ხელით მიჭირავს! მაგრამ გამიგე, ჯიუტ? „ზოგიერთი რამ ჩემს ძალებს აღემატება...“
– აი, ხალხის ციხეში ჩასმა – ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის თითქმის ერთ-ნახევარი პროცენტი – არ აღემატება შენს ძალებს?! შენი ვერაფერი გამიგია, მიშა, ვერაფერი... მაშ, მოდი, მიპასუხე: იქნებ ბუში შეგპირდა, საქართველოს შეერთებული შტატების შემადგენლობაში მი-

გალთუსის თეორია,

ანუ თურქეთის ახალი ვილაიეთი

(პოლიტიკური ტრაგიკომედია)



– როგორც ჟვანია, სომე?! – წამომცდა და მაშინვე ვინანა: პრეზიდენტი ძალიან გაბრაზდა...
– ნუთუ შენც გპონია, რომ გინდა, რომ გადავდე?! – განაგრძო გაბრაზებული პრეზიდენტი, – ნურას უკაცრავად! ამას ხომ ხედავ?! – და მიჩვენა პრეზიდენტის ბრანნი... მაშინ პრეზიდენტს დასამშვიდებლად სადღევანდო შევთავაზე:
– მოდი, მიშა, იქნებ შენი კუ-მირის – მუსტაფა ქემალ ათათურქის სადღევანდო შევსვით! – და უცებ სახე გაუნათდა.
– სიამოვნებით! იცი რა, საიდუმლოდ გავანდობ: რა თქმა უნდა, მესმის, რომ შეერთებულ შტატებში ვერ მიგვიღებენ – შორსაა, არც ვესაზღვრებით. თურქეთი კი ჩვენი მოსაზღვრეა! თანაც, ყველაფერი იქიდან შემოგვაქვს, ყველა ქართველმა იქ იშოვა საქმე – მამაკაცებმა და, განსაკუთრებით, ქალებმა... ამიტომაც ვაპირებ, თურქეთს – ნატოს უახლოეს ფორპოსტს – მივმართო: მიგვიღონ როგორც ახალი პროვინცია, გურჯისტანის ვილაიეთი! შემდეგ 300.000 თურქი-მესხი შემოვუშვათ და თბილისში, თავისუფლების მოედანზე, ათათურქს ძეგლი დაავუდგათ, მერე კი...
და უცებ შეძრწუნებულს... გამომეღვიძა და მივხვდი, რომ ყოველივე ეს – პრეზიდენტის სტუმრობა და ჩვენი საუბარიც – სიზმრად ვნახე! გონს ძლივს მოვედი და ის იყო, მუბლიდან ცივი ოფლი უნდა მომენმინდა, რომ ფანჯარაში... **თურქული ნახევარმთხარა დაწინადა!!!** მაგრამ სათვალე რომ გავიკეთე და კარგად დავაკვირდი, მივხვდი, რომ ეს ოდენ „წითელი ჯვრისა და ნახევარმთხარის“ მანქანა ყოფილა, რომელიც ჰუმანიტარულ დახმარებას არიგებდა! მალთუსის თეორია მოქმედებდა...

არნო სიდინბეგიშვილი

შეითხვევით, შენც ხომ არ ბინდა, რომ გადავდე?! – განაგრძო გაბრაზებულმა პრეზიდენტმა, – ნურას უკაცრავად! ამას ხომ ხედავ?! – და მიჩვენა პრეზიდენტის ბრანნი...

წყალობაა, რადგან ყველა ეს საშინელი უბედურება ამცირებს დედამიწაზე... ადამიანთა რაოდენობას!

და უცებ თავში დამკრა: აქამდე როგორ ვერ მივხვდი?! რა თქმა უნდა, XVIII-XIX საუკუნეების ინგლისელი ეკონომისტის თომას რობერტ მალთუსის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ საარსებო სახსრებისა და მოხმარების საგნების მოცულობა გაცილებით ნაკლებად მატულობს, ვიდრე შობადობა. ამიტომაც უმუშევრობა, გაჭირვება, ომი, ეპიდემიები და შიმშილი „მანკიერება“ კი არა, „ბუნების“
და უცებ თავში დამკრა: აქამდე როგორ ვერ მივხვდი?! რა თქმა უნდა, XVIII-XIX საუკუნეების ინგლისელი ეკონომისტის თომას რობერტ მალთუსის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ საარსებო სახსრებისა და მოხმარების საგნების მოცულობა გაცილებით ნაკლებად მატულობს, ვიდრე შობადობა. ამიტომაც უმუშევრობა, გაჭირვება, ომი, ეპიდემიები და შიმშილი „მანკიერება“ კი არა, „ბუნების“
და უცებ თავში დამკრა: აქამდე როგორ ვერ მივხვდი?! რა თქმა უნდა, XVIII-XIX საუკუნეების ინგლისელი ეკონომისტის თომას რობერტ მალთუსის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ საარსებო სახსრებისა და მოხმარების საგნების მოცულობა გაცილებით ნაკლებად მატულობს, ვიდრე შობადობა. ამიტომაც უმუშევრობა, გაჭირვება, ომი, ეპიდემიები და შიმშილი „მანკიერება“ კი არა, „ბუნების“

P.S. როდესაც 2005 წელს განვაცხადე, რომ მიხეილ სააკაშვილი ქვეყანას მართავს მალთუსის თეორიით და საქართველო მალე გახდება თურქეთის ახალი ვილაიეთი (ესე იგი – პროვინცია), ბევრმა უხეირო ხუმრობად მიიჩნია. მაგრამ ფაქტები ჯიუტია: მალე ამის შემდეგ საქართველოში გაუქმდა საგიზო რეჟიმი თურქეთთან, თანაც იმ დროს, როდესაც მსოფლიოში „ბობოქრობდა“ ქათმის გრიპი, თურქეთი კი ამ ეპიდემიის ერთ-ერთ კერად აღიარეს... საერთოდ კი, ასეთ შემთხვევებში საზღვრებს სასწრაფოდ კეტავენ, მაგრამ... არა ერთი ქვეყნის შიშით:
ღიბს, ღიბს, ახლა გზაზე თბილისიდან (გურჯისტანის ახალი ვილაიეთის ცენტრიდან) ანკარამდე (საქართველოს ახალ დედაქალაქამდე) ჩვენს ტურისტებს, მომგზავრებს და მიძახებს არაპინდ და ალაბარაში არჩენებს!
მიშა-ფაშამ კი, ალბათ, მიიღო მადლობა „ქვეყნის დემოკრატიზაციის მორიგი რეკომენდაციის შესრულებისათვის“!
და კიდევ – უახლოეს ხანებში რუსეთ-საქართველოს საზღვრის მთელ მონაკვეთზე გაჩნდება უზარმაზარი ბატონის კედელი – ეკონომიკის მიზნით მისი აგებისათვის გაჩნდება ნაწილ-ნაწილ გამრუდებულ სასაქონლო დაწესებულებების კედელს...



სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ოთხი ფორმიდან — მტრობა, დამორჩილება, განადგურება და პარტნიორობა — საქართველომ სამხრეთისკენ მიმდინარე სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე ოთხივე გამოცდას გააძვირებინა. მისი გეოგრაფიული მდებარეობა გულსხმობდა მტრულ გარემოცვაში ყოფნას. ეს უფრო ბედისწერაა. დამორჩილებული იყო და განადგურების პირასაც იდგა, მძლეც იყო და ძლიერთათვის ანგარიშგასწავნი პარტნიორიც. ისტორია აწარმოებდა ერის ხასიათს, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მკვეთრად აისახებოდა თითოეული ნაბიჯი და ერის მახასიათებლები იღებებოდა ყოველი განსაცდელი. ამიტომაც გადარჩა საქართველო და გაქრა მრავალი ძველმოსილი იმპერია, რომელთა არმიებს ქართველთა მიწა უმონყალოდ მოუთარეშებია.

დღესაც განსაცდელი ემუქრება ჩვენს ქვეყანას. ძნელი სათქმელია, შექმნილი ვითარება გვაიძულებს თუ არა, კიდევ ერთხელ გადავხედოთ პოლიტიკურ ორიენტაციას სახელმწიფოს რღვევის შესაჩერებლად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ გამოცდილებას, არჩევანის ვაკუუმში აუცილებლად მოგვიწევს. მაკიაველის დასკვნას, რომ პატარა ქვეყნები საერთაშორისო პოლიტიკაში პრობლემაა, დღესაც არ გავსვით. მით უფრო, რომ ერთპოლუსიანობის დასასრულის ყველა ნიშანი სახეზეა და დიდი სახელმწიფოების ვაჭრობის საგნად ქვეყნულ პატარა-პატარა სახელმწიფოებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ სუვერენიტეტის შენარჩუნება.

ბოროტების იმპერიის — დიადი საბჭოთა კავშირის რღვევამ მთელი მსოფლიოს პოლიტიკური რუკა ააჭრელა. და ეს სრულიად ბუნებრივი პროცესი იყო. იმპერიის ნანგრევებიდან უსისხლოდ თავის დაღწევა დიდ პოლიტიკურ გამჭრიახობას მოითხოვდა და ამოუკიდებლობის მოსურნე პატარა რესპუბლიკებისთვის. სამწუხაროდ, საქართველომ ყველაზე მეტად ზღო, თუმცა რატომ, ვერ კიდევ ვერ გავრკვეულვართ. ქართული სიფრთხილე ქართულმა მაქსიმალისმმა გადასალა და ყველას კარგად გვახსოვს ბალახის ჭამისკენ მოწოდებები დამოუკიდებლობის საზღაურად. დიდი სისხლისღვრის ფასად საქართველომ დამოუკიდებელი გახდა, თუმცა ბალახის ჭამის ნაცვლად, პირველსავე ეტაპზე იმის განადგურება დაიწყო, რასაც განსაკუთრებით უნდა მოგფრთხილებოდით. საბჭოთა პერიოდში შექმნილი ქონება დაუნაწესებლად გადანაწილდა და მსოფლიო ბანკისა თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, სხვა საერთაშორისო ეკონომიკური თუ საფინანსო ინსტიტუტების დაჟინებული მოთხოვნების დაუფიქრებელი და გულუბრყვილო შესრულებით ქვეყანა ყუამდე დავიყვანეთ.

დამოუკიდებლობის პირველი ათი-თხუთმეტი წლისთვის თვალის ერთი გადავლება საქმარისა იმაში დასარწმუნებლად, რომ პატარა საქართველო კიდევ

უფრო დამოკიდებული გახდა უცხოურ კრედიტზე, რომლებსაც სიხარულით ვიღებდით შიდაეკონომიკური ხანძრების ჩასაქრობად. თუმცა, თვით ის ფაქტი, რომ გაჭირვებულ ქვეყანაში უამრავი ფეხმძვინვარე სასახლე და მილიონერი გაჩნდა, ნათლად მიუთითებს ამ კრედიტების „მიზანმიმართულ ხარჯვაზე“.

თუმცა, კალამი გამეჭვია და ჯობს, ორიენტაციის გამოცდას მივუბრუნდეთ.

სამეფო-სამთავროებმა დაშლილი და განადგურების პირას მდგარი საქართველოსთვის XVII-XVIII საუკუნეები ორიენტაციის გამოცდის ასწავლულად იქცა. საქართველომ დაიწყო მკვეთრი მოძრაობა ევროპისკენ, რამაც მისი უძლიერესი მეზობლების — ირანისა და თურქეთის განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია. ისტორიული ბედისწერით, საქართველოს მეფეების ცდამ, ევროპის დახმარებით დაეღწიათ თავი სპარსეთისა და ოსმალეთის გარემოცვისთვის, მარცხი განიცადა — ევროპას თავისი პრობლემებიც უხვად ჰქონდა. ინტერესებიც, რასაკვირველია, რომელთა გაუთვალისწინებლობას ქართველ დიპლომატთა იმედგაცრუება მოჰყვა.

ევროპას თავისი გასაჭირი ადგა ოსმალეთის მხრივ და კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. სამაგიეროდ, კავკასიას და, კერძოდ, ქართულ სახელმწიფოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთი. თუკი XVI-XVII საუკუნეებში ამაოდ დაშვრნენ ქართველი მეფენი, XVIII საუკუნეში უკვე რუსეთი იჩენს ინიციატივას და ფართო ფრონტით ცდილობს საქართველოზე გავლენის მოპოვებას.

დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს ყოველთვის დაპყრობითი ომები და ტერიტორიების გაფართოება წარმოადგენდა. ნინაალმდგეობის შემთხვევაში კი ძალადობა განსაკუთრებული სისასტიკით ვლინდებოდა. გამონაკლისი არც რუსეთი იყო, მაგრამ მისი სტრატეგია მკვეთრად განსხვავდებოდა კავკასიის ხალხებზე გაბატონების მოსურნე ორი მუსლიმანუ-

დინეზის და გავლარის თევზების შესახებ

რი სახელმწიფოს — სპარსეთისა და ოსმალეთის პოლიტიკისგან. ეს უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს კავკასიაში პირველობის მოსაპოვებლად, რუსეთი კი მოცდისა და ხელსაყრელი სიტუაციის დადგომის ლოდინს, თავის მოკატუნების პოლიტიკას ატარებდა. რუსმა დიპლომატებმა კარგად იცოდნენ, რომ ევროპას საქართველოსთვის არ ეცალა, საქართველო არ შედიოდა ევროპულ სახელმწიფოთა პრაგმატული ინტერესების სფეროში და მისთვის დახმარების აღმოჩენა უმიზნოდ მიჩნდათ რეალური პოლიტიკის მომხრე ევროპის მესვეურთ.

ქართველთა ოცნება მუსლიმანური სამყაროსგან თავდახსნა, ირანისა და თურქეთის ჯარების გამოდევნული შემოტევებისა და მათგან ნაქეზებული კავკასიის მთიანეთის მოთარეშეთა აღკვეთა იყო და ფიზიკური არსებობის საფრთხის წინაშე მდგომი საქართველოს გადარჩენას იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწენი ქრისტიანული ორიენტაციის გზაზე ხელდადებდნენ. თუმცა, ალბათ, ძნელად წარმოიდგინდენ, რომ გადარჩენის გზაზე სწორედ ის საფრთხე იყო ჩასაფრებული, რომელსაც განსაკუთრებით ერიდებოდნენ და ისტორიული პედიგერიით ვერ ასცდა ჩვენი ქვეყანა.

1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ციხესიმაგრეში ხელმოწერილი რუსეთ-საქართველოს სამოკავშირეო ხელშეკრულება გამარჯვება იყო ორიენტაციის იმ კურსისა, რომელიც ქვეყნის მმართველმა წრეებმა ადრევე აირჩიეს, და აგვირგვინებდა ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლებს, რასაც ქართველობა მტრული გარემოცვიდან გამოსვლისთვის ეწეოდა. ნიკო ბერძენიშვილის თქმით, „არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრებისაკენ წაეყვანა“.

ისტორიის ხანგრძლივი გამოცდილებით დადასტურებულია, რომ კლასობრივ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ხელშეკრულებანი და გარიგებანი თავიანთ პირვანდელ შინაარსს იშვიათად თუ ინარჩუნებს. ყველაფერი დამოკიდებულია ძალთა თანაფარდობაზე. ძლიერი მხარე მუდამ იმის ცდაშია, რომ ხელშეკრულება თავისი ინტერესების სასარგებლოდ წარმართოს. ამ ჭეშმარიტებას ყავლი დღესაც არ გავსვით. ჩვენს დროშიც კი ხელს აწერენ შეთანხმებებს, რომელთა შინაარსი აშკარად აკინებებს სუვერენული სახელმწიფოს უფლებებს. მაგალითისთვის საკმარისი იქნება 2003 წელს ხელმოწერილი და იმავე წლის 21 მარტს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთან-

ხმება. ამ შეთანხმებას და მის კომენტარებს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში ვრცელი პუბლიკაცია მიეძღვნა და აღარ განვიხილავთ. ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ შეთანხმება შესრულებულია ორ ეგზემპლარად: ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია, მაგრამ „ქართული და ინგლისური ტექსტების შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტებს“. შეთანხმებაში ამ მუხლის დამატებით ამერიკულმა მხარემ ქართულს მიანიშნა, ვის ენიჭებოდა უპირატესობა არა მხოლოდ „ტექსტების შეუსაბამობის შემთხვევაში“.

ჩვენ ობოლი ერი ვართ, ფრთხილად, ქართველებო! — ჭაბუა ამირეჯიბის ეს მოწოდება, ალბათ, კიდევ დიდხანს შეგვახსენებს თავს. საქართველოს მთელი ისტორია ამას ადასტურებს და, ამიტომაც, გასაოცარია ქართული მოლოდინი. რატომ გვგონია, რომ ვილაც მოვა და წმინდა ალტრუისტული მოსაზრებებით ჩვენ ნაცვლად ჩვენს საქმეს გააკეთებენ?

ნუ დაგვაფიქვნიან, რომ ევროპაც და ამერიკაც ინდიფერენტულად შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას XX საუკუნის 20-იან წლებში. ასევე გაიგონეს, რომ თვით რუსეთიც სიფრთხილედ იჩენდა ირანისა და თურქეთის ინტერესების მიმართ XVIII საუკუნეში. ასე იქცევიან დიდი სახელმწიფოები. ამჯერად წინა პლანზე წამოიწია რუსეთის ინტერესები. ამიტომაც 1919 წლის ზაფხულში ინგლისის ჯარმა დატოვა საქართველო და აზერბაიჯანი, მის ნაცვლად კი ინგლის-ამერიკის პოლიტიკური მისიები ჩამოვიდნენ.

საქართველოს საზოგადოება დადებით აზრს გამოთქვამდა აშშ-ს დამოუკიდებლობის გამო ჩვენი ქვეყნისადმი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ამერიკელები საქართველოში ხიშტებით არ იყვნენ შემოსული და აგზავნიდნენ სურსათსა და ფქვილს (რაც ნაცნობი სურათია — XX საუკუნის 90-იან წლებში საომარ მოქმედებებში ჩათრეულ საქართველოში ამერიკელები ფქვილს გზავნიდნენ, შარშან საბრძოლო გემით ჰუმანიტარულ დახმარებასთან ერთად სასმელი წყალიც უხვად მოგვანოდეს და ამისთვის დღემდე მუხლმოყრით ვემაღლიერებით, თუმცა, ერთი განსხვავებაც არის — თუკი 15 წლის წინ რეალურად არაფერი გაუკეთებია რუსეთის აგრესიის შესაჩერებლად, შარშან შემოფოთება და აღშოფოთება ერთმანეთს ენაცვლებოდა და დამამედებელ განცხადებებსაც უხვად ვისმენდით. თუმცა, შედეგებზე რა მოგახსენოთ!..), რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო ბლოკადაში მოქცეული ჩვენი რესპუბლიკისთვის.

მაგრამ ამერიკის მთავრობა სულ სხვა მოსაზრების იყო საქართველოს სუვერენიტეტის მიმართ. ეს აშკარად გამოიხატა 1920 წლის აგვისტოში, როცა გა-

მოქვეყნდა ამერიკის მთავრობის ნოტა იმასთან დაკავშირებით, რომ მას შესაძლებლად მიჩნდა მხოლოდ პოლონეთის, ფინეთისა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

ნოტაში, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 1920 წლის 10 აგვისტოს გადასცა იტალიის ელჩს ვაშინგტონში, ნათქვამი იყო: აშშ-ს აზრით, მეგობრობა და პატიოსნება თხოულობს, რომ რუსეთის ინტერესები მზრუნველობით იყოს შენარჩუნებული. რაც შეიძლება გადაიდოს ის საკითხები, რომლებსაც რუსეთისთვის სასიკეთოდ ინტერესები აქვს, განსაკუთრებით ის საკითხი, რომელიც ეხება რუსეთის სუვერენიტეტს ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

აშშ-ს მთავრობას მიჩნდა, რომ პოლონეთი, ფინეთი და სომხეთი დამოუკიდებლობას იმსახურებდნენ, რადგან რუსეთს დაპყრობილი ჰყავდა, საქართველო კი თავისი სურვილით იყო შემოსული რუსეთის იმპერიაში და ამიტომ მის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ამერიკის მთავრობას არაფერი სმენოდა 1783 წლის ტრაქტატსა და მის შინაარსზე, მაგრამ აშშ-ს თავისი მიზნები ჰქონდა.

ესეც მაგალითად, გასათვალისწინებლად.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით საქართველო კვლავ დამოუკიდებელი გახდა, აირჩია პრეზიდენტი და განმეორდა 1921 წელი. მსოფლიო თანამეგობრობამ თავი შეიკავა დამოუკიდებლობის ცნობისგან ისევე რუსეთის, ამჯერად საბჭოთა რუსეთის, შიშითა და რიდით, მისი ინტერესების გათვალისწინებით.

გაურკვეველი იყო საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური თავშეკავება, მაგრამ ყველაფერს ნათელი მოჰფინა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებმა — ქართულმა ბურჟუაზიამ („ნითელმა დირექტორებმა“) და ე.წ. ინტელიგენციამ პირი შეკრეს და საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დედაქალაქიდან იძულებით გააქცევს რუსეთის პოლიტიკური ნრეებისა და სამხედროების ნაქეზებითა და აქტიური მხარდაჭერით. ევროპა გაიხურა, ხოლო ამერიკის პრეზიდენტს უკვე ნათქვამი ჰქონდა ცნობილი სიტყვები — „საქართველოს პრეზიდენტი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს“. ჯორჯ ბუშს (უფროსს) დღემდე არ გაუმხელია, რა რეაქცია ჰქონდა, როცა მოუტანეს ზვიად გამსახურდიას პასუხი — „დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან“.

თბილისში დანეყებული სახელმწიფო გადატრიალება სამოქალაქო ომში გადაიზარდა, სამოქალაქო ომი კი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში სისხლიანი კონფლიქტებით გაგრძელდა. ეს იყო სრული კატასტროფა ომისთვის მოუმზადებელი ქვეყ-

საქართველო

გსპრთ, გაზვიაროთ თქვენი მოსაზრებები? ლაზიკაძე: 92-37-58, ან მოგზავეთ: info@geworld.net

ნურს გაფრინდები, ნურს მოფრინდები

გვაქვს თუ არა სოხუმსა და ცხინვალში დაბრუნების შანსი?!

ნისთვის. სოხუმსა და ცხინვალში სეპარატისტული რეჟიმები დამყარდა.

და ამ მეორედმა ისტორიული ფაქტი. თუ გნებავთ, დეჟავუ: ომში დამარცხებულმა მთავარსარდალმა (სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ მას ბოლო წუთამდე არ მიუტოვებია ალყაშემორტყმული სოხუმი) დახმარებისთვის რუსეთს მიმართა ამბოხებული სამეგრელოს დასაშორებლად (გაიხსენეთ, როგორ სთხოვა კახეთის მეფემ თეიმურაზ პირველმა რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველს ჯარის მიცემა ქართლის მეფე როსტომის წინააღმდეგ საბრძოლველად). რუსმა სამხედროებმა იყოჩაღეს და საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა სამეგრელოს მთებს შეაფარა თავი, სადაც აღესრულა კიდევ 1993 წლის დეკემბრის დამლევის.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ევროსაბჭოს წევრი, მაგრამ მის სახელმწიფოებრიობას დიდი საფრთხეები ემუქრება. თუკი ამ ყველაფერს შეტანაქვდა ითვალისწინებდა ბალანსირების ოსტატი ედუარდ შევარდნაძე, დღევანდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისი რადიკალიზმის უფესურსში გადაიჩეხა. ამიტომაც უდიდესი პრობლემები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გადაიქცა ნარმოუდგენელ საფრთხედ ქართული სახელმწიფოებრიობისთვის. აშშ-ს ადმინისტრაცია კი, ითვალისწინებს რა რუსეთის ინტერესებს კავკასიის რეგიონში, მოგვიწოდებს, რუსეთთან მოლაპარაკებით მოგავაროთ ჩვენი პრობლემები. არაერთ მითითებას — მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანად — მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომი ცხინვალის რეგიონში. ევროპა შემოვიდა, ამერიკა აღშფოთდა. ან — პირიქით, რა მნიშვნელობა აქვს. რუსეთმა კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო. იმ „სამხრეთ ოსეთის“, სადაც რესპუბლიკა პრეზიდენტმა გამსახურდიაშვილმა ბაბაუშმა და რომლის ავტონომიის პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღადგინა და ტერიტორიები გაუფართოვა ახალგორის რაიონის მიერთების.

საქართველო ობოლი ქვეყანაა, ჩვენ ობოლი ერი ვართ. ამიტომ მეტი სიფრთხილე გვმართებს, მუდმივად სამართების პირზე მოსიარულე სახელმწიფოს ბრძენი მმართველი სჭირდება, რომელიც მხოლოდ ამ სახელმწიფოს გაძლიერებასა და განმტკიცებაზე იზრუნებს. ჩვენ ვირჩევთ და არ ვუფიქრებთ, მერე კი ვნანობთ, მაგრამ...

გარემომცველ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობის მთელი ისტორია სავსეა საფრთხეებით და ამ საფრთხეების თავიდან აცილების წარმატებული თუ წარუმატებელი მცდელობებით. მაგრამ ისეთი ბრიყული შესვლა საფრთხეში, როგორც ეს შარშან „მოვახერხეთ“, ძნელი მოსაძებნია მსოფლიო ისტორიის ანალებშიც კი.

ამასაც ნიჭი უნდა. ჩვენ მოვახერხებთ.

**ბოდუნი
გიორგი**

აგვისტოს კატასტროფის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ბუნებრივად გაჩნდა ორი ტრადიციული შეკითხვა: „ვინ არის დამნაშავე?“ და „რა ვიღონოთ?“.

დამნაშავეს რაც შეეხება, აქ ყველაფერი ნათელია. ეს არის ჩვენი ხელისუფლება, რომელმაც წამოიწყო ავანტიურა და სამარცხენოდ დაასრულა. რა უნდა ვიღონოთ, ესეც თითქმის გასაგებია — უნდა შევცვალოთ ხელისუფლება. უფრო ზუსტად კი, უნდა შევცვალოთ მმართველობის სისტემა, გავაუმჯობესოთ საარჩევნო კანონი, უზრუნველყოთ სასამართლოს დამოუკიდებლობა, დავამკვიდროთ მუნიციპალური და რეგიონული თვითმმართველობა, გავათავსოთ უფრო მეტი ადგილი ახალი ხელისუფლებას. მაგრამ რჩება უმთავრესი საკითხი — რა უნდა გავაკეთოთ ტერიტორიულ მთლიანობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხერხდება დემოკრატიული რეფორმის გატარება? რა მოვუხერხოთ განდგომილ და ან უკვე ნაწილობრივ აღიარებულ ტერიტორიებს? როგორ და რა სახით მოვახდინოთ მათი რეინტეგრაცია თუ შემოკლება?

ამ კითხვებზე პასუხი არავის აქვს. არც ხელისუფლებას, არც ოპოზიციას და არც ექსპერტ-პოლიტოლოგებს. საოცარია, მაგრამ არც არავინ ცდილობს გამოსავალის მოძებნას. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებაში ამ თემაზე არავითარი საჯარო სჯაბაასი არ მიმდინარეობს.

ტერიტორიული პრობლემის მოგვარების ვარიანტები ერთობ მწირია და მძიმე. გამოსავალი თითქმის არ ჩანს.

ამ ტერიტორიების ძალით დაბრუნების შანსი პრაქტიკულად არ არსებობს. ნებისმიერი მიზეზით დროის გაქაჩუნების ტაქტიკას კი, აზრი არა აქვს (იხ. ქვემოთ). საკითხი ითხოვს დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

არსებულ მდგომარეობას მხოლოდ რამოდენიმე გავრძელება აქვს:

1. რუსეთი უკან ნაიღებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ცნობას;
 2. საქართველო იცნობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს;
 3. რუსეთი უკან ნაიღებს ერთ-ერთს ცნობას, ხოლო საქართველო იცნობს ერთ-ერთ მათგანს დამოუკიდებლობას.
- სახელისუფლებო წრეებში და ოპოზიციის უმეტეს ნაწილში გაბატონებულია აზრი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდრო ურთიერთობით შესაძლებელი გახდება რუსეთისათვის პოზიციის დათმობინება და ტერიტორიების დაბრუნება.

ეს ფუჭი ოცნებაა. **ტერიტორიულ პრობლემაზე ახლოს არსებობს არ მოგვიგვარავს. მითუმეტეს, რომ სასამართლო ტერმინი (იხ. D.BANDON-ს წერილი 9 იანვრის WASHINGTON TIMES-ში). ჩვეულებრივი პარტნიორია ყოველგვარი ვალდებულების ბარკამი.**

ახლახანს ხელმოწერილი მემორანდუმში მართალია აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (იხ. პრეამბ.-2 და 1-1), მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ევროპულ და ატლანტურ სტრუქტურებში ინტეგრირებისათვის საქართველომ უნდა დააკმაყოფილოს აუცილებელი სტანდარტები (1-7), რომელთა შორის უმთავრესია ტერიტორიული მთლიანობის არარსებობა.

იმავრთულად მემორანდუმში, კატეგორიულად გამოირიცხავს ძალის გამოყენებას (2-2). თავის მხრივ ამერიკის მხარე არ ივალდებულებს თავს საქართველოს ტერიტორიული დაცვების მოგვარებაში.

მოკლედ, „ნურც ვაფრინდები, ნურც მოფრინდები“. ამ პრობლემის

ლოგიკური შეთავსება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაშია შესაძლებელი — თუ ძარბული მხარე იცნობს განდგომილ ტერიტორიებს. სხვაგვარად ნონსენსია. ხოლო თუ იცნობს, რუსეთის კავკასიონისგანდომილმა სამხედრო ყოფნას იმნამსვე გამოეცლება სამართლებრივი საფუძველი. **ზატმოვრივად მემორანდუმში ძალზედ ფაქტულად აზროვნებას ამაერიკის პრეზიდენტის მეთაურობაში ტერიტორიულ მთლიანობაზე საუბარს მივართ. განუზომელია ევროპის როლი რუსეთ-საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტასა და ჩვენი პრეზიდენტის „განდგომილების გადაწყვეტილი“.** სწორედ ევროპამ აიძულა რუსეთი გადაეცინა ჯარები გორიდან და ფოთიდან (ანუ ბაქო-თაშის უფლებიან საქართველოს დარღვევას). მაგრამ ვიყოთ რეალისტები, ეს არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც მას ჩვენთვის შეუძლია.

თავბრუ არ უნდა დაგვავიკოს 29 იანვრის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციამ. მართალია რუსეთს ამ ასამბლეაზე ყური ვვარიანადა აუნიეს, მაგრამ კრემლი რეზოლუციის ჯიბრით პრინციპულად არ ნაიღებს უკან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობას.

ამ რეზოლუციით ევროპამ ყვითელი ბარათი უჩვენა რუსეთს მისი ბოლოდროინდელი დესტრუქციული მოქმედებების გამო. როგორც დავოსის სამიტმა აჩვენა, რუსეთი წამსვლელია კომპრომისზე, მაგრამ არა ჩვენი ტერიტორიების მიმართ.

რომც მოხდეს სასწაული და რუსეთმა, საქართველოს დესტრუქციული რენეზაციის სანაცვლოდ (რასაკვირველია რუსეთის სასარგებლოდ), უკან ნაიღოს აღნიშნული ტერიტორიების დამოუკიდებლობის ცნობა, მაინც არაფერი შეიცვლება. მოსკოვისთვისაც კი გასაოცრად, ჩარხი უკან აღარ დატრიალდება. მათ დამოუკიდებლობას იმნამსვე იცნობს დასავლეთი და დაამთავრებს თამაშს.

საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ მრავალი წლის შემდეგ, მიზეზთა და მიზეზთა გამო (მოსკოვსა და თბილისში შეიცვლება ხელისუფლება, რუსეთი დასუსტდება, საქართველო ეკონომიურად მოლონიერდება და ა.შ.), აფხაზეთსა და ოსებს მოუბრუნდებათ ჩვენზე გულად და საქართველოს გაუჩნდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური შანსი. ამიტომ უნდა მოვიცადოთ და არაფერზე ვინალვლოთ. ყველაფერი თავისთავად მოგვარდება.

ეს აზრი უაღრესად მანეა,



რადგან გვიბიძგებს ტერიტორიული დანაკარგების შეგუებისაკენ. რუსეთმა აფხაზეთს და ოსი ხალხის ბედნიერებისათვის კი არ იომა, რომ მათ სახელმწიფო შეუქმნას. ჯარების ჩაყენებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, რუსეთი ცდილობს არ დაუშვას ამ რეგიონებში ეთნოკრატიული მმართველობა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეთნოტერიტორიული ისტორია, კონფლიქტის გენეზი და ჩრდილოკავკასიელთა მიმართება პრინციპულად განსხვავებულია. ამიტომაც იყო ეროვნული ხელისუფლების მიდგომა ამ პრობლემებისადმი დიფერენცირებული. სამხრეთ ოსეთში დიფერენცირებული იყო სიბრტყეზე დაყენება და შედეგად სახეზე გვაქვს: ორივემ ერთნაირი სტატუსი მოიპოვა.

სამაგიეროდ უცხოელმა ექსპერტებმა მიაცქიეს ყურადღება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არატოლოგისგან მდგომარეობას. ისინი თვლიან, რომ აფხაზეთს აქვს დამოუკიდებლად არსებობის გარკვეული შანსი, რასაც სამხრეთ ოსეთი სრულიად მოკლებულია. ეს უკანასკნელი ან რუსეთს უნდა შეუერთდეს ან საქართველოს.

განდგომილ ტერიტორიათა განსხვავებიდან გამომდინარე, შეიძლება მოსკოვთან ურთიერთობის აღსადგინება პრობლემის სანახევროდ მოგვარებაზეც გვეფიქრა: რუსეთს უკან ნაიღოს სამხრეთ ოსეთის ცნობა, ხოლო საქართველოს ეცნოს აფხაზეთი.

სამსუხაროდ, ეს ვარიანტიც უშანსოა. საქმე იმაშია, რომ ოსები წარმოადგენენ რუსეთის ერთადერთ დასაყრდენს უაღრესად დამუსტრული ჩრდილო კავკასიაში. ძნელი წარმოსადგენია რუსეთმა გასწიროს თავისი ფავორიტი ეთნოსი და კიდევ უფრო გაიართულოს მდგომარეობა რეგიონში.

დაუდასტურებული ინფორმაციით არის შემთავაზება მოსკოვიდან: თუ ჩვენ რუსეთის დამჯერნი ვახდებთ, იგი მოიღებს მონყალებსა და „მოგვიგვარებს“ ტერიტორიულ პრობლემებს მრავალსუბიექტიანი (ქართულ-აფხაზურ-სამხრეთოსურ-აჭარულ და ა.შ.) კონფედერაციის შექმნით. რასაკ-

ვირველია რუსეთის ეგიდითა და პატრონაჟით.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ ჩვენ დავთანხმდით კონფედერაციას, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებას, რაღად გვჭირდება რუსეთის შუამავლობა? განა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას დამოუკიდებლად ვერ მოვახერხებთ?

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. საქართველო დღეს არის ვერშემდგარი სახელმწიფო, რომელსაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონწყობაც არა აქვს დასრულებული (მხარისა და რაიონის არაკონსტიტუციური თანაარსებობა ამის დასტურია). ასეთი სახელმწიფოს გაერთიანება კონფედერაციაში, იქნება მისი შემდგომი დეინტეგრაციის საწინდარი.

უნდა შევცხოთ და გავიაზროთ შექმნილი რეალობა. ამაჯერად მიმდინარეობს საქართველოს გაყოფის პროცესი (რუსეთის მიერ სეპარატისტთა დამოუკიდებლობის აღიარება და ამერიკა-საქართველოს მემორანდუმში ამის დასტურია. ეს უკანასკნელი ათავსებენს!). თუ ჩვენ ვაპირებთ მოსკოვის შემყურე ვიქნებით და დამოუკიდებლად არაფერს გავაკეთებთ, რაც ჩვენი პოლიტიკური ელიტის საყვარელი პოზიციაა, ეს პროცესი დასრულდება სავსე მიიღებს.

ეს კი ნიშნავს, რომ ზუსტად ათასი წლის წინ დავით მეცამის, იოანე მარუშის ძის და ძმათა მათთა ძალისხმევით შექმნილი ქართველთა და აფხაზთა სახელმწიფო ანუ საქართველო დასრულდა.

ასე, რომ ტერიტორიული პრობლემის მოსაგვარებლად დამოუკიდებელი ეფექტური ნაბიჯის გადადგმა წარმოადგენს დღევანდელი ქართული პოლიტიკის უბრუნებელს ამოცანას. რომელიც უკუნიშნავს სახელმწიფოს განდგომას ანუ ახალი დინამიკის აღდგომას, ის მოვა ხელისუფლებაში.

**გურამ
სანადირაძე**

გიორგი თარგამაძე 90-იანი წლების დასაწყისის სენარის განმარტების საფრთხეზე საუბრობს

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისის სენარის განმარტების საფრთხეზე საუბრობს. ამის შესახებ თარგამაძემ პუბლიკის მრჩეველ ალექსანდრე დუგინისა და პაველ ფელგენგაუერის განცხადებებთან დაკავშირებით განაცხადა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ქვეყნის ოკუპირების პერსპექტივას ნაკლებად სერიოზული უწოდა.

თარგამაძის თქმით, სერიოზული ალბათობა უფრო 90-იანი წლების დასაწყისის სენარის განმარტებისაა - შიდა სამოქალაქო დაპირისპირების სამხედრო დაპირისპირებაში გადაზრდისა, რომელიც ქვეყანაში მართვადი ქაოსის შექმნას უკავშირდება. გიორგი თარგამაძეს მიაჩნია, რომ კრემლში საკმარისი წინაპირობები არსებობს საიმისოდ, რომ ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების სხვა ქვეყნის ტერი-

ტორიაზე გადატანა სცადონ და ამ შემთხვევაში საქართველო შეიძლება ახალი სამიზნე აღმოჩნდეს. მისი თქმით, ფელგენგაუერის პროგნოზი საფრთხედ უნდა იყოს აღქმული, რადგან მის მსჯელობაში არის ლოგიკა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური კრიზისი გაზაფხულზე რუსეთში კიდევ უფრო გამწვავდება და სოციალური ბუნება მოსალოდნელი.

“ასეთ დროს რუსეთი იწყებს ხოლმე სამხედრო ავანტიურას ყურადღების გადატანის მიზნით”, — დასძინა თარგამაძემ. უმცირესობის ლიდერი ხელისუფლებას ურჩევს, რუსეთთან მიმართებაში კონფრონტაციული ტონი გამორიცხოს და მაქსიმალურად აქტიურად იმუშაოს საერთაშორისო არენაზე. ასევე, დეპიტატს მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ქვეყნის შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის შექმნისთვის. შალვა ნათელაშვილი პოლიტიკოს ირაკლი ალასანიას „არ იცნობს“.

კონფლიქტების დროს დალუპული მებრძოლების ოჯახის წევრების აქცია გაიმართა

პარლამენტის წინ 90-იანი წლების კონფლიქტების დროს დალუპული მებრძოლების ოჯახის წევრების აქცია გაიმართა.

როგორც შეკრებილებმა განაცხადეს, მათ დახმარების სახით დაუტოვეს მხოლოდ დალუპულების კომპენსაცია, ასაკისა და სტატუსის მიხედვით პენსიის დანამატები კი მოუხსნეს.

— „ამჟამად ვიღებთ მხოლოდ შვილების დალუპების გამო დანიშნულ კომპენსაციას 46 ლარის ოდენობით და 28-ლარიან პენსიას“, — განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ აქციის მონაწილეებმა.

მათი განცხადებით, დახმარებისთვის მათ პრეზიდენტ სააკაშვილის წერილობით მიმართეს, თუმცა ჯერჯერობით პრობლემა არ მოგვარებულა და არც რომელიმე უწყებიდან მიუღიათ პასუხი.

აქციის მონაწილეთა თქმით, მათ საპენსიო დანამატები მოეხსნათ 2004 წლიდან. მიზეზად კი დასახელდა ის, რომ არ შეიძლება ერთი და იგივე ოჯახი ორი სახის პენსიას იღებდეს.

— „სახელმწიფო ჩვენ არც დასაქმების პროგრამაში გვიწყობს ხელს. წარვადგინეთ პროექტი, რომლის მიხედვით გლდანში, ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის შენობაში გვიწოდოდა გავცხსნა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამქრო, თუმცა ხელისუფლებამ მიგვითითა, რომ ფართი უნდა ვიქირაოთ ან ვიყიდოთ, რის საშუალებაც ჩვენ არ გვაქვს“, — განაცხადეს დალუპული მებრძოლების დედაებმა.

აქციაში დაახლოებით რამდენიმე ათეული ადამიანი მონაწილეობდა.

იუვენოს არქივითა და თაქსის კვლევით

უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ მიმდინარე წლის ქვეყნის ბიუჯეტი „საზინაჭამიათა სამოთხეს“ წარმოადგენს და ახლო მომავალში „აუცილებლად გამოიწვევს უკრაინის შეიარაღებული ძალების დაშლას“.

საკუთარი განცხადების დასტურად, თავდაცვის სამინისტროს მოწყავის ის გარემოება, რომ არმიის ბიუჯეტის ორმაგი შემცირების შედეგად შეუძლებელი გახდება მალაქტეჩნოლოგიური შეიარაღების საბრძოლო მზადყოფნაში შენახვა. გარდა იმისა, რომ ასეთი ბიუჯეტი შეუძლებელს გახდის უკრაინის არმიის განვითარებას, თავდაცვის სამინისტრო იძულებული იქნება, სამსახურიდან მასობრივად დაითხოვოს მალაქტეჩნოლოგიკაციის სამხედროები.

მოტყუებულ მანაბრითა და მათ ხარჯზე გამდიდრებულთა საყურადღებოდ

ძვირფასო მკითხველო! ჩვენი გაზეთი ახალ რუბრიკას გთავაზობთ, რომელშიც სხვადასხვა ჯურის აფერისტებს ვაგაცნობთ — მათ, ვინც ხალხს ატყუებს. მართალია, გვინდოდა, ჩვენი, ქართველი აფერისტებით დაგვეწყობო, რომლებიც სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურასა და ბიზნესში მოკალათებულან, მაგრამ როდესაც ნაქურდალის მოცულობები შევადარეთ, მაინც საზღვარგარეთელი თაღლითებით დაწყება გადავწყვიტეთ... „სასიამოვნოა“ იმის შეგნება, რომ ამერიკაში ბევრად მეტს იპარავენ, ვიდრე საქართველოში, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რამდენად პატარაა საქართველო მისი ხელისუფლების დღევანდელი იდეალზე — აშშ-ზე — და ამ პროპორციას ნაქურდალის მოცულობას მივუსადაგებთ, თანაც აფერისტების ერთნაირ მეთოდებს მივიღებთ მხედველობაში, გამოვა, რომ ჩვენი იმდენივეს და ისევე იპარავენ და იპარავენ!

საქართველოს ჯერ არ დაიწყებია თავისი მოტყუებულობა, რომლებსაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ფულის დაბრუნება ჯერ კიდევ 2004 წელს, წინასაარჩევნო დაპირებებში, და „ვარდების რევოლუციის“ დროს აღუთქვა, აგრეთვე ოპოზიციაში გადასული დავით თაშვილის ანალოგიური დაპირებები. ქართველი საზოგადოება ბევრ მილიარდერ სახელმწიფო მოხელეს იცნობს, რომლებიც საქმეებს ოფშორულ ზონებში აწარმოებენ და საქართველოში მთელ დარგებსა და კომპანიებს ფლობენ — წარმოებებს, მედიაკორპორაციებს, უძრავ ქონებას, მინებს და ა.შ. გვახსოვს ჩვენი ვაი-ფინანსისტები, რომლებმაც ახლო წარსულში ჩვენი დანაზოგები „გაკუპონეს“, ბევრი ჩვენი ბანკირი, რომელთა ფინანსურ პირამიდებში მოსახლეობამ უკანასკნელი სახსრები ჩადო (დაპირებული მაღალი პროცენტების იმედად), ისინი კი საზღვარგარეთ გაიქცნენ და ხახამშრალეები დაგვტოვეს... მაგრამ ამაზე — მომდევნო ნომრებში. ახლა კი მათ ამერიკულ კოლეგებზე გაიამბობთ, რომლებთანაც ამდენი საერთო აქვთ.

ამერიკული პირამიდების მშენებელი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე აშშ-ში მკვეთრად გაიზარდა სხვადასხვა ფინანსური თაღლითობის რიცხვი. ამჟამად გვხვდებით კომპანიებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში თაღლითობის 530 შემთხვევას იძიებს.


დღეს აშშ-ში გახსნილია ერთ-ერთი ყველაზე უტიფარი ფინანსური აფერა: განსაკუთრებით დიდი მასშტაბის თაღ-

ლითობაში ეჭვმიტანილია თავად მილიარდერი ალან სტენფორდი. საქმე ეხება ორგანიზაციას, რომლის საცეცები მთელ მსოფლიოს სწვდება. მსხვილი ფინანსური პირამიდის ორგანიზატორი, ქვემოქმედი, საორტულ ღონისძიებათა გულუხვი სპონსორი, შთამომავლობითი ტეხასელი სერ ალანი, რომელსაც ანტიკუას პრემიერ-მინისტრმა სტენფორდის რაინდის ნოდება უბოძა, ჩვეულებრივი თაღლითი აღმოჩნდა. და ეს სპეცოპერაციის ჩატარებისას კი არა, რუტინული აუდიტორული შემოწმების დროს გაიჩვენა. ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისია მილიარდერს და მის ორ მოადგილეს თაღლითობაში სდებს ბრალს. „სტენფორდ ფაინანსულ გრუპი“ უკვე 15 წელია, დეპოზიტურ მონაწილეებს ყიდის და მენაბრებს ატყუებს. კომისიის მონაცემებით, Stanford International Bank ბოლო 15 წლის განმავლობაში ახორციელებდა დეპოზიტური მონაწილეების გაყიდვას და ფუძნებულ თაღლითურ სქემას, რომლებიც შემოსავლიანობის მაღალ პროცენტს უზრუნველყოფდა. ინვესტორები, რომლებმაც „წარმოუდგენელი და დაუსაბუთებლად მაღალი საპროცენტო განაკვეთების“ დაპირება დაიჯერეს, ამ ქაღალდებს ყიდულობდნენ. აფერის მასშტაბი გახლავთ 50 ათასი მენაბრე და 8 მილიარდი დოლარი!

სტენფორდი საქმიანობას ოფშორებში ამჯობინებს. იქნებ ამიტომაც არის შეთავსებით ანტიკუას პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, ამიტომ იწონებს თავს ჟურნალ „ფორბსის“ ოქროს სიაში, სადაც 605-ე ადგილი უკავია. მისი ბანკი კარიბის კუნძულებზე ერთ-ერთი უმსხვი-

ლესი იყო, ხოლო კლიენტთა ბაზა 130 ქვეყანაში 30 000 ადამიანს ითვლიდა. სტენფორდი თავის კლიენტებზე დეპოზიტურ მონაწილეებს ყიდდა, რომლებიც ძალზე მაღალი — წელიწადში 16%-მდე შემოსავლის გარანტიას იძლეოდა. ფული უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა — სტენფორდმა 9 მილიარდი დოლარის ფასიანი ქაღალდები გაყიდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბიზნესმენმა დადებითი ფინანსური ხარჯთაღრიცხვა გააყალბა, მენაბრეთა ფულის ნაწილი ბირჟაზე ნააგო, ნაწილი კი, უბრალოდ, გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. ახლა ისიც ირკვევა, რომ სტენფორდის თანამშრომლებს ფინანსების ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდათ, გაცილებით მნიშვნელოვანი მათი პირადი ერთგულება იყო. მაგალითად, სერ ალანს მისი ხანდაზმული მამა და ხორცილი და ავტომობილებით მოვაჭრე მეზობელი ეხმარებოდნენ. 58 წლის სტენფორდის ქონება, რომელმაც 2 მილიარდი დოლარს გადააჭარბა, ბოლოს გასული წლის მარტში შეფასდა, მისი ორი შვილის მამობის დადგენის საქმის განხილვისას. ცოტა ხნის წინ სასამართლომ ყველა აქტივი გაყინა, კერძოდ, 120-ფუტიანი იახტები, 12 ათას კვ მ-ზე განლაგებული 57-ოთახიანი ციხესიმაგრე Wackenhut Castle მაიამის გარეუბანში, 100 მლნ დოლარის ღირებულების საჰაერო ხომალდების პარკი, მრავალი რესტორანი და ბანკი სხვადასხვა ქვეყანაში და... კუნძული კარიბის ზღვაში!

ამავე დროს, მილიარდერი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სტენფორდის მიერ ორგანიზებული კომიტეტმა, 2000



ალან სტენფორდი

წლიდან მოყოლებული, არჩევნებში მონაწილე სხვადასხვა ფედერალური კანდიდატისთვის 2,4 მილიონი დოლარი გაიწი. კაპიტოლიუმის ბორცვზე მის ძღვენს 58 დემოკრატი და 27 რესპუბლიკელი იღებდა. შემონორულობათა ოფიციალური თანხა 2,5 მილიონ დოლარს აღწევს, პლუს კარიბის აუზის ქვეყნებში მოგზაურობა, კერძო ავიაციით სარგებლობა. მაგალითად, არიზონას შტატის სენატორი ჯონ მაკკეინი და სენატორი ბილ ნელსონი მათ შორის არიან, ვინც სტენფორდის საჩუქრებზე უარს არ ამბობდა. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და სხვა ამერიკელმა პოლიტიკოსებმა განაცხადეს, რომ ტეხასელი მილიარდერისაგან შემონორულობის სახით მიღებულ მთელ ფულს საქველმოქმედო ფონდებში გადაიტანა — აშშ-ის პრეზიდენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბარაკ ობამას მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს სტენფორდისაგან მიღებული 4,6 ათასი დოლარი უკვე ქველმოქმედებისთვის გადაიწი. საპრეზიდენტო არჩევნებში ობამას მტოქემ — რესპუბლიკელმა ჯორჯ მაკკეინმაც გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა სტენფორდის წინასაარჩევნო ძღვენი 28,15 ათასი დოლარის ოდენობით.

საქართველო

გსურთ, გახვიყაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიჩვენეთ: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ჩაქოსოი ოთარ იოსელიანი თბილისი მასტერკლასს ჩაატარებს

შოთა რუსთაველის სახელობის
თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის
მონვევით, საფრანგეთში მოღვე
ცნობილი რეჟისორი ოთარ იოსელიანი
მასტერკლასს ჩაატარებს.

მასტერკლასი თემაზე "კადრიება"
თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში გაი-
მართება. ამ უნივერსიტეტის რეჟისურის

სპეციალობის სტუდენტებისთვის მას-
ტერკლასი უფასოა, ამავე უნივერსიტეტ-
ტის სხვა სპეციალობის სტუდენტებისთ-
ვის გადასახადი 75 ლარს შეადგენს, ხო-
ლო სხვა უმაღლესი სასწავლებლების
სტუდენტებისთვის – 150 ლარს.

მასტერკლასის გავლის მსურველები წი-
ნასწარ უნდა დაარეგისტრირდნენ თეატრისა
და კინოს უნივერსიტეტის კინო-ტელესარე-

ჟისორო ფაკულტეტის დეკანატში (ადგილე-
ბის რაოდენობა შეზღუდულია). მასტერკ-
ლასები 5, 6 და 7 მარტს გაიმართება.

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდა-
ჭერით თეატრისა და კინოს უნივერსი-
ტეტმა მოამზადა და გამოსცა ოთარ იოსე-
ლიანის ნიგნი "ლუი", რომლის პრეზენტა-
ციაც, 7 მარტს "თიბისი ბანკის" საგამოფე-
ნო დარბაზში გაიმართება. აქვე მოეწყობა
გამოფენა, სადაც ნარმოდგენილი იქნება
ოთარ იოსელიანის მიერ შესრულებული
ნახატები — კადრიება ფილმისთვის,
რომელიც რეჟისორს არ გადაუღია.

ქართული მოსოვო შეასრულებს სოფარას

— „ჩვენ არ გვინდა
პუტინი — ეს ნაკავაა,
ეს კლავს მთელ კაიფს“

ჯგუფი „სტეფანე და 3 G“ საქართ-
ველოს საერთაშორისო კონკურს „ვე-
როვიზია – 2009“-ზე წარადგინს, რომე-
ლიც მოსკოვში გაიმართება 2009 წლის
მაისში. შესარჩევი კომისიის გადამწყვე-
ტილებით, ქართველ შემსრულებელთა
შესარჩევი კონკურსის გამარჯვებული
ტრიო გახდა. „სტეფანე და 3 G“ აპი-
რებს, მოსკოვში წარადგინოს სიმღერა
„We don't wanna Put in“. აქ არის კა-
ლამბური – put in (შეყვანა – ინგ.), რომ-
ელსაც მსურველები აუცილებლად
ალიქვამს როგორც „პუტინს“.

— „სიმღერაში არის სიტყვები ინგ-
ლისურ ენაზე, რაც მოსმენის დროს
შეიძლება არასწორად გაიგოს და გადა-
თარგმნოს ასე: „ჩვენ არ გვინდა პუტინი
— ეს ნგრევანა, ეს კლავს მთელ კაიფს“.
— იტყობინება „უხო მოსკვი“.

აღვნიშნავთ, რომ ჯგუფში „სტეფანე
და 3 G“ შედიან მუსიკოსი სტეფანე
მღებრიშვილი და 3 G – ნინო ბადურაშ-
ვილი, ქრისტინე იმედაძე და თაკო გა-
ჩეჩილაძე. ქართველი შემსრულებლები
არ არიან ორიგინალები მცდელობა-
ში, წარმოაჩინონ თავიანთი პოლიტი-
კური პოზიცია ორბრევიანი ტექსტის
სიმღერით, პირველად ასეთი მცდე-
ლობა ჰქონდა ცნობილ ვერკა სერდი-
უჩკას ისევე კონკურს „ვეროვიზიაზე“.
სკანდალი მოხდა სიმღერის გამო
„Lasha Tumbay“, რომელიც ბევრმა
ალიქვანა, როგორც „Russia, good bye!“
მოსკოვსა და კიევს შორის მწვავე და-
პირისპირების დროს სერდიუჩკას ხუმ-
რობა ერთობ უადგილო აღმოჩნდა.

ნანოტექნოლოგიაში კიხოს წინააღმდეგ

კანცერულ დაავადებათა ამერიკის
ეროვნული ინსტიტუტის დირექტორ-
ის ენდრიუ ფონ ეშენბახის მტკიცე-
ბით, „10 წლის შემდეგ დედამიწაზე კი-
ბოთი აღარავინ მოკვდება. ეს არ ნიშ-
ნავს იმას, რომ ექიმები კიბოსაგან
განკურნებას შეეძლებთ, მაგრამ შეიქ-
მნება პრეპარატები, რომლებიც სრუ-
ლიად მოხსნიან ტკივილს.“

ყოველდღიურად ამერიკაში კიბოს-
გან 1500 ადამიანი იღუპება. ეს სტატის-
ტიკა 1950 წლიდან თითქმის არ შეცვლი-
ლა, მაგრამ ამერიკელი მეცნიერები ე.წ.
„ნანოტექნოლოგიურ რევოლუციას“
იმედით უყურებენ. ახლო მომავლაში ამ
ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შესაძ-
ლებელი გახდება ისეთი სისტემების
შექმნა, რომლებიც რემისიის სტადიაში
მყოფი სიმსივნური უჯრედების აღმოჩე-
ნასა და განეიტრალებას შეძლებენ.

60 წლის ქალი გებულა შექვანა

საგარეჯოს რაიონის სოფელ გი-
ორგინინდაში მცხოვრები 60 წლამდე
ასაკის ქალბატონი მარია მარგებაძე
მგელმა შექვანა.

მარია მარგებაძე სახლიდან 28 იან-
ვარს გავიდა და აღარ დაბრუნებულა.
ოჯახში იცოდნენ, რომ ის გურჯაანში
ძმასთან წავიდა სტუმრად. ორი დღის
წინ კი თანასოფლელებმა მარგებაძის
დასახირობელი ცხედარი გიორგინინ-
დის ტყეში იპოვეს. გვამს ექსპერტიზა
ჩაუტარდა, რომლის დასკვნით, ცხედა-
რი გარეული მტაცებელი ცხოველის
თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

ამერიკელმა ინვესტორებმა
მილიარდერი სტენფორდის ნი-
ნალმდეგ სარჩელი შეიტანეს,
მაგრამ სანამ შენაბრები მისი
ბანკის ფილიალს უტევენ,
სტენფორდი მშვენიერ განწყო-
ბაზეა და მყუდრო ქალაქ ფრე-
დერიკსბურგში (ვირჯინია) თავ-
ის ერთ-ერთ სახლში ისვენებს.
სწორედ იქ მიაგნო გვბ-მ, რა-
თა... საჩივარი გადაეცა (სასა-
მართლოს უწყებას კი არა!). კუ-
რიერმა აღნიშნა, რომ სტენ-
ფორდი თავაზიანად შეხვდა, სა-
უცხოო განწყობაზე იყო და
კარგი დღე უსურვა.

ამავე დროს ტახასში, ან-
ტიგუაზე, ვენესუელაში ბან-
კომატებთან და სალაროებ-
თან რიგები და თავპირისმტე-
რევაა. სტენფორდის ფინანს-
სური „პირამიდა“ დიდი ხმაუ-
რით ინგრევა, თუმცა მისთვის
ოფიციალური ბრალდება არ
წაუყენებიათ, ჯერჯერობით
მხოლოდ ინვესტორთა განზ-
რახს შეცდომებში შეყვანაზე
ლაპარაკობენ, თუმცა სტენ-
ფორდის იმპერიის ყველა ამე-
რიკულ ფილიალში ჩხრეკა უკ-
ვე ჩატარდა. სასამართლომ
მისი აქტივები გაყინა, მაგრამ
ისინი 9 მილიარდზე ვერაფ-
რით ქაჩაყენ...

თუმცა სტენფორდმა მინც
ვერ დაჩრდილა მასზე ადრე მხი-
ლებული ბერნარდ მედოფი,
რომელსაც ამერიკაში დამსახურ-
ებულად უწოდებენ საუკუნის
აფერისტს: ამ თაღლითის კომ-
პანია ამერიკის ყველაზე გავ-
ლენიანი საინვესტიციო გიგან-
ტების წრეში შედიოდა, რაზეც
50-მილიარდიანი ზარალი მეტყ-
ველებს.

საუკუნის აფერისტი

მსოფლიოს ყველაზე ხმაუ-
რიან ფინანსურ სკანდალად
აღიარებულია ბერნარდ მედო-
ფის მატინაციები, რომლებიც
მსოფლიო საინფორმაციო სა-
შუალებებში „საუკუნის აფე-
რად“ მონათლეს და რომელთა
შედეგად მიყენებულმა ზარალ-
მა 50 მილიარდ დოლარს მიაღ-
წია! უოლ-სტრეიტის ისტორიაში
უმსხვილესი თაღლითური სქე-
მა გახსნილია!

კომპანია Bernard L. Madoff
Investment Securitie აშშ-ის ყვე-
ლაზე გავლენიანი საინვესტი-
ციო, კონსალტინგური და ბრო-
კერული კომპანიების რიცხვში
შედიოდა, რომლებიც საერთა-
შორისო ბაზარზე ოპერირებდ-
ნენ. ის საკუთარ თავს წარმოად-
გენდა ფირმად, რომელიც ინო-
ვაციურ ტექნოლოგიებს იყე-
ნებდა, რისი წყალობითაც შექმ-
ნის მომენტიდან – 1960 წლიდან
– მყარი ზრდის დემონსტრირე-
ბას ახდენდა.

მედოფი, წარსულში ბირჟა
NASDAQ-ის დამაარსებელი და
ხელმძღვანელი, ათწლეულების
განმავლობაში აძლევდა კლიენტ-
ებს მაღალი ფიქსირებული შე-
მოსავლის გარანტიას და უხდი-
და კიდევ... ახალი ინვესტორების
მოზიდვითა და მსოფლიო ისტო-
რიაში უპრეცედენტო, 50-მილი-
არდიანი პირამიდის შექმნით.

ამ საქმეს სკანდალურ ხასი-
ათს არა მარტო უზარმაზარი
თანხა, არამედ თავად აფერის-
ტის პიროვნებაც ანიჭებს. ბერ-
ნარდ მედოფს უოლ-სტრეიტის
ლეგენდას და ერთ-ერთ ყველა-
ზე პატივცემულ ბროკერს უწო-
დებდნენ. უკანონო საქმიანობა-
ში ეჭვმიტანილმა მედოფმა სა-
ინვესტიციო საქმიანობა თითქ-
მის 50 წლის წინ წამოიწყო და
ამისათვის 5 ათასი დოლარის
სანესდებო კაპიტალის მქონე
ფირმა დააარსა, საბოლოოდ კი
50 მილიარდ დოლარზე მეტს
ატრიალებდა – სწორედ ასეა შე-
ფასებული ამერიკის ერთ-ერთი
წამყვანი საფონდო ბირჟის ყო-
ფილი ხელმძღვანელის თაღლი-
თობის შედეგად მიყენებული
შესაძლო დანაკარგები.

საუცხოო რეპუტაციის და
წლების განმავლობაში საფონ-
დო ბირჟებზე მუშაობისას მო-

განუხრელად იზრდება. სხვათა
შორის, დღემდე ფინანსურ ავან-
ტიურებში რეკორდსმენად ბან-
კი „სოსიეტე ჟენერალის“ (ეს
ბანკი საქართველოში კარგად
არის ცნობილი – მის ფილიალს
ძმები პაპაშვილები უდგანან სა-
თავეში, რომელთაგან ერთ-ერ-
თი ექს-პრეზიდენტ შევარდნა-
ძის პირადი დაცვის უფროსი
გახლდა) ტრეიდერი ჟერომ
კერვეილი მიიჩნეოდა, რომელ-
მაც თითქმის 5 მილიონი ევრო-
თი „მითიბო ხელი“.

პირამიდის მსხვერპლთა
რიცხვში აღმოჩნდა მსოფლიოს
უმდიდრესი ქალბატონი ლილი-
ან ბეტანკური, გიგანტური კოს-
მეტიკური იმპერიის L'Oreal SA-
მემკვიდრე. ექსპერტები მის
ქონებას თითქმის 23 მილიარდი
დოლარით აფასებენ. ამ თანხის
მნიშვნელოვანი ნაწილი „მედო-
ფის პირამიდაში“ ჩაიღო. ამას-
თან, ლილიან ბეტანკურის ფი-
ანსებს საინვესტიციო ფონდი
Access International Advisors
განაგებდა, სწორედ ამ ფონდმა
გადანყვიტა, ისინი ბერნარდ მე-
დოფის საინვესტიციო სტრუქ-
ტურებში განეთავსებინა, რომ-
ლებიც ფინანსურ სამყაროში
უდიდესი ავტორიტეტით სარ-
გებლობდა.



ბერნარდ მედოფი

პოვებული ავტორიტეტის წყა-
ლობით მედოფს თავიანთი ფი-
ნანსების განკარგვას ანდობდ-
ნენ არა მარტო ბანკები, კორპო-
რაციები და ფონდები, არამედ
სასწავლო დაწესებულებები,
სამედიცინო ცენტრები, მრავ-
ალრიცხოვანი კერძო კლიენტ-
ები. მის მიერ მოტყუებული
მეგობრების სიაში აღმოჩნდ-
ნენ მსოფლიოს უმსხვილესი
ბანკები Societe Generale, BNP
Paribas, HSBC, Credit Agricole,
Natixis, Nomura, Royal Bank of
Scotland, UniCredit, და ეს სია

საერთო ჯამში ფონდმა
Access International Advisors
„მედოფის პირამიდაზე“ თავისი
კლიენტების მილიარდნახევარი
დოლარი დაკარგა. ფონდის
ხელმძღვანელმა – 65 წლის
ფრანგმა ფინანსისტმა ტიერი
მაგონ დე ლა ვილიუმემ, ამ ფუ-
ლის თუნდაც ნაწილის გადარ-
ჩენის რამდენიმე ათას მცდე-
ლობის შემდეგ სიცოცხლე
თვითმკვლელობით დაასრულა.
მისი ცხედარი ფონდის ნიუ-
იორკის ოფისში, ერთ-ერთი
საქმიანი ცენტრის 22-ე სარ-

თულზე აღმოაჩინეს. მან ორივე
ხელზე ვენები გადაიჭრა და სის-
ხლისაგან დაიცალა.

მედოფი ათწლეულების გან-
მავლობაში აძლევდა კლიენტ-
ებს მაღალი ფიქსირებული შე-
მოსავლის გარანტიას და უხდი-
და კიდევ... ახალი ინვესტორე-
ბის მოზიდვით. სქემა, რომლი-
თაც მედოფის კლიენტების და
მისი ფირმის თანხები ბრუნავ-
და, ოსტაპ ბენდერის საუკეთესო
ტრადიციებს პასუხობდა: ახ-
ლად მოხილული ინვესტორების
ფული ძველი მეგობრებისთ-
ვის თანხის დაბრუნებას ხმარ-
დებოდა. აღსანიშნავია, რომ სა-
ათვიით აწყობილ ფინანსურ პი-
რამიდას ბზარი გაქანებული
ეკონომიკური კრიზისის დროს
გაუჩრდა, რომელიც აშშ-ის სა-
ბანკო სექტორსაც შეეხო და
სამრეწველო წარმოებასაც.

თუმცა, ზოგი მონაცემით, მე-
დოფი საკუთარი გაუფრთხილებ-
ლობის გამო „დაინვა“. მიმდინარე
თვის დასაწყისში მან თავის ორ
ვათხილს გაუმხილა, რომ მათი
ოჯახური ბიზნესი „ერთი დიდი
ტყუილია“, ხოლო ფირმა დიდი
ხანია, გადახდისუუნაროა.
„უოლ-სტრეიტ ჯორნალის“ ინ-
ფორმაციით, შეილებმა საჭიროდ
მიიჩნიეს, ეს შემამოთხილანი ვი-
თარება თავიანთ იურისტთან გა-
ნეხილათ, მან კი „თავი გამოიღო“
და გვბ-ს მიმართა.

ფედერალური აგენტების
მიერ მანჰეტენში დაპატიმრებულ-
ნი 70 წლის ბერნარდ მედოფი
დანაშაულს არ უარყოფს. გირა-
ომ, რომლითაც ფინანსური
თაღლითი დროებით გაათავი-
სეფლეს, 10 მილიონი დოლარი
შეადგინა. გაირკვა ისიც, რომ
მედოფმა სასამართლოს გა-
დაწყვეტილება დაარღვია და
ქონების დაყადაღების მიუხედა-
ვად ნათესავებს 1 მილიონი დო-
ლარის ღირებულების ძვირფა-
სეულობა დაუგზავნა. იმ შემთხ-
ვევაში, თუ მედოფს დამნაშავედ
ცნობენ, მას 20 წლით თავისუფ-
ლების აღკვეთა ემუქრება, რაც,
მისი ასაკის გათვალისწინებით,
სამუდამო პატიმრობას უდრის.

როგორც ამერიკული ტელე-
არხები სასამართლოს დოკუ-
მენტებზე დაყრდნობით იუნყე-
ბიან, ბერნარდ მედოფის ფინან-
სური პირამიდის ლიკვიდაცია
ნახევარ მილიარდ დოლარზე
მეტი დაჯდება. აშშ-ის ფედერა-
ლურმა სასამართლომ გასული
წლის 16 დეკემბერს უკვე მიიღო
გადანყვიტილება მეგობრე-
ბისთვის ზარალის ასანაზლაუ-
რებლად ფინანსური პირამიდის
შექმნაში ეჭვმიტანილი მედო-
ფის კომპანიის აქტივების ლიკ-
ვიდაციის შესახებ.

მოამზადა
პურად ალაჟილა

რუსულან შარაძე:

გაგარია, აკადემიკოსი გურამ შარაძე, სააკაშვილის ხელისუფლებამ დახვრიტა!

რა შეუთვალა „გარდებით მოსულმა“ ხელისუფლებამ ბადრი პატარკაციშვილის პირით გურამ შარაძეს?

„სანამ სააკაშვილი ხელისუფლებიდან წაგა, მანამდე ბარათელს მოიშორებენ“

„საქართველო და მსოფლიოს“ პირველ ნომერში ჩვენ შეძლებისდაგვარად ამომწურავად ვისაუბრეთ „გაზით დროულად გაგულდული“ პრემიერ-მინისტრის საქმეში არსებულ ლაფსუსებზე და ბადრი პატარკაციშვილის მოულოდნელი გარდაცვალების ვერსიებზე. ამჯერად ვთავაზობთ, აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში არსებულ შეუსაბამობებს და აქვე გაცნობებთ, რომ ჩვენ მომავალშიც მოგაწვდით ყველა იმ გახმაურებული მკვლელობის ისტორიას, რაც „გარდების რევოლუციის“ შემდეგ მოხდა და რაზეც კითხვები დღემდე პასუხგაუცემელია...



რა ჰქონდა სათქმელი გურამ შარაძეს. ალბათ, ბოლოს ეს ინფორმაციები სააკაშვილთან მიდიოდა. ყველაფერი კი იმისთვის ხდებოდა, რომ მომხდარიყო გურამ შარაძის დისკრედიტაცია. ხალხში უნდა დაემკვიდრებინათ აზრი, რომ მამა პოლიტიკიდან წავიდა, რათა შემდეგ მოეკლათ და ხელისუფლებამ არავის აელო ეჭვი.

2008 წლის 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გურამ შარაძის მკვლელობის საქმეზე საბოლოო განაჩენი გამოიტანა. სასამართლოს თავმჯდომარე მათა ოშხარელმა, მოსამართლეებმა: დავით სულაქველიძემ და იური ტყეშელაშვილმა დაადგინეს, რომ გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის“.

და, როდესაც მამა ლიად იბრძოდა თურქი-მესხების, ეროვნული რეკვიზიტის და ზოგადად ეროვნული ფასეულობების დასაცავად. მაშინ გურამ შარაძის მკვლელობა ვერ გაბედეს და მის გასაჩუქებლად, ლაშას ლიკვიდაცია გადაწყვიტეს... ნათელი არც ლაშას მკვლელობას მოეფინა... ჩემი ძმა პროზექტურაში არ იყო გადასვენებული, როდესაც კახა თარგამაძემ, სოსო ალავეიძემ და ჯემალ გახვიძემ მოინვიეს პრესკონფერენცია, როგორც ვანო მერაბიშვილმა შევანიას გარდაცვალებიდან რამდენიმე წუთში და ჩვენი ტრაგედია თვითმკვლელობად შერაცხეს. როგორ მდგომარეობაში ვიპოვეთ ლაშა, იცით? ზახული იყო, ჩემი ძმა მარტო იყო სახლში, ქვედა საცვალის ეცვა და ზემოდან გადასაფარებელი ეფარა, ერთი ხელი თავქვემ ჰქონდა ამოდებული, მეორე კი იდაყვზე ედო. ერთი ტყვიით იყო მოკლული და იარაღი ლოგინზე იდო. ადამიანი, რომელიც თავის მოკვლას აპირებს, ტანზე იხდის, ლოგინში წვება, თავში ტყვიას იხლის, ერთ ხელს თავქვემ ამოიდებს, მეორეს – იდაყვზე დაიდებს და იარაღს გვერდზე გადაადებს?! არაფერი თვითმკვლელობაზე არ მეტყველებდა, მაგრამ ეს საქმე დღემდე თვითმკვლელობად მიიჩნევა. მამაჩემმა ბევრი იბრძოლა, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდა. ცოცხალია ყველა ჩემს მიერ დასახელებული პიროვნება და ოდესმე ხომ უნდა თქვან სიმართლე, რატომ მოინვიეს პრესკონფერენცია ასე ნაჩქარევად?! დაეცა და და გაეგოთ, მართლა თვითმკვლელობასთან გვექონდა საქმე, თუ მკვლელობასთან?!

– ამ განცხადებით, მკვლელობაში ხელს საქართველოს ხელისუფლებას ადებთ...

– დიას, ასეა! მამაჩემი, აკადემიკოსი გურამ შარაძე სააკაშვილის ხელისუფლებამ დახვრიტა! ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის და მოვა დრო, როდესაც ეს აუცილებლად დადასტურდება! შესაძლოა, კვლავ ჩამეძიოთ და მკითხოთ, რატომ უნდა მოეკლათ გურამ შარაძე? ამიტომ აქვე გეტყვით, თანაც ყოველგვარი თავდაბლობის გარეშე, გურამ შარაძე მოკლეს იმისთვის, რისთვისაც ერთი საუკუნის წინ – ლია ჭავჭავაძე, რისთვის მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია მოკლეს, იმიტომ რომ ეროვნულ ფასეულობებს იცავდა ეს ხალხი, გაველენით და სიყვარულით სარგებლობდნენ საზოგადოებაში.

– როგორც ვიცით, „გარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ, რომელსაც ამჟამად მამათქვენის მკვლელობაში სდებთ ბრალს, გურამ შარაძე „რალაც“ თანამდებობიდან კი შესთავაზა...

– „გარდების რევოლუციის“ შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნების დანიშნამდე, მამასთან მოვიდა ერთი პიროვნება და მას გაჩუმების სანაცვლოდ ნებისმიერი თანამდებობა შესთავაზა. მათ შორის, ხაზგასმული იყო უნივერსიტეტის რექტორობა. სურდათ, მამა ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარიყო. ამ შეთავაზებაზე მამა გულიანად იცინოდა. სხვათაშორის ფუ-

ლიც შესთავაზეს, თანამდებობაც, მაგრამ ყველაფერზე უარი თქვა.

– უშუალოდ სააკაშვილისგან მოდიოდა ეს შეთავაზება?

– გუნდი ერთი იყო... ალბათ... ვინც მამას ხელისუფლების ეს შეთავაზება გადასცა ეს რიგითი ნაციონალი, რიგითი პოლიტიკოსი არ იყო... სამწუხაროდ, დღეს არც ეს ადამიანი ცოცხალი.

– ვისზე საუბრობთ, ზურაბ ფვანიაზე თუ ბადრი პატარკაციშვილზე?

– (ხანმოკლე პაუზის შემდეგ) ბადრი პატარკაციშვილის პირით შემოუთვალეს... ბადრი ძალიან დიდ პატივს სცემდა მამას და სხვათაშორის, რევოლუციამდე მათ გარკვეული ურთიერთობაც ჰქონდათ.

– რატომ გაგიჩნდათ პირველად ეჭვი, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო და არა რიგითი კრიმინალი?

– როდესაც გავიგე, რომ თითქოს მამა ბარათელმა მოკლა, მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო! გიორგი შარაძეს და გიორგი ბარათელს მ წელიწადი ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონიათ. ეს დანამდვილებით ვიცოდი და ამიტომაც დავეჭვი. სააკაშვილი და მისი მკვლელების ბანდა არ მიეკუთვნებოდა ადამიანთა იმ რიცხვს, რომელთაც მონინალ-დევეგებთან ვაუკაცურად ბრძოლა შეუძლიათ. გეხსოვებათ, სააკაშვილთან, ბოკერიასთან, რამიშვილთან, დათო ზურაბიშვილთან, დღეს რომ ეროვნულობაზე დებს თავს, რამდენად დაუყნობილი ბრძოლა ჰქონდა მამას და ნილაბი ჩამოსხნა ამ ადამიანებს. ერთი კაცი ებრძოდა ამ ხალხს, თავისი სიმართლით, ინტელექტით და ღრმა ცოდნით. ეროვნების რეკვიზიტის და მამის სახელის პასორტიდან წაშლაზე გურამ შარაძე იბრძოდა. ასევე, ქართული ენის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. ამბობდნენ, რომ კანონი არსებობსო, მაგრამ ერთ-ერთი და უმთავრესი მუხლი არ არის ამოქმედებული, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს და ფლობდეს ქართულ ენას. თურქი-მესხების ჩამოსახლების საკითხი იყო უმძიმესი და დაუნდობელი ბრძოლა გურამ მამულასა და გურამ შარაძეს შორის. სახელმწიფო რელიგიად მართლმადიდებლობის გამოცხადება. რომელი ერთი საკითხი ჩამოვთვავო, რამაც მამაჩემის და ამ ხროვის ინტერესები გადიკვთა. გახსოვთ, 2002 წელს მამამ ლევან რამიშვილისა და დავით ზურაბიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, (აგენტი რომ უნ-

დეს პატივის და ღირსების შელახვისთვის) მაგრამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ვინმე მათა ოშხარელმა სარჩელი წარმოებაში არ მიიღო. ამავე პიროვნებამ, მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, უზენაეს სასამართლოში, არ მიიღო ჩვენი სარჩელი. რამიშვილ-ბოკერიას მონები დღესაც იგივეს აგრძელებენ. ქუჩაში უმოწყალოდ დახვრეტილ კაცს დღემდე ებრძვიან და მეკითხებით, რატომ შეიძლება მოეკლა ამ ხელისუფლებას გურამ შარაძე?!

– სტრასბურგში აპირებთ გასაჩივრებას?

– აუცილებლად! მზადდება სარჩელი სტრასბურგში გასაგზავნად და საქმეში ერთგება ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, რომელიც მოამზადებს ამ სარჩელს. დიდი ილუზია არ მაქვს, რომ სტრასბურგში სხვაზე განიხილავს ამ საქმეს და ეს შეიძლება ხუთი წელიწადიც გაგრძელდეს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მანამდე სააკაშვილი და მისი დაქირავებული მკვლელები, საქართველოში, ქართველი ხალხის მიერ გასამართლდებიან!

– რა დარღვევებია გურამ შარაძის საქმეში ისეთი, რაც იმის თქმის საფუძველს გაძლევთ, რომ გამოძიება ტენდენციური იყო?

– „ალდავის“ გარე ვიდეოკამერის ფირზე დაფიქსირებულია მკვლელები, რომელიც უკან მოწყვება გურამ შარაძეს. მისი სიმაღლეა მინიმუმ 180 სმ, მოქნილი, სპორტული აღნაგობის, აცვია რალაც ფართხუნა, გრძელსახელოებანი, ქურთუკი თუ პიჯაკი, რამიც იარაღს მალავს. ფირზე აშკარად ჩანს, რომ ეს პიროვნება კლავს მამას. სხვათაშორის, ფირი 48 დღის შემდეგ გვაჩვენეს. ამასობაში დაამონტაჟეს, გადააკეთეს, თუმცა რაც დარჩა ისიც საკმარისია სიმართლის დასადგენად. ექსპერტიზას თავი რომ დავეანებოთ, საჭირო იყო, ჩატარებულიყო საგამოძიებო ექსპერტიზები და ბარათელს გაველო ზუსტად იგივე გზა, გადაელო იგივე კამერას, ინსტენიერება მომხდარიყო და შეედარებინათ ძველი და ახალი ფირები, მაგრამ ეს არ გაკეთდა რადგან ამით დადასტურდებოდა, რომ ოფიციალური ვერსია ყალბია. გამოძიებამ დადო დასკვნა, რომ ფირი ექსპერტიზისთვის უვარგისია. ეს ტყუილია! მიუხედავად იმისა, რომ ფირი არაერთხელა დაამონტაჟებული, მაინც საკმარისია იმისთვის, რომ საქმეს ნათელი მოეფინოს.

– თუ ფირი ექსპერტიზისთვის უვარგისია, თქვენ როგორ შეძელით გარჩევა იმის, თუ რა აცვია მკვლელს, რომელიც გურამ შარაძეს უკან მოყვებოდა?

ამ მოტივით ადვოკატების სააკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილდა...

მკითხველს შევახსენებთ, რომ აკადემიკოსი გურამ შარაძე 2007 წლის 20 მაისს თბილისში, მელიქიშვილის გამზირზე, ვიდუკამერების წინ უმოწყალოდ დახვრიტეს. მკვლელობა დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე მოხდა. მოკლული აკადემიკოსი პროზექტურაში გადასვენებამდე მელიქიშვილის გამზირზე რამდენიმე საათი ცურავდა საკუთარ სისხლში...

მკვლელობის პირველივე წუთებში ეს ფაქტი პოლიტიკურ მკვლელობად შეფასდა მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავებმა მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს ეჭვმიტანილი გიორგი ბარათელი და ბანალური მოტივიც მაშინვე გახმოვანდა... თურმე, დაახლოებით 8 წლის წინ ბარათელს აკადემიკოსის ვაჟმა, გიორგი შარაძემ აწყენინა და მან შური გურამ შარაძეზე იძია... „დამჯერებელი მოტივია“, მაგრამ საზოგადოებაც და აკადემიკოსის ოჯახიც მიიჩნევს რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო...

„საქართველო და მსოფლიო“ ამ გახმაურებული მკვლელობის შესახებ ქუჩაში დახვრეტილი აკადემიკოსის შვილს, **რუსულან შარაძეს** ესაუბრა.

– რატომ აცხადებთ, რომ მამათქვენის მკვლელობა პოლიტიკური იყო? ბოლო დროს ხომ იგი თითქმის წავიდა პოლიტიკიდან?

– ცოტა შორიდან დავიწყებ, 1998 წლის 15 ივნისს ჩემი ძმა, ლაშა შარაძე მძინარე მოკლეს ლოგინში. მამამ იმ წუთშივე მიიჩნია, რომ ეს პოლიტიკური მკვლელობა იყო. შევახსენებთ, ეს ის პერიო-

საქართველო

ბს.პრ. ბაბვიჯარი ტყვენი მოსაზრებები? ღაბრიკაძე: 92-37-58, ან მოგზავნა: info@geworld.net



დადგება და მამას საქმეზე აუცილებლად დაინყება ხელახალი გამოძიება!

— რას ყვებან მოწმეები?
— მე ჩამოვართვი ჩვენებები ამ ადამიანებს და მე შემოიძლია ვაგცნოთ ეს ჩვენებებიც.

(რუსუდან შარაძე ვაგცნობს იმ მოწმეების ჩვენებებს, რომლებმაც საკუთარი თვლით ნახეს დახვრეტილი აკადემიკოსის მკვლელობა და რომლებიც სასამართლოში დღემდე არ დაკითხულან. გთავაზობთ ამონარიდებს ამ მოწმეების ჩვენებებიდან და მათ გვარ-სახელებს გასაგებ მიზეზთა გამო ვასაიდუმლოებთ).

მონა მიორა

მამაკაცი: „მოვდიოდი ჩემთვის შანიძის ქუჩაზე. თითქმის ჩასული ვიყავი მელიქიძევილიზე, რომ ვავიგონე საშინელი გასროლის ხმა, მეხვით. ამის შემდეგ დავიხანჯე მოპირდაპირე მხარეს, კუთხეში ძირს არის კაცი, მას თავს ადგება ვილა და ორ საკონტროლო გასროლას ახდენს. ამის შემდეგ ტრიალდება და არბის შანიძეზე. მე ცოლ-შვილი მეგულეობდა ახლო-მახლო და რა მქენა, შორი-ახლო ავადვდებოდა. ვხედავ, მისდევს პატრული ფეხით. მკვლეელი არის დაახლოებით 30 წლის, საშუალოზე მაღალი, მოსულში. სახე აგრესიული, თან დაფეთებული ჰქონდა, თითქოს, დადლილიც. ლომივით ტიპი იყო, ნავარჯიშები. წვერ-გაპარსული იყო. თმა შეთხვლებული ჰქონდა, მაგრამ ჰქონდა. არც ქერა იყო, არც შავგვრემანი (ბარათელი კი ამ დროს თავადაპარსული და თან, წვერით იყო, რ.შ.). ეცვა ჯინსები და მოკლემკლავიანი, მუქი, ჩატანებული „საროჩკა“. ჩემი თვლით არ დამინახავს პირველი ტყვიან სიდან ნაშვილი, მე ისე აღვიქვი, რომ პირველიც მან ისროლა. დარწმუნებით ვერ ვეტყვი. გვონი, „მაკაროვი“ ეჭირა, მაგრამ გასროლის ხმა „მაკაროვისას“ ამ ჰგავდა, უფრო ძლიერი იყო. თუმცა იქ არაკაც არის და შიშობდა აკუსტიკამაც იმოქმედა, ზუსტად არ ვიცი... ხორავაზე მკვლეელი უხვევს მარცხნივ და შერბის ერთ-ერთ ეზოში. ამის შემდეგ, გამორბის უკან და მიტოვებს მარჯვნივ, პეტრიაშვილის მიმართულებით. ის შევარდება პეტრიაშვილის ჩიხში, შევანაძის სახლის ეზო რომ გადის და კიბეებით კეკელოიძეზე ჩადისარ. და აი, ამ დროს მოდიან პატრულის მანქანები. მერე პეტრიაშვილის ჩიხიდან მესმის საშინელი სროლა. ბარათელი ვნახე ტელევიზიით, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა — მკვლეელი, რომელიც მე ვნახე, ის არ არის“.

მონა მისაბი

ახალგაზრდა ქალი: „ვხედავ შანიძეზე ქვევიდან, შუა გზაზე ამორბის ვილაც იარაღიანი და უკან, 50 მეტრის მოშორებით, ტროტუარზე მოსდევს ფორმიანი — თეთრ პერანგსა და შავ შარავალში ჩაცმული ადამიანი. არ მახსოვს პატრულს რაცვია ამ დროს, მე ის აღვიქვი დაცის თანამშრომელად, რადგან იარაღი არ ეჭირა, მხოლოდ რაციით გადასცემდა რალაცას. იარაღიანმა რამოდენიმეჯერ ესროლა მას, მერე გადატენა და აღმოჩნდა, რომ ტყვიან ალარ ჰქონდა. ის იყო დაახლოებით 35 წლის, საშუალოზე მაღალი, ნაბისოფერი, შეთხვლებული თმით. წვერგაპარსული. ეტყობოდა, ნავარჯიშები იყო. ეცვა ჯინსის შარვალი და მოკლემკლავიანი, ჯინსის ჩატანებული „საროჩკა“, ფეხზე რალაც ფეხსაცმელი, ბოჭა-

სები არ იყო. ისინი ზევით, ხორავასკენ გაიქცნენ, მერე ვეღარ ვხედავდი. 5-10 წუთში, დავინახე როგორ ამოუხვიეს პატრულის მანქანებმა. ამის შემდეგ ვავიგონე სროლა პეტრიაშვილის მხრიდან. როდესაც ტელევიზორში ვნახე ბარათელი, იმ წუთას ვთქვი — ეს ის არ არის! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წვერი ერთ ლამეში ხომ არ ამოუვიდოდა კაცს? ან თმას იქვე ხომ არ გადაიპარსავდა?“.

— რუსუდან, ვარაუდობთ, რომ მკვლელობაში ორი ადამიანი მონაწილეობდა?

— ასე! ერთი, ადგილზე ელოდებოდა, მეორე კი უკან მოჰყვებოდა და ეს „აღდავის“ ფირზე კარგად ჩანს. ზუსტად იმ ადგილას ვაჩერებულა მამა, რომლიდანაც გადმოსულია კაცი და იყურება დაკეტილ მალაზიაში. როგორც კი მამა კადრში შემოვიდა, ჩანს, რომ მამაქანის კარებს ვილაც შიგნიდან ვხედავს. მანქანაში სხედან ქალი და ბავშვი. ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, რალაც მომენტში მკვლელებმა ადგილები გაცვალეს. ვინც უკან მოსდევდა იმან განახორციელა პირველი გასროლა და ნაიყვანა მანქანა, მეორემ, რომელიც დაკეტილი მალაზიის ვიტრინაში იყურებოდა განახორციელა საკონტროლო გასროლა და გაიქცა.

— გამოიცხადებთ, რომ ამ ავტომობლით ვილაც ფაქტს შეესწრო, შეშინდა და სასწრაფოდ გაეცალა შემთხვევის ადგილს?

— გამოვიცხადებ, რადგან ყველა მოწმის ჩვენებით, საკონტროლო გასროლა მოკლემკლავებიან პერანგში ჩაცმულმა პირმა განახორციელა და ყველა მოწმის აღწერილობა ემთხვევა იმ პირისა გარეგნობას, რომელიც მამას მანქანით ელოდა. 100%-იანი რწმუნებით ვეუბნები, რომ საკონტროლო გასროლა ვინც მოახდინა, ეცვა მოკლემკლავიანი პერანგი. ყველა მოწმე ამას ადასტურებს.


— მოდი, მკვლელობის შემდგომი სურათი დეტალურად აღვადგინო...

— როდესაც მამა დახვრიტეს, მკვლეელი გაიქცა შანიძის მიმართულებით და მას მისდევდა ერთი პოლიციელი. შანიძის ქუჩას, ჯერ ხორავას და შემდეგ ბარნოვის ქუჩები კვეთენ. მკვლეელმა ხორავას ქუჩამდე რომ მიადგინა „ბიგ-ბენის“ მალაზიასთან ჯერ მარცხნივ გაიქცა, შეირბინა ეზოში, მერე გამობრუნდა იქიდან და ხორავას ქუჩიდან გადავიდა პეტრიაშვილზე. მეექვსე გიმნაზიის უკან ჩიხი, საიდანაც კიბეებით ჩადისარ კეკელოიძეზე. „ბიგ-ბენის“ მალაზიაში მკვლეელი თითქოს კვალის ასარევად რომ შევიდა, იქ არის ბარათელი მოყვანილი. ჩემი კარგი ნაცნობც შეესწრო ამ ფაქტს, რომელიც ბარათელსაც იცნობს. (ტელევიზიის მუშაკია ის პიროვნება და ბარათელიც ტელევიზიაში მუშაობდა რ.შ.) მას ინტენსიური სროლის ხმა რომ მოესმა, თურმე ბარნოვიდან ჩამოდიოდა ხორავას ქუჩაზე, დაინახა გიორგი ბარათელი. ამ დროს ქუჩები გადაკეტილია და პოლიცია „მკვლელ“ ბარათელს ეძებს. მაშინ ამ ადამიანმა არ იცოდა, რომ მამა იყო მოკლული. „დავინახე ბარათელი, „საროჩკას“ იხდდა, მივესალმეთ ერთმანეთს და მან ჩვეულებრივად, ნელი ნაბიჯებით განაგრძო გზა პეტრიაშვილისკენ“ — მიყვება ეს პიროვნება. ბარათელის ნათესავის, ვინმე პიროვნებას ჩვენების შესახებაც მინდა ორიოდ სიტყვა გითხრა, იგი ყვება: ჩემი ნათესავი, (ბარათელის გამზრდელ ბიძა-

ზე საუბარი რ.შ.) მოვიდა ჩემთან მაისის დასაწყისში და მითხრა, რომ გიორგის დეიდა ავად არის, ნემსებს ვუკეთებთ, რის გამოც გიორგის გული უწუხდება და იქნებ, ცოტა ხანი შენთან იყოსო. რა თქმა უნდა, უარი არ მიუთქვამს. დილით მიდიოდა და შუადღისით ბრუნდებოდა, ჭკვიანად იყო... 20 მაისს სალამოს 8 საათზე, (20 საათსა და 15 წუთზე მკვლელობა მოხდა რ.შ.) ვილაცამ დაურეკა, იყვირა ხომ გითხარი ალარ დამირეკოო. სასწრაფოდ ჩაიცვა და მითხრა, რომ ძალიან მალე დაბრუნდებოდა... ამით იმის თქმა მინდა, რომ ბარათელი ზნერლას განიცდიდა, რის გამოც სახლს გაარიდეს და იმ დღესაც სასწრაფოდ იძულებით მიიყვანეს შემთხვევის ადგილის მიდამოში.

— ბარათელმა ხომ დანაშაული მაშინვე აღიარა?

— ითქვა, რომ ბარათელმა მკვლელობა აღიარა, მაგრამ, სად არის ეს აღიარებითი ჩვენება?! არ არსებობს. საქმეში დევს, ვითომ ფარული აუდიო ჩანაწერის გამოფრული ვარიანტი. რომ დაიჭირეს თითქოს, ორმა პიროვნებამ დაკითხასავით და ეს ფარულად ჩაინერეს. საქმეში დევს, ამ ჩანაწერის სტენოგრამა, რომელზეც ბექდიო დამონემული წარწერაა: „ჩანაწერი ნაიშალის ნ დღემ“. ასეთი რამ, სადმე გსმენიათ?! გურამ შარაძეს ყოველდღე ეკავებ, თუ რამია საქმე? ეგრეთ წოდებულ აღიარებით ჩვენებაზე არსად არ არის ბარათელის ხელმოწერა და გამოძიება ამას იმით ხსნიან, რომ ბარათელი დაჭრილია მარჯვენა მხარში. ნახეთ ფოტოები, სადაც კარგად ჩანს რომ ბარათელს სისხლი მარცხენა მხარეს აქვს. და ვუშვათ, რომ მარცხენა მხარზე სისხლი მოეცხო, როგორ შეიძლება აიხსნას, რომ მარჯვენა მხარზე საერთოდ არ ემჩნევა სისხლის ნაკვალევი?! თუმცა, ოქრუაშვილს დაანერინეს აღიარებითი ჩვენება და ბარათელისგან რალაც ჩვენება რომ მოეპოვებინათ, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს. თუ ამას აღიარება ჰქვია, ეს სასამართლოზე, ნოემბერ-



რის თვეში მოხდა. კითხვაზე სად მოხდა მოკვლელობა, ბარათელმა უპასუხა, რუსთაველზე, მერე თქვა რუსთაველზე კი არა, მელიქიძევილიზე. თავიდან უთქვამს უკან მიყვებოდით, მერე უთქვამს, მელიქიძევილის ქუჩაზე ქვემოდან ამოვიდიოდი და რომ დავინახე გამახსენდა ყველაფერი და ვესროლე... მერე ადვოკატებმა „აღდავის“ ფირის ჩვენება მოითხოვეს სასამართლოზე და საკუთარი თავი ვერ ამოიცნო... ბარათელი სულელი არ არის, შესაძლოა ეს შეუსაბამო ჩვენებაც იმიტომ მისცა, რომ ახალი გარემოება გამოკვეთილიყო. ისიც თავის გადაჩენაზე ფიქრობდა.

— ბარათელთან თქვენ პრეტენზია არ გაქვთ?
— ჩემი ოცნებაა, გიორგი ბარათელი გამართლებული ვნახო, რადგან ის არაფერ შუაშია, მაგრამ ვში-

შობ, სანამ სააკაშვილი ხელისუფლებიდან წავა, მანამდე მას მოიმორებენ. ის არის ერთ-ერთი ყველაზე „საეჭვო“ მოწმე და მას ცოცხალს ვინ დატოვებს?! 27 წელი მიუსაჯეს, მაგრამ მარტო გურამ შარაძის მკვლელობისთვის კი არა, ვითომ 5 მაისს თავისი ექიმი, ვინმე ტირზიკიანი რომ დაჭრა, იმისთვისაც. ეს იმიტომ შეითხვნეს, რომ 20 მაისს გურამ შარაძეს რომ „მოკლავდა“, ეთქვათ, ბარათელი ფსიქიურად გაუნორსნარებელი ადამიანიაო, რომელმაც 5 მაისს სრულიად უმიზეზოდ დაჭრა თავისი ექიმი, რომელსაც ექსპერტთა იტით როდის ჩაუტარდა?! — 21 მაისს. ამ ამბების მერე ტირზიკიანი გაქრა საქართველოდან. აილო ფული და წავიდა... პირველ სასამართლო პროცესს დავესწარი, სპეციალურად ჩამოვედი ყენევიდან, რათა შენახა ბარათელი, თვალეში ჩამხედდა და საბოლოოდ დავრწმუნებულვიყავი ჩემს მოსაზრებაში. ბადაგამა რომ შემოიყვანა, დაავუძახე: გოო, ჩვენ ვიცით, რომ შენ არაფერ შუაში ხარ და შენს გვერდით ვართ-მეთქი... ცრემლები ჰქონდა თვალეში და თავი დამიქინია... ყველაფერი ნათელია, მაგრამ მარტო ბრძოლა როგორია?! არავინ გვერდით არ მიდგას... ოპოზიცია ლონისძიებებზე მოდის, გამოსატყევე ალფოთებს, მაგრამ საქმით გვერდით არავინ მიდგას და მარტო როგორ ვინდა დაუპირისპირდე ამ მონსტრს?! ხალხმა იცის სიმართლე, მაგრამ ამას სამართლებრივად ხომ ვერ ვამტკიცებ.

— გარდაბნის რეკოლუციის“ შემდეგ პატრიარქის გზიდან ჩამოცილების „შეთქმულების თეორია“ პირველად გურამ შარაძემ გაახმოვანა...

— (სიტყვას მანყვეტინებს) მაშინ ინტელგენცია სიცილით ვვებოდა, მაგრამ ხომ ყველაფერი გამოჩნდა?! მამას მკვლელობის შემდეგ ძალიან აქტიურად წამოიწია თურქი-მესხების თემამ, ლევილის გაყიდვის ინფორმაციამაც გაუჩნდა და მაშინ ვფიქრობდი, რომ გარკვეულინილად ესეც შეიძლებოდა ყოფილიყო მამას მკვლელობის მიზეზი. სხვათაშორის, თურქი-მესხების ჩამოსახლებაზე საუბარი იმიტომ შეწყდა, რომ ამერიკაში სომხურმა ლობმა დაბლოკა ეს საკითხი, რადგან, მოგეხსენებათ, სწორედ სამცხე-ჯავახეთში და საქართველოს სამხრეთ ნაწილში უნდა მომხდარიყო მათი განსახლება. სხვათაშორის პიკში რომ იყო თურქი-მესხების თემა, მაშინ მოკლეს ლამა... გურამ შარაძე ყოველთვის ამხელდა სააკაშვილს, ადგივილს, მერაბიშვილს, ბოკერიას და სხვებს საპატრიარქოს საქმეებში ჩარევაში და ეს რომ სიმართლე იყო, დღეს ნათლად ჩანს... რაც შეეხება სახალხო დამცველს, ერთი სიტყვა არ უთქვამს მამას მკვლელობაზე. რადგან არ მივმართე იმიტომ არ ძრავს ამ საქმეზე კრინტს?! მივმართე შარაძეს, მაგრამ რამე გააკეთა?! 500 გვერდიანი მოხსენებით წარსდგა პარლამენტში და გურამ შარაძისთვის ერთი აბნაცი ვერ გამოუყო... ეს ერთი და იგივე კლანია. პირველმა მან მიულოცა არალიარებულ სააკაშვილს გაპრეზიდენტება... ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა... მამაჩემი დახვრიტეს, 4 საათი სისხლი ცურავდა და ყველა ტელევიზია ატრიალებდა ამ კადრებს. ამით ხალხს უთხრეს, დაეხვრიტეთ გურამ შარაძე, სისხლში დავაზრჩევთ და თქვენც იგივე გელითო, ეს ტერორის უპრეტენციო მავალითი იყო!...

რა ვერ გაიყო ოპოზიციამ?

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნისთვის სხვადასხვა სტრატეგიით ბრძოლა ოპოზიციის სხვადასხვა ფრაქციებს კარგს არაფერს მოუტანს.

როგორც ცისკარიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაში ოპოზიციას შეეძლო, უფრო სოლიდური ყოფილიყო კოორდინაციის თვალსაზრისით, მაგრამ, როგორც ჩანს, სული ტკიბილია და ყველა ოპოზიციონერს ოლიგარქის მწვერვალზე საკუთარი თავის წარმოდგენა სანუკვარ სანახაობად ექცა.

„პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნაში ოპოზიციის ფრაქციების მხრიდან სხვადასხვა სტრატეგიის არჩევა იმაზე მიუთითებს, რომ ოპოზიციას იმდენად არ აინტერესებს ხელისუფლების ნაცვლა, რამდენად საკუთარი თავის ხელისუფლებაში მოსვლა“, — აღნიშნავს სოსო ცისკარიშვილი, რომლის შეფასებით, ცალ-ცალკე ყველა ოპოზიციური ძალა კარგია, მაგრამ ერთად, რაიმე ტიპის ფერთა ჰარმონიის ნაცვლად გაუგებარ მოზაიკაა.

„თავისთავად ძალიან კარგია სალომე ზურაბიშვილის ულტიმატური, პრეზიდენტმა 9 აპრილამდე დატოვოს თანამდებობა, ასევე „ეროვნული ფორუმის“ იდეა, ადგილებზე მოსახლეობასთან იმუშაონ, მაგრამ ვერ გავიზიარებ „ალიანსი საქართველოსთვის“ ულტიმატუმს რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. თუმცა, მთლიანობაში ისეთი ვითარება იქმნება, რომ ლამის არის სააკაშვილი შემებრალოს, ვინაიდან ხელისუფლებამ ხომ უნდა აირჩიოს თავისი მოქმედების ფორმა. ყველა ოპოზიციური ძალას ერთი და იგივე მონოდეზა აქვს — შემოგვიერთდით! შემოგვიერთდით!, ყველა მოგვიწოდებს ჩვენ წინ და თქვენ — უკანო, მაგრამ საინტერესოა, თავად თუ აპირებენ ვინმესთან შეერთებას“, — აღნიშნავს ცისკარიშვილი, რომელიც არ გამოირჩევა, რომ პრეზიდენტთან ცალ-ცალკე ბრძოლაში ჩაბმულ ოპოზიციას სააკაშვილი დაავიწყდება და ერთმანეთის კრიტიკას ღიად დაიწყებენ.

„ბევრი რამ უახლოეს ორ კვირაში გაირკვევა“, — აცხადებს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი.

უკრაინა უკრაინას ქარღობა უკრაინა

„სალასა“ და „პერვაცთან“ ერთად, ბუნებრივი აირის მოპარვა-მისთვისებისადმი უკრაინელების გამძაფრებული სიყვარული ევროკავშირის შემფოთების საგანი გახდა.

უკრაინული მხარის „გაზპრომისადმი“ დავალიანების კატასტროფული ზრდის გამო ევროპელები დაიზაფრნენ, რადგანაც ეს დავალიანება შესაძლოა გაზის ახალი ომის მიზეზი გახდეს და კვლავ შეფერხდეს უკრაინის გავლით ევროპისთვის ენერგომატარებლის მიწოდება. ევროკომისიის სპეციალურმა წარმომადგენელმა ენერგეტიკის საკითხებში ფერან ესპუნიმ უკრაინა გააფრთხილა და კატეგორიულად მოსთხოვა კიევის „გაზპრომთან“ იანვარში ხელმოწერილი შეთანხმების შესრულება. შეგახსენებთ, რომ ამ შეთანხმების თანახმად, უკრაინამ გაზი „გაზპრომისგან“ 360 დოლარად უნდა შეიძინოს. გადახდის დაგვიანების შემთხვევაში კი „გაზპრომს“ უფლება აქვს, ყოველი თვის საფასურის გადახდა 100-პროცენტული წინსწრებით მოითხოვოს.

გიგი უგულავა მიხილ სააკაშვილს ყვითელი ავტობუსით აბრკვის?

დედაქალაქის მესვეურთა მიერ არჩეული სატრანსპორტო პოლიტიკა მორიელივით ჭამს მგ ზავრთა ნერვებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველა რგოლში იგრძნობა არაპროფესიონალთა ჩინოვნიკური სიჯიუტე, მოჩვენებითი წინსვლა და ფარული ცინიზმი. აღნიშნულ დარგში სრული განუკითხაობაა, თითქოს ქალაქში უპრობლემოდ გადაადგილების ღირსნი არ ვიყოთ. იქნებ ამას არც ვიმსახურებთ, ამდენს რომ ვითმენთ...
ჯერ იყო და... „მარშრუტების“ ქალაქად ვიქცეით. სამარშრუტო ტაქსების არასტანდარტული სალონებიდან მგ ზავრი წელატიკებული და ფეხებმოქცეული ჩამოდიოდა. მერე 14 წლის ნახმარი, ამორტიზებული, თითქმის ჯართად ქცეული პოლანდიური ავტობუსები ჩამოიტანეს, რომლებშიც ხალხი ზაფხულში უანგზადის უკმარისობით იგუდებოდა. არადა, მათ შეძენაზე მილიონები დაიხარჯა.



ქალაქის კოლორიტული, ეკოლოგიურად სუფთა, იაფი ელექტროტრანსპორტი გააუქმეს, მაშინ, როდესაც, ეკოლოგთა მტკიცებით, თბილისის თავზე გამოწვლილ ტოქსიკურობა სიცოცხლისათვის საშიშ ზღვარს უახლოვდება. ტრანსპორტის ამ სახეობას პროფესიონალ ტრანსპორტელთა კადრები მიაყოლეს. უზარმაზარი კომპანიიდან სპეციალისტები ქუჩაში გაყარეს. „ვარდოსნებმა“ ქალაქის სატრანსპორტო დარგის მართვა ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობის ახლად გამოჩეკილი ლიდერის მია ნადირაძის მეუღლეს ჩააბარა, ხოლო მოადგილედ ნადირაძისავე საარჩევნო შტაბის უფროსი იერემია ბერიშვილი დანიშნა. მოგვიანებით ბატონი იერემია პარლამენტარად მოგვევლინა და კიდევ უფრო „მასშტაბურად“ შეუდგა „ქვეყნის აღმშენებლობას“. პოლანდიური ავტობუსები წყობიდან მალე გამოვიდა, ხოლო დახარჯულმა მილიონებმა ჩაიღურის წყალი დალია.

დღეს უკვე წარსულს ჩაბარდა ის დრო, მგ ზავრები მძღოლს ხელისგულზე ხურდა ფულის დაყრით რომ ემშვიდობებოდნენ. ამჟამად საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობაში იმგვარი ქაოსია, რომ გაჩერებაზე მდგომმა მგ ზავრმა შეიძლება გაოგნებულმა რამდენჯერმე გააცილოს ერთი და იგივე მარშრუტის ავტობუსი, სასურველს კი 45 წუთი ელოდოს. გადაადგილება განსაკუთრებით ელიტურ უბნებში — ვაკესა და რუსთაველის პროსპექტის მიმართულებით ჭირს. არაორგანიზებული სატრანსპორტო მოძრაობის

გამოქვეყნებში მოხვედრილმა ხალხით სავსე ავტობუსში სულ ცოტა 45 წუთის განმავლობაში უნდა იყურებოდნენ. მართალია, მგ ზავრის ფასი წინა წლებთან შედარებით გაორმაგდა, მაგრამ ამას მომსახურების კულტურაზე სულაც არ უმოქმედია. ეს ყველაფერი ავტობუსებში ახალი საბილეთო ავტომატების დამონტაჟებით დაგვირგვინდა. მგ ზავრს თუ ხელზე ზუსტად 40 თეთრი არ აღმოაჩნდა, ნება უნდა იბოძოს და ტრანსპორტში ასვლამდე ყველა სავაჭრო წერტილი დაიაროს ფულის დასახურდავებლად. ამის მიღწევა დროსთან ერთად ნერვების გამძლეობას მოითხოვს. ამგვარი სცენის მოწმეც კი გაგზავნი: მზესუმზირის გამყიდველ ქალს ხანდაზმული მამაკაცი ფულის დახურდავებას სთხოვდა ტრანსპორტისთვის, ქალი კი უყვიროდა: — „რა გინდა, აღამიანო, თუ გინდა, „სემიჩკა“ იყიდე, თუ არა და რას მთხოვ?“

მთარული ხმებით, აღნიშნულ ავტომატებს ფულის დასახურდავებელი მოწყობილობაც ჰქონია, მაგრამ ჩვენი ქალაქის მამებმა „ქამრების მაგრად შემოჭრა“ მგ ზავრის ნერვების ხარჯზე გადაწყვიტეს. იმასაც აბრკობენ, ამას იმიტომ აპატიებენ, რომ ქალაქის მერი გიგი უგულავა პრაზიდენტობაზე ოცნებობს... გაზაფხულზე ხალხის ბამოსვლის ამ მისტიკურ ზრუნავს, რათა სააკაშვილზე განაწყინებული ხალხის პროტესტს სიმძაფრე შემატოს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ არსებობს

სიმძიმით განამებულმა მოქალაქემ, რომლისთვისაც ტაქსი ფუფუნებაა, სახლში დაბრუნებამდე ენერგიულად უნდა ირბინოს ხურდა ფულის საშოვნელად.

ნათქვამია, სვავიც კი ძვალს ასჯერ ზომავს, რომ გადაყლაპოს. ჩვენმა ახალგაზრდა ხელისუფლებამ და ქალაქის მერმა თავიანთი მაღალი „ჯიპებიდან“ ვერ გაზომეს თანამოქალაქეებისათვის შეთავაზებული ძვალი. ხალხს კი ეს ძვალი უკმაყოფილებით დრტვინავს.

რამდენიმე დღის წინ №23 მარშრუტის ავტობუსით ვმგ ზავრობდი. მეტრო „გურამიშვილიდან“ ავტობუსში სახაზო კონტროლიორი ამოვიდა და აღებული ბილეთების ჩვენება მოითხოვა. მგ ზავრთა უმრავლესობას ხურდის უქონლობის გამო ბილეთი ვერ აეღო. უბილეთოთა დაჯარიმება რომ დააპირა, მოხდა ისე, რომ განერვიულებულ, დაძაბულ, არსებული პრობლემებით გაღიზიანებულ მგ ზავრთა მხრიდან იმგვარ წინააღმდეგობას ნაწყდა, რომ იძულებული გახდა, თვითონ დაეტოვებინა ავტობუსი. პრობლემის გადასაწყვეტად ტრანსპორტისა და ქალაქის მესვეურნი რეკლამირებულ პლასტიკურ ბარათებს გვთავაზობენ, რაც მილიონიან ქალაქში არასტაბილური ცხოვრების პირობებში მცირე ნაწილს თუ დააკმაყოფილებს.

ძნელია, განსაზღვრო, აღნიშნული პრობლემა ახალგაზრდა ხელისუფლების გამოუცდლობაა თუ კარგად დაგეგმილი პოლიტიკური ავანტიურა,

მაგრამ ცხადია, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგ ზავრობის საფასურის გადახდის დღევანდელი ფორმა ნამდვილად არაფინანსური, არაპროფესიული დონეზე პროგრამირებული ქმედებაა. ამგვარი არაორდინარული მგ ზავრობა ადამიანს თრგუნავს და ხელს უწყობს მგ ზავრთა ფსიქიკური წონასწორობის დარღვევას. გასათვალისწინებელია რევიონებიდან ჩამოსულ მგ ზავრთა ბედიც.

აღნიშნულ პრობლემებზე კომენტარისთვის შპს „თბილისის ავტობუსის“ ცხელ ხაზს დავუკავშირდით. დარგის წამყვანმა სპეციალისტმა გიორგი ციციარმა, რომელიც ცხელ ხაზთან მორიგებდა, გულწრფელად გვითხრა, რომ ამ საკითხზე უამრავი ადამიანი რეკავს და, როგორც მისთვის ცნობილია, მსგავსი პრობლემების მოგვარებაზე უკვე მუშაობენ. ქალაქ თბილისის მერიის ცხელ ხაზმა სოციალური საკითხების ოპერატორთან გადაგვამისამართა, ხოლო ოპერატორმა ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის სამსახურზე მიგვიითა. მიუხედავად მთელი რიგი ფორმალური და ბიუროკრატიული საფეხურების გავლისა, საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის უფროსთან, ბატონ აკაკი ჯოხაძესთან დაკავშირება მაინც ვერ შევძელით. რაც შეეხება შპს „თბილისის ავტობუსის“ გენერალურ დირექტორს, ბატონ ბესო ნათენაძეს, ჯოჯოხეთის მუშაობით განგვიცხადა, რომ სალარო-ავტომატებმა (რომელთაც ფულის დასახურდავებელი აპარატი არ გააჩნია) მგ ზავრთა სატრანსპორტო მომსახურება მინიმუმონად გააუმჯობესა და ბევრად კომფორტული გახდა. გადახდის სისტემაში პლასტიკური ბარათების შემოღება ხურდა ფულის ალტერნატივაა, ამასთან, მგ ზავრებს ბილეთებზე სერიოზულ ფასდაკლებას სთავაზობს: მგ ზავრები ახალი სისტემით კმაყოფილნი არიან. ამას ეწინააღმდეგება ამავე ორგანიზაციის ცხელი ხაზის მოწოდებული ინფორმაცია. ჩამოსულთა მგ ზავრობის უხერხულობას ემატება იმ ადამიანთა გასაჭირი, რომელთაც ქალაქში გამოსვლა იშვიათად უხდებათ. ასე რომ, არის ბატონი ბესოს მიერ თქმული სიმართლე თუ განებივრებულ ჩინოვნიკთა თვითკერძი ბუნების ფსევდოსიმართლე, პროფესიული ხედვით გათვლილი პროგრესული ნაბიჯი თუ უმწიფარ დილემანტთა ბრმა ქმედობაა, მკითხველმა განსაჯოს. იქნებ ეს სიახლე სხვა, უფრო ღრმა კონტექსტითაა მოტივირებული? თორემ ფულის გადასახურდავებელი აპარატი და პლასტიკური ბარათების თანარსებობა ერთმანეთს ხელს არ შეუშლიდა.

ლალი შაშიაშვილი


„პასეჟირის“ ეროვნული თავისებურებანი

თუ შეეცდები, მოკლედ წარმოაჩინო საქმის დღევანდელი ვითარება საქართველოში, უნებლიეთ გაგახსენდება დიუმას მუშეკეტერების დევიზი – „ერთი – ყველასათვის, ყველა – ერთისათვის“, მხოლოდ დღევანდელი რეალობის შესაბამისად უნდა დასვა თავის ადგილას სასვენი ნიშნები... ხუთდღიანი „ომი“ და მისი შედეგები, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა, კონფლიქტი და დიპლომატიური ურთიერთობის განწყობა რუსეთთან, კრიზისი ხელისუფლებისა და კრიზისი ეკონომიკური – აი იმ უბედურებათა მეტად არასრული ჩამონათვალი, საქართველოს რომ დაატყდა თავს, მაგრამ (ეს კი ყველაზე საშიშროებაა!) ჩვენ ახლაც კი არ შევძიძივართ, სადაღ შევავსოთ სიტუაცია და მივიღოთ შესაბამისი ზომები...

საქართველო უკანასკნელ წლებში თავისი ხელისუფლების არამორმდგომარეობით პოლიტიკის გამო სულ უფრო და უფრო გვაგონებს ქრონიკულ ალკოჰოლიკს – ყოველი „დაღვების“ და „ჩხუბის“ შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ „შეჩერდეს“ და „მოიშუშოს ქრილობები“, კვლავ მიდის „გამოსაფხინებლად“ (შინაურულად რომ ვთქვათ, „პასეჟირზე გამოსასვლელად“): დღესასწაულები და შოუები, „კორუფციასთან ბრძოლის მე-2 ეტაპი“, „დემოკრატიის მე-3 ეტაპი“, „რეგულაციის მე-4 ეტაპი“, ხელისუფლებაში საკარუსელო გადაადგილებანი – გიგა, გიგი, გია, გივი, გიორგი, გეგა და ასე შემდეგ... მერე ეს კვლავ გადადის „სამაში“ თანმდევი „ჩხუბებით“ (რა მნიშვნელობა აქვს – რუსთაველის პროსპექტზე იქნება ეს, სამხრეთ ოსეთში თუ კოდორში!), და ჩვენ აუცილებლად გვხვდება „ცხვირში“ და „ჭუჭყიათაში“ ცრემლისა და სისხლიანი ცხვირის წმენდით“ გაგრძობით „ძია სემთან“ და „დედა ევროპასთან“, თანაც „მთელი ხმით ვლრიალებთ“ მანამ, სანამ არ „მოგვაკუთვინებენ პირს“ მორიგი „ნასუფრალით“ (დაახლოებით 4,5 მილიარდი დოლარით), რის შემდეგ ჩვენ კვლავ ვინცებთ ზეიმს, „გამოფხინებებს დროთობისაგან“ და „ჩხუბს“... ამ დროს ვერ ვაანალიზებთ, რომ კრედიტი 4,5 მილიარდი გასაჩუქებლად მოგვცეს და კიდევ იმი-სათვის, რომ არ ვაიძულოთ ისინი, ჩაებნენ კონფლიქტში რუსეთთან: ამერიკის შერეული შტაბი და ევროკავშირის შტაბი და „გამოფხინების“ და „ნასუფრალის“ გამოიწვევით და მას დუმილისათვის უხდინა!

დების რეგულაციამდე“ მთელ ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციას. თუმცა, რა აზრი აქვს სააკაშვილის განსჯას, ან მისგან გამსახურდას პატრიოტიზმის მოთხოვნას, ან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის „ბალანსირების“ შევარდნაძისეულ მაღალ პილოტაჟს?! სააკაშვილმა გააკეთა ის, რაც შეეძლო, რაც მას ასწავლეს – მან ყველაფერი დაანგრია, თანაც ისე კარგად, რომ თავად ირწმუნა თავისი შეუცვლელი სანაკაშვილი არასოდეს შეიცვლება, იოტისოდენადაც კი, თანაც, არა ბუნებრივი სიჯიუტის გამო, არამედ იმიტომ, რომ ამაში ვერ ხედავს აუცილებლობას – ის აბსოლუტურად გულწრფელია ყველა თავის ქცევაში და, შესაბამისად, თავის შეცდომებში, ხშირად – საშინელ შეცდომებში... რაც შეეხება „ყველას – ერთისათვის“ – ანუ, საქართველოს მთელ ხალხს, რომელიც თითქოსდა ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს თავის დღევანდელ პრეზიდენტს – საქმე აქ უფრო რთულადაა: ძირითადი მანქანები, რომელთა შესახებაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქართულ საზოგადოებაში ჭეშმარიტ გუნება-განწყობილებას, არაერთმნიშვნელოვანი და ხშირად ყალბია... აქ არ შეიძლება არ დაეთანხმო გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის ალექსანდრე ჭაჭიას აზრს: „ყველა პრობლემა ჩვენს ურთიერთობაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში. საზოგადოებრივ აზრს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მასში, როდესაც არასეპარატორი აზრის გამოხატვები პოლიტიკური სუბიექტები. საქართველოში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების ქსელი ანგაჟირებულია – ეს არაერთგვაროვნად ორიენტირებული ქსელია. პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები შექმნილია და არსებობს ამერიკელი კურატორების ფიზიკური კონტროლის ქვეშ და მათგანვე ხდება მათი დაფინანსება. იმის შესახებ საუბარს კი, რომ ეს პოლიტიკური სტრუქტურები და ორგანიზაციები საზოგადოებრივი აზრის მატარებლები არიან, მე არ დავინყებდი“.

ამრიგად, საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების უდიდესი უმრავლესობა რეალურად არ გამოხატავს საზოგადოებრივ აზრს. მაშ, ვინდა? იქნებ, მასმედია? არც ის: საკმარისია იტყვას, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს არც ერთი ტელე-არხი, რომელიც გააძლიერებდეს „დინამის საპირისპირო მიმართულებით ცურვას“ და გააძლიერებდეს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის აზრს, ან დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებიც წავიდოდნენ საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებით და, ამავე დროს, „აგრესორი და ოკუპანტი რუსეთის“ წინააღმდეგ. ხოლო მარტო სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მისამართით ხმამაღალი კრიტიკით ზოგიერთი ვაზეთი და ტელეარხი კი არ უარყოფენ, არამედ მხოლოდ ადასტურებენ ზემოაღნიშნულს. უფრო მეტიც – ისინი საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს სამ დიდ სამსახურს უწევენ: „ბუნტარებისა“ და ოპოზიციონერებისათვის თავისუფალი ტრიბუნის მიცემით ისინი უნებლიეთ (ზოგიერთი კი, იქნებ, ნებისთავ...) ახდენენ დღევანდელი ხელისუფლებით ყველა უკმაყოფილოს „ლუსტრირებას“; მორამი: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საჯაროობის ილუზიის შექმნით ასრულებენ მცველი სარქველის როლს ორთქლის ქვაბზე, საიდანაც უსარგებლო, მაგრამ ხმამაღალი სტვენით, გამოედინება სახალხო უკმაყოფილების „ზედმეტი ორთქლი, კრიტიკულ ნიშნულამდე რომ დაგროვიდა; მისამამი: თავისი არსებობის თავად ფაქტით განასახიერებს მთელი მსოფლიოსათვის საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებას! რალა რჩება?! ხალხის ნების თავისუფალი გამოხატვა – პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები, რომლებიც, მასობრივი გაყალბების გამო, საქართველოში უკვე დიდი ხანია, „ყბადაღებულად“ იქცა?! დაიხ, დღეს საქართველოში ბევრი მტრულადაა განწყობილი რუსეთისადმი და ამაში ერთნაირადაა დამნაშავე როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე მასობრივი ინფორმაციური პარტიების არაობიექტურობა. მაგრამ მათ მიერ გაბრუნებული უამრავი ხალხის გარდა საქართველოში არის კიდევ ადამი-



ჯერჯერობით კი ბატონ კობა სუბელიანს – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს – არ შეუძლია ჩავიდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რათა გადასცეს მათ საერთაშორისო დანაშაულებას საქართველოსთვის გამოყოფილი ოთხ-ნახევარი მილიონი დოლარიდან (თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – ეს საქართველოა, მათაც ხომ ეკუთვნის ნილი).

ველყოფილი, კეთილსინდისიერი მუშები და სოფლის მეურნეობის მუშაკები, მოსამსახურეები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ჭეშმარიტად (და არა – სინდისგარეცხილი!) სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები – ისინი, ვინც პატივს სცემს თავიანთ ეროვნულ ტრადიციებს, ახსოვს ორი მართლმადიდებელი (რუსი და ქართველი) ხალხის ყოფილი მეგობრობა და ვინც ოდესღაც „აიღულა“ რუსეთი, მსურვალედ ჰყვარებოდა საქართველო და ქართველი ხალხი... მაგრამ დღეს მათი ხმა, ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზის გამო, არ ისმის, და კიდევ იმიტომ, რომ დღეს საქართველოში არ არის სახალხო დიპლომატიის, სხვადასხვა კომისიისა და ჰუმანიტარული მისიების დრო. როგორც სამართლიანად შენიშნა ალექსანდრე ჭაჭიამ: „ჰუმანიტარული პრობლემები თავის საფუძველში პოლიტიკურს ემყარება... უნდა ვიფიქროთ ურთიერთობათა ახალ პროექტზე, მაგრამ ამისათვის უნდა შეიცვალოს საქართველოს ხელმძღვანელობის საგარეო-პოლიტიკური კურსი“.

აი, ასე... ჯერჯერობით კი ბატონ კობა სუბელიანს – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს – არ შეუძლია ჩავიდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რათა გადასცეს მათ საერთაშორისო დანაშაულებას საქართველოსთვის გამოყოფილი ოთხ-ნახევარი მილიონი დოლარიდან (თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – ეს საქართველოა, მათაც ხომ ეკუთვნის ნილი). და ამაში მას ვერ დაეხმარება ძვირადღირებული „ჯიპი“ კი განსაკუთრებული ნომრით, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ექს-კანდიდატის მაკკეინის პატივსაცემად ინგლისურად ეწერა: „Mc KAIN“. მე კი ქართველი, როგორც „ჭეშმარიტი ევროპელი“, ვკითხულობ ამას ლათინურად და გამოდის... კაენი!

საკაშვილმა გააკეთა ის, რაც შეეძლო, რაც მას ასწავლეს – მან ყველაფერი დაანგრია, თანაც ისე კარგად, რომ თავად ირწმუნა თავისი შეუცვლელი სანაკაშვილი არასოდეს შეიცვლება, იოტისოდენადაც კი...

ამრიგად: „ერთი – ყველა-სათვის!“. როგორც მოგვხსენებდათ, ეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: ის ერთი მართავს საქართველოს ყველას მაგივრად უკვე შეექცეს წელია, ის ერთი ყველას მაგივრად ირჩევს მეგობრებსა და მომავალს, ახდენს მისი ისტორიის გადაფასებას, შედეგად კი ვიგებთ დღემდე უცნობ „ფაქტებს“ (მაგალითად, თამარ მეფის ოსური წარმოშობის შესახებ...), ახდენს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების თავისებურ ციტირებას, საავტორო ტექსტის(?) კორექტირებას და ხელის ერთი მოქნევით „რეცხავს უნიტაზში“ „ვარ-

ნელობა აქვს მასში, როდესაც არსებობენ ამ საზოგადოებრივი აზრის გამოხატვები პოლიტიკური სუბიექტები. საქართველოში არსებული პოლიტიკური ორგანიზაციების ქსელი ანგაჟირებულია – ეს არაერთგვაროვნად ორიენტირებული ქსელია. პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები შექმნილია და არსებობს ამერიკელი კურატორების ფიზიკური კონტროლის ქვეშ და მათგანვე ხდება მათი დაფინანსება. იმის შესახებ საუბარს კი, რომ ეს პოლიტიკური სტრუქტურები და ორგანიზაციები საზოგადოებრივი აზრის მატარებლები არიან, მე არ დავინყებდი“.

ამას დაუმატეთ დასავლეთის მასობრივი კულტურისა და „კოკა-კოლას“ „ღირებულებებზე“ აღზრდილი ახალგაზრდა თაობა, აბსოლუტურად რომ არ ფლობს რუსულ ენას და, რასაკვირველია, „მაგიდასთან მიშვებულნი“ და „მაგიდისკენ მსწრაფნი“ (ფაზილ ისკანდერის მიხედვით) – სახელისუფლო სტრუქტურების (ცენტრალური, რეგიონული, რაიონული), სასამართლო ხელისუფლებისა და ყველა „ძალღვანი“ სტრუქტურის სტაბილურად და სოლიდურად ანაზღაურებული წარმომადგენლები: ესეც თქვენი ისინი, ვინც „ყველა – ერთისათვისა“, ესე იგი – პრეზიდენტი სააკაშვილისთვის! რასაკვირველია, საქართველოში მათ გარდა არის კიდევ საკმაოდ ბევრი ხალხი – დღეს გაღატაკებული და შეურაცხყოფილი, ოდესღაც კი – საესებით უზრუნ-



ნუ იჩქარებთ საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღებას

(THE WASHINGTON TIMES, აშშ)

საქართველოსა და უკრაინის ნატოში ნაადრევად შესვლის შედეგად ომის საშიშროება კი არ შემცირდება, არამედ გაიზრდება. ეს უკიდურესად ნარეატიული იდეა უმაღლესი ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას გამოიწვევს და ომის საფრთხეს გააძლიერებს, ვიდრე რაიმე რეალურ სარგებლობას მოუტანს ცენტრალური ვერობის ახალგაზრდა დემოკრატებს.

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ საქმე გვაქვს საქართველოში რუსეთის უღმობელ შეჭრაზე ბუნებრივ რეაქციასთან – ეს აქცია ნებისმიერი საზომით შეუსაბამო და მიუღებელი პასუხი გახლდათ „განდგომილი“ პროვინციების – სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის გარშემო დაძაბულობის აფეთქებაზე. თუმცა ახლა უმეტესობა უკვე მიხვდა: რუსული აგრესიის სრული გაუმართლებლობის მიუხედავად, შეუძლებელია, მას არაპროვოცირებული ვუნდოთ. კერძოდ, კრიზისის დასაწყისში სწორედ საქართველომ გაუხსნა სრულიად უგუნურად საარტილერიო ცეცხლი სადავო რეგიონებს. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებისაკენ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პრინციპში გასაგებია მისწრაფება საერთაშორისო საზოგადოების როლისა და ფრთხილად, მშვიდობიანი მეთოდებით მოქმედების აუცილებლობის სრული უგულვებლყოფით ხორციელდებოდა. მომავალში აუცილებელია არა მარტო რუსეთი, არამედ სხვა რეგიონული მოთამაშეებიც მოვარიდოთ უპასუხისმგებლო ქმედებებს, ისეთებს, რომლებმაც რამდენიმე თვის წინ კავკასია სრულმასშტაბიანი ომის ზღურბლზე დააყენა.

ნატოში განწევრიანების კარგად მოფიქრებული და დამუშავებული პროცედურა არსებობს. სხვათა და სხვათა შორის ის მკაფიოდ ითვალისწინებს კანდიდატ ქვეყნებში დემოკრატიული წყობის არსებობას, აგრეთვე ტერიტორიული დაევის ძალის გამოყენების გარეშე გადაჭრას. დღეს არც უკრაინა, არც საქართველო (და არც რუსეთი) ამ კრიტერიუმებს არ შეესაბამები-

ან. ჩვენ დადგინილი პროცედურა უნდა დავიცვათ და მოვლენები არ დავაჩქაროთ.

შეერთებული შტატები განსაკუთრებით უნდა მოერიდოს ისეთ ქმედებებს, რომლებიც რუსებს შთაბეჭდილებას შეუქმნის, რომ ნატოს პირდაპირი მიზანი მათი ქვეყნის დასუსტებაა, ან რომ მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები, როგორცაა პოლონეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში რაკეტა-წინააღმდეგო სისტემების შექმნა, მათ საზიანოდ განხორციელდება. სამწუხაროდ, ცივი ომის დამთავრებიდან გავლილი ორი ათეული წლის განმავლობაში ჩვენ ისინი პირუტყვი ვერ დავარწმუნეთ. რა თქმა უნდა, მთავარ როლს აქ რუსი პოლიტიკოსების ცინიზმი და დაუნდობლობა თამაშობს, მაგრამ ხილულ მომავალში სწორედ ასეთ ადამიანებთან მოგვიწევს საქმის დაჭერა მოსკოვში... საქართველოსა და უკრაინის მიმართ ნატოში მიღების ჩვეულ პროცედურაზე უარის თქმას მოსკოვი აუცილებლად შეაფასებს მის წინააღმდეგ მიმართულ „დამსჯელ აქციად“ და არა ბრძნულ პოლიტიკურ ნაბიჯად.

ამჟამად რუსეთთან ურთიერთობაში ყველაფერს აჯობებს ალარ დავუშვათ ნებისმიერი მხარისაგან საქიროების გარეშე მისი პროვოცირება, და საშუალება მივცეთ პრეზიდენტ ბარაკ ობამას, ნატოში თავის მოკავშირეებთან ერთად მოსკოვთან ურთიერთობისადმი უფრო „მომთმენი“ მიდგომა შეიმუშაოს. ნუ ცხარობთ – ჩვეულებრივ, სწორედ ასეთ რჩევას ვაძლევთ სხვა ქვეყნებს ბოლოდროინდელის მაგვარ კრიზისთან შეჯახებისას. ახლა კი ჩვენ თვითონ არ გვანწყენდა ამ რჩევის გათვალისწინება.

სენტრალური სდაზვიარო სპარტოველო ყაზახურად

ყაზახეთი ქმნის საკუთარ საგარეო დაზვიარვის სამსახურს (სდა) „საჯამუშო“ უწყება დაექვემდებარება პირადად ნაზარბაევს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში კიდევ ერთი სდა-ს გაჩენა ხდება ენერგეტიკული დღის წესრიგის აქტუალიზაციის ფონზე. მაგალითად, აქტანას განზრახული აქვს, გაზარდოს თავისი როლი რეგიონის ენერგეტიკულ პო-

ლიტიკაში, კერძოდ, უკვე აცხადებს პრეტენზიას რუსურსების ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებლის სტატუსზე. და თავისი სდა დაეხმარება ყაზახეთს, არ იდავოს ამ ნიადაგზე რუსეთთან. ყაზახეთი ზრდის თავის გეო-პოლიტიკურ წონას რეგიონის ფარგლებში. ასე შეაფასა ექსპერტების უმრავლესობამ ყოფილი სსრ კავშირის სივრცეში კიდევ ერთი სდა-ს შექმნა. ბრძანე-

ბას „საჯამუშო“ უწყების – „სირბარის“ შექმნის შესახებ ხელი მოაწერა ნაზარბაევმა. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის საგარეო პოლიტიკის ექსპერტი ევგენი ვოიკო აღნიშნავს, რომ ყაზახეთში ამჟამად მიმდინარეობს „ენერგეტიკული დღის წესრიგის აქტუალიზაცია“. „სწორედ ამასთან არის დაკავშირებული ის, რომ ყაზახეთში ძლიერდება ადმინისტრაციული სექტორის გავლენა, უწინარეს ყოვლისა, ესაა ნაზარბაევის ხელისუფლების გაძლიერება“.

რატომ აღარ იქნება მსოფლიო კვლევი?

ამ დღეებში პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თქვა, რომ რუსეთისათვის 2008 წლის 8 აგვისტო იყო როგორც 11 სექტემბერი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ესე იგი, ესაა გარდატეხის თარიღი, რომლის შემდეგაც, როგორც ამბობენ, „მსოფლიო ძველებური აღარ იქნება“ – ჩვენთვისაც და სხვებისთვისაც. კავკასიის მოვლენების მნიშვნელობასა და შედეგებზე „იზვესტიის“ კორესპონდენტს ესაუბრა ცნობილი პოლიტოლოგი, დემოკრატიისა და თანამშრომლობის ინსტიტუტის პარიზის ფილიალის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნატალია ნაროჩნიცკაია.

გთავაზობთ ამონარიდებს ამ ინტერვიოდან. – უკანასკნელ ხანებში თქვენ ინტენსიურად სტუმრობდით ვეროპას. როგორია იქ ჩვენდამი დამოკიდებულება? ხშირად გაიგონებ, რომ რუსეთმა საქართველოში მოქმედებით ვეროპელები დააშინა... – სინამდვილეში კი პირიქითაა: ვეროპის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვანილად თავად ამინებენ მოსახლეობას. საიდუმლოებას როდი წარმოადგენს, რომ რუსეთზე ზემოქმედება იდეოლოგიურია, მსოფლმხედველობითა და მრავალგზის ჭარბობს იმას, რაც იყო სსრ კავშირის დროს. რუსეთი ყოველთვის იქნება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის შემქმნელი ელემენ-

ტი. და ამის წართმევა მოუნდომეს მას. მიმაჩნია, რომ მთელი აურზაური დასავლეთში მოხდა არა იმდენად საქართველოს, რამდენადაც პრობლემის გამო, რომელიც მათ დაინახეს: რა უნდა ქნან უფრო ძლიერ რუსეთთან, რომელიც ბედავს, დაიცვას თავისი ინტერესები. – როგორ მიგაჩნიათ, შეგვეძლო კავკასიაში სხვაგვარად მოექცეულიყავით? უარი გვეთქვა, მაგალითად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებაზე? – ჩვენი გადაწყვეტილება სავსებით სწორია. რომ არ დავეცვა და არ გველიარებინა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, საბოლოო ჯამში ჩვენ იქიდან გამოგვედევინდნენ და იქ გადმოსხედობდნენ ამერიკელები... და ყველაფერს ბოლო მოეღებოდა.



რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები 2011 წელს მიიღებენ ბაჰანადგურაკობას „სუ-35“-ს

შარშან თებერვალში კომპანია „სუხოი“ დაიწყო გამანადგურებელ „სუ-35“-ის საზაფხულო გამოცდა. პირველი გაფრენა მოხდა მოსკოვის გარეუბან შუკოვსკის აეროდრომიდან. მეორე გაფრენი ნიმუში სხვა აეროდრომიდან აფრინდა 2008 წლის 2 აგვისტოს.

„სუ-35“ არის მეოთხე თაობის ღრმად მოდერნიზებული, ზემანვერული, მრავალფუნქციონირებადი გამანადგურებელი. მასში გამოყენებულია მესამე თაობის ტექნოლოგია. თვითმფრინავის განმასხვავებელი თავისებურებაა ავიონიკის ახალი კომპლექსი მოწყობილობის საფუძველზე, ახალი რადიოლოკაციური სადგური ფაზირებული ანტენით, საჰაერო მიზნების აღმოჩენის დიდი სიშორით, ახალი ძრავებით და ა.შ.

დიმიტრი მედვედევი: კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ერთობლივი სწავლება უახლოეს დღეებში გაიხატება

რუსეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა მეზობელი ქვეყნის კოლექტიურ უშიშროებაზე. მისი თქმით, ურთიერთ-მოქმედების ეფექტიანობის მნიშვნელობა. ამჟამად ამოცანა მიზნად ისახავს „ჯარების საბრძოლო შემადგენლობის ოპტიმიზაციასა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ახალი სახის შექმნას“.

მედვედევმა შენიშნა, რომ რუსეთის არმიამ 90-იან წლებში გადაიტანა უძნელესი პერიოდი. „ამჟამადაც არაა ყველაფერი იოლად, განსაკუთრებით, დამდგარი ეკონომიკური კრიზისის პირობებში. მაგრამ არმიას ახლაც აქვს „რამდენადმე განსხვავებული“ სასტარტო შესაძლებლობანი. ამოცანაა – აღარაფერი დავკარგოთ.

როგორც გაიტსი: აპერიკას ურუსეთოდ არ შეუძლია

– „რუსეთის პოლიტიკა ზოგიერთ დარგში ინვესტ შეერთებული შტატების შემფოთებას, მაგრამ ამერიკას არ შეუძლია ურუსეთოდ“, – ამის შესახებ განუცხადა ურნალისტებს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა. „წინ რომ ნავიდეთ, – აღნიშნავს გეიტსი, – კონსტრუქციულად უნდა მივუდგეთ ჩვენს ურთიერთობათა დამუშავებას, თანაც არ დავივიწყოთ რუსეთის ის მოქმედებანი, რომლებიც სიძნელებებს გვიქმნიან“. პენტაგონის მეთაურის აზრით, რუსეთი ცდილობს, მიიღოს

სარგებელი ყველა ასპექტიდან, რომლებიც დაკავშირებულია ყირგიზეთში მანასის ამერიკის ავიაბაზის დახურვასთან. ბაზას დიდი აქვს მნიშვნელობა ტვირთისა და სამხედრო მოსამსახურეების გადაყვანისათვის ამერიკიდან ავღანეთში, სადაც გათვალისწინებულია ერთ წელიწადში ამერიკელთა რაოდენობის ორჯერ გაზრდა. ერთი მხრივ, რუსეთი დადებითად ეკიდება ჩვენს მუშაობას ავღანეთთან დაკავშირებით, მეორე მხრივ – იგი მუშაობს ჩვენ წინააღმდეგ ამ ბაზის სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

შეერთებული შტატების დაზვიარვა რუსეთს საფრთხედ მიიჩნევა

– „ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მთავარ საფრთხედ გლობალური ეკონომიკური კრიზისი რჩება, მაგრამ მნიშვნელოვან ყურადღებას საფრთხის წყაროს სახით იმსახურებენ ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფოები. ამის თაობაზე ნათქვამია მოხსენებაში ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების საფრთხის შესახებ.“

იგი მოამზადეს ქვეყნის დაზვიარვის სამსახურებმა, – იტყობინება „ვაშინგტონ პროფილი“. უშიშროების საფრთხის ჩამონათვალი შეიცავს ეკონომიკურ კრიზისს; ძალადობრივ ექსტრემიზმს; პოლიტიკურ პროცესებს ახლო აღმოსავლეთში, ირანში, ერაყში, ავღანეთსა და პაკისტანში; ჩინეთსა და ინდოეთის გაძლიერების შესაძლებლობას; კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვობროგრამის რეალიზაციას; ბალკანეთის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის პრობლემებს; აგრეთვე ორგანიზებული დანაშაულის მოქმედებას.

ამას გარდა, განსაკუთრებით არის ხაზგასმული კომპიუტერული ქსელების უშიშროების საფრთხე, რაც, ამერიკის დაზვიარვის მონაცემებით, მოდის რუსეთიდანაც.

მოხსენების ერთ ნაწილში აღნიშნულია, რომ „მოსკოვი აქტიურად ანესრიგებს ურთიერთობას რეგიონულ ლიდერთან, ისეთებთან, როგორცაა: ჩინეთი, ირანი და ვენესუელა, რაც ზრდის მისი გავლენის შესაძლებლობას. რუსეთი ცდილობს აგრეთვე, შეინარჩუნოს და განამტკიცოს კონტროლი ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში ენერჯის მიწოდების მარშრუტებზე. მოსკოვი დარწმუნებულია, რომ ევროპის სერიოზული დამოკიდებულება რუსეთის გაზზე ზრდის რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წონას.“

ამას გარდა, ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე არის „ცხელი ნერტილები“ და არასტაბილურობის კერები. ამერიკის დაზვიარვა მათ მიაკუთვნებს აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, ყარაბაღს, უკრაინას, ბელორუსიას და შუა აზიას.

რუსეთი იწყებს ავიაგზის კარიერას მხარეთმცოდნეობაში

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა დავალება მისცა თავდაცვის სამინისტროს, დაამუშაოს ავიაგზის კრეისერების მშენებლობის პროგრამა, რათა უახლოესი ორი წლის განმავლობაში დაიწყოს ასეთი გემების აგება. – „ფიქრობ, უახლოეს ხანებში ჩვენ მოვაზადებთ პროგ-

რამას... ავიაგზის კომპონენტების ასაღორძინებლად და ადგილების განსაზღვრისათვის, სადაც აიგება ავიაგზის კრეისერები“, – განაცხადა მედვედევმა მიმდებარე ავიაგზის კრეისერის „საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალის ნ.გ. კუზნეცოვის“ პირად შემადგენლობასთან შეხვედრის დროს.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას გამოსვლამ შეიარაღების შემცირების ინიციატივებით პოზიტიური რეაქცია გამოიწვია რუსეთის საექსპერტო წრეებში. თუმცა მაინც რჩება საკითხი: რა იმალება ამ ინიციატივების უკან – მართლაც არის განიარაღების სურვილი თუ სხვა რამ, რამდენად შეესაბამება ეს წინადადებები რუსეთის ინტერესებს?

ამ ინიციატივებთან დაკავშირებით თავის აზრს გამოთქვამს საგარეო დაზვიარვის სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ევგენი ევსტაფიევი.

იგი აღნიშნავს: – „სასიხარულოა, რომ ამერიკის შეერთებუ-

ავიარული ინიციატივის „წყალქვეშა ქვეში“

ლი შტატების ადმინისტრაციამ, როგორც იქნა, ირიბად აღიარა, რასაც დიდი ხანია, საუბრობდნენ მოსკოვში: ამერიკის რაკეტ-სანიანალმდეგო თავდაცვას ევროპაში არავითარი დამოკიდებულება არ აქვს მესამე ქვეყნების სარაკეტო-ბირთვულ პროგრამებთან და უმთავრესად მიზნად ისახავს რუსეთის სტრატეგიული ძალების წინააღმდეგ მოქმედებას. მაგრამ უნდა აღინიშნოს რამდენიმე „წყალქვეშა ქვეში“, რომელთა შესახებაც ვაშინგტონის ადმინისტრაცია

ცდილობს, არაფერი თქვას“. ასეთი „ქვეშის“ დასახელები-სას გენერალი აღნიშნავს ნატოს გაფართოებას, საქართველოს მილიტარიზაციას, უკრაინის რეინაციფიკაციას და ა.შ. ერთგან კი ამბობს: – „წარმოიდგინეთ, თუ როგორ თავხედურად მოიქცეოდა ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ ოსეთში საქართველოს აგრესიის დროს, რომ დარწმუნებული არ ყოფილიყო რუსეთის ბირთვული შურისძიების ადეკვატურობასა და გარანტირებულობაში“.

მაიკლ ო'ჰენლონი, ბრუკინგსის ინსტიტუტის უფროსი მენეჯერი თანამგრობელი რუსეთის ყოველი მეექვსე ნაკომოდგენელი არ გამოიხსნას ომს უკრაინასთან ყირიმის გამო

რუსეთელების უმრავლესობას აუცილებლად მიაჩნია, დაცვას რუსების ინტერესები ყირიმში, აგრეთვე არ გამოირიცხავს ომს უკრაინასთან უახლოეს ხანებში ყირიმის გამო – ასეთი შედეგი აჩვენა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ, რომელიც ერთ-ერთმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ცენტრმა მოაწყო.

რუსეთელთა მესამედზე მეტი სხვადასხვა დროს ნამყოფია ყირიმში, მათ შორის, 26% საბჭოთა პერიოდში და 10% მას შემდეგ, რაც უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ყირიმი ყველაზე მეტად პოპულარულია 18-24 წლის ახალგაზრდებს შორის.

რუსეთის მოქალაქეთა 44% აუცილებლად მიიჩნევს, განხილულ იქნეს უკრაინასთან საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ყირიმი. მათი



უმრავლესობა პირველ რიგში აყენებს ყირიმში რუსების ინტერესების დაცვასაც, უკრაინ-

ნასთან ურთიერთობის შესაძლო გართულების მიუხედავადაც კი (73%).

მოსკოვი მოუნდა ავროპას, გადასინჯოს შეთანხმებანი უშიშროების შესახებ

რუსეთს მიაჩნია, რომ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დაწესდნენ ცივი ომის დროს, მაგალითად, ნატოს, არ შეუძლიათ თავი გაართვან დაძაბულობას მრავალპოლარულ მსოფლიოში.


ამის შესახებ განაცხადა ეუთოს მუდმივი საბჭოს სპეციალურ სესიაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ გლუშკომ. – „ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქვეყანას, დასხდნენ მოლაპარაკებათა მავიდასთან და შეიმუშაონ ახალი წესები. ეს შეიძლება გახდეს ჰელსინკის შეთანხმების დამატება, რომელიც დააკანონებდა ახალ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს“, – აღნიშნა მან.

ნანინას ნაკრები ქველგზია სსრ კავშირში

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი შეიძლება გვეწინააღმდეგებდეს საბჭოთა ეკონომისტი ნიკოლაი კონდრატიევის თეორიაზე დაყრდნობით. ლენინური ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპის) თეორეტიკოსმა ანალიზი გაუკეთა ეკონომიკის ისტორიას XVIII საუკუნის ბოლოდან და გამოავლინა მთელი რიგი ტენდენციები. კონდრატიევის თეორია აღწერს ამერიკის შეერთებული შტატების შესვლას საფინანსო კრიზისში, რომელმაც დასაბამი მისცა მსოფლიო ეკონომიკის დაცემას.

დღევანდელ მდგომარეობას მსოფლიოში, კონდრატიევის თეორიით, შეიძლება ვუნოდოთ ეკონომიკის „ზამთარი“, რაც შეიძლება გაჭიანურდეს 20 წელიწადს.

კონდრატიევი დაიბადა 1892 წელს, კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში, ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა კერენსკის მთავრობაში, იყო ლენინური ნეპის თეორეტიკოსი. დახვრიტეს 1938 წელს.



კონდრატიევის ეკონომიკური კონიუნქტურის დიდი ციკლები არის თეორია ამტკიცებს, რომ „ომები და რევოლუციები წარმოიქმნებიან რეალური და, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური პირობების ნიადაგზე... სამეურნეო ცხოვრების ტემპის ამაღლებისა და დაძაბულობის, ბაზრისა

და ნედლეულისათვის ეკონომიკური ბრძოლის გამწვავების ნიადაგზე... სოციალური რყევები ყველაზე იოლად წარმოიქმნება სწორედ ახალი სამეურნეო ძალების მძაფრი შემოტევის პერიოდში“. ეს დაინერა 1926 წელს. მაგრამ სოციალური მოუწყობლობა და მისი რაც შეიძლება ჩქა-

რა დაძაბულობის სწრაფვა ყველაზე მეტად უზიდავს ეკონომიკას ჩინისაკენ.

ამჟამად, კონდრატიევის მიმდევართა აზრით, შეიძლება ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ცუდი დრო ეკონომიკისათვის დაიწყო 2000 წელს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გაურკვეველობის დროს მოხდა საფინანსო ბაზრების დაცემა. შემდეგ მას მოჰყვა ბუშის წლის „სამემოდგომო“ ფაზა (სამხიელი დაცემა), რასაც ახლდა უზარმაზარი, როგორც კონდრატიევი იტყობა, საგარეო ვალის უიმედო ზრდა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ირწმუნა კონდრატიევის თეორია.

ამერიკული გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მიიჩნევს, რომ ამჟამინდელი მსოფლიო კრიზისი იწინასწარმეტყველა საბჭოთა ეკონომისტმა ნიკოლაი კონდრატიევმა XX საუკუნის 20-იან წლებში. ეკონომისტის აზრით, განვითარების ეკონომიკური ციკლები იცვლება ყოველ 50 წელიწადში.

ამერიკაში კრიზისი მკვინვარებს



ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირდა დაუსაქმებელთა რიცხვის, ანუ კრიზისის გავლენის გამო გათავისუფლებული სახლებისა და ბინების ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა. ამას უკვე მიყვარდა იქამდე, რომ ბევრ ქალაქში გარდა მთელი მიტოვებული კვარტალები. დღეისათვის დაცარიელებულია 20 მილიონზე მეტი სახლი.

ცარიელი სახლების ზრდის მთავარი მიზეზია დამქირავებელთა უსახსრობა, გადაიხა-

როგორც წესი, კრედიტთა შეძენილი.

დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირებულია მსოფლიოში ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი საცხოვრებელი ბინების კრედიტზე – 4,5% 30 წლის ვადით, 4,75% – 25 წლის ვადით.

ისეთი ქალაქები, როგორცაა დეტროიტი და დეიტონი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანგრძლივი ინდუსტრიული დაცემის მსხვერპლია. რაც შეეხება ლას-ვეგასსა და ატლანტას, დიდად დაზარალებულნი უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარე კრიზისის გამო. ბოსტონი და ნიუ-იორკი – ამ ქარიშხალში სიმშვიდის მცირე კუნძულებია, ჰონოლულუ კი უჩვენებს საუკეთესო დონეს ქვეყანაში დაუკავებელი ფართობით – 5,8% უძრავი საცხოვრებელი ფართობის ზონაში და სულ რაღაც 0,5% საიჯარო სექტორში.

დეტროიტმა და ლას-ვეგასმა ძალიან დაბალი დონე წარმოადგინა ორივე კატეგორიაში. პირველი – „მოტორების ქალაქი“ აჩვენებს 20%-იან დონეს საიჯარო საკუთრების შეუვსებლობაში და 4%-ს – საცხოვრებელში. მეორე – „ცოდვის ქალაქი“ კი ასეთი მაჩვენებლებით წარმოგვიდგება: 16% და 4%.

დონ იპოთეკური სესხები მაშინ, როდესაც მკვეთრად ეცემა ფასები ბინებზე. ამას აქვს ჯაჭვური რეაქციის ნიშნები: თუ რომელიმე რაიონში ბანკებმა ჩამოართვეს რამდენიმე სახლი იპოთეკური დავალიანების გამო ან ხალხი თავად ამბობს უარს კრედიტის დაფარვაზე, ფასი უძრავ ქონებაზე ამ რაიონში ავტომატურად მცირდება. შედეგად, დანარჩენი სახლთმფლობელებისთვისაც ეცემა საცხოვრებლის ფასი, რომელიც,

აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებს ეკონომიკური კოლაფსი ემუქრებათ

მსოფლიო ბანკის მეთაურმა რობერტ ზელიკმა ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნებს მოუწოდა ეკონომიკათა „გლობალური მხარდაჭერის“ ორგანიზაციისაკენ ევროკავშირის პატრონაჟით. უკანასკნელი კვირების განმავლობაში სახელმწიფოები ევროკავშირის აღმოსავლეთში მიმდებარე სიტუაციაში აღმოჩნდნენ, როდესაც სამრეწველო წარმოე-

ბის მკვეთრ დაცემასთან ერთად დაიწყო მათი ეროვნული ვალუტის გაუფასურება.

ზელიკი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებთან ერთად ცდილობს, დაეხმაროს რეგიონის ქვეყნებს ამჟამინდელი კრიზისის დაძლევაში. „მაგრამ ჩვენ გვჭირდება თანადგომა

ბრიუსელის მხრიდან, – აღნიშნავს იგი. – ევროპა გაერთიანდა 20 წლის წინათ და მოხდება ტრაგედია, თუ იგი კვლავ გაითიშება“. მაღალი თანამდებობის ბანკირი მიუთითებს, რომ ამჟამად მისი სტრუქტურა მუშაობს სპეციალური ფონდის შექმნაზე 25 მილიარდი დოლარის ოდენობით. ფონდი სესხებს ვაცემს სავაჭრო კაპიტალის სახით.

შეთანხმებას ბელორუსიისა და რუსეთის ფარდობითი ერთიანი პარკის ნაწილად თავდაცვის შესახებ ნახვარ წელიწადში შეიშუაშავენ

შეთანხმებას ბელორუსიისა და რუსეთის ერთიანი პარკის ნაწილად თავდაცვის სისტემის შექმნის შესახებ საბოლოოდ დაამუშავებენ ნახევარ წელიწადში, – განაცხადა რუსეთის ელჩმა მინსკში ალექსანდრ სურკოვმა.

„ესაა ჩარჩო ხელშეკრულება,

რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს მთელი რიგი დოკუმენტები მისი დეტალიზაციისათვის“, – თქვა მან. გადამწყვეტია სარდლის, სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის, სისტემაში შემავალი კონკრეტული ნაწილების საკითხები.

ლავენაკული კუბურის სახლი რუსმა იყიდა



რუსი მენარმე სიმან პოვარენკინი გახდა ახალი მფლობელი მამულისა, რომელიც ეკუთვნოდა განსვენებულ მოდელიერს ივ-სენ ლორანსა და მის პარტნიორს პიერ ბერჟეს. დიდი კუბური (ქალის ტანსაცმლის მკერავი) გარდაცვალების (2008 წლის ივნისი) შემდეგ სახლის გაყიდვის შესახებ განცხადება გააკეთეს.

ლავენაკული სახლი მფლობელობაში რომ გადმოსულიყო, ახალმა მემკვიდრემ 9,6 მილიონი ევრო გადაიხადა. სა-

კუთრება საფრანგეთის ჩრდილოეთში, ქალაქ დოვილის რაიონშია. ლორანი და ბერჟე მისი მფლობელები გახდნენ 1983 წელს. თავად ვილა „გაბრიელს“, რომელიც 1874 წელს არის აშენებული, აკრავს პარკი 30 ჰექტარის ფართობით. ტერიტორიის ორიგინალური ნაწილია უზარმაზარი საჭადრაკო დაფა, რომელიც შედგენილია მოხდენილად შეკრეჭილი ბურქებისაგან. ვილის ფართობია 800 კვადრატული მეტრი.

მოსკოვში ბინა 2,5 მილიარდად გაიყიდა

მოსკოვის ბინების ლირებულების აბსოლუტური რეკორდი შენობა ბიზნესმენმა დაამყარა. მან შეიდარტულიანი საცხოვრებელი ბინა ქალაქის ცენტრში ორნახევარ მილიარდ რუბლად შეიძინა.

რეკორდსმენი ბინა არის სახლი „ჩისტიე პრუდი“. მისი ფართობია 1300 კვადრატული მეტრი, იქ იხილავთ აუზს, მიწისქვეშა გარაჟს და ზამთრის ბაღს ბოლო სართულზე. შენობაში ხუთი ანალოგიური ბინაა, მეზობლად კი რამდენიმე ცალკე მდგარი სახლია.

ურჩხულაბის სურათი 7700 მეტრის სიღრმეზე გადაიღეს



მეცნიერებმა ინგლისის აბერდინის უნივერსიტეტიდან და ტოკიოს უნივერსიტეტიდან შეძლეს, ვიდეოფირზე გადაეღოთ ზღვის ბინადარნი მათი

ყოფის ბუნებრივ გარემოში – რეკორდულ 7700 მეტრის სიღრმეზე.

ფსევდოლიპარისების კლასის ზღვის ლორწოვანები ცხოვე-

რობენ 8 კილომეტრის სიღრმეზე და დროდადრო ხვდებიან იქტიოლოგების მახეში. ასეთ სიღრმეზე წყლის ტემპერატურა ახლოა 0 (ცელსიუსით) გრადუსთან, წნევა კი სასწაულებრივ დონეს – 800 ატმოსფეროს ტოლია. ბუნებრივია, რომ წყლიდან ამოყვანის დროს ეს თევზები „სკდებათ“, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და მკვლევარებს ნარჩენების სახით რჩებათ. მხოლოდ ამას წინათ შეძლო ინგლის-იაპონიის ექსპედიციამ გემ „ხაკუსომარუზე“, გადაეღო ვიდეოფირზე ცოცხალი ზღვის ლორწოვანების სარეკორდო სიღრმეზე – 7700 მეტრზე წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში.

გადაღებისათვის მკვლევარებმა შექმნეს ვიდეოკამერის

სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც უძლებდა უზარმაზარ წნევას. დანახარჯები ასმაგად ანაზღაურდა, როდესაც იქტიოლოგებმა დაინახეს არა ერთი, არამედ ზღვის ლორწოვანების მთელი გუნდი, თანაც – საკმაოდ დიდები (30 სმ სიდიდის). ჩვეულებრივად მიაჩნდათ, რომ ასეთი წნევისა და ტემპერატურის დროს ფსევდოლიპარისები ენევიან ნაკლებად აქტიურ ცალკე ცხოვრებას, ერთგვარად დახშულს, ეს ლორწოვანები კი ერთმანეთთან ინტენსიურ ვითარებაში არიან, იკრიბებიან ჯგუფებად და ზოგჯერ ავლენენ „მშობლები-შვილების“ მსგავს ურთიერთობას. ალბათ, იკვებებიან კრევეტის ტიპის პატარა ცხოველებით.

საქართველო

გსურთ, გაგვიჩიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირდით: 92-37-58, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მუხარებლის ნებართვის გასემა იოლდება

ამასთან დაკავშირებით ცვლილება „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონებში დეპუტატების პავლე კუბლაშვილისა და მურთაზ ზოდელავას ინიციატივით შედის.

კანონპროექტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას საჯარო ადმინისტრაციულ წარმომადგენელთან დაკავშირებული წესები აღარ გამოიყენება. კერძოდ, მშენებლობის ნებართვების

გამცემი ორგანი სამშენებლო მინისტრის განყოფილების პირობებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით დაადგენს. როგორც ამ საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა მურთაზ ზოდელავამ „ინტერპრესნიუსს“ განუმარტა, დღეს მოქმედი

კანონმდებლობით, მშენებლობის ნებართვის მიღება რიგ ბიუროკრატიულ მექანიზმებთან არის დაკავშირებული და პროცესი დაახლოებით ორი თვე გრძელდება ხოლმე.

მისივე განმარტებით, ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში, ნებართვები უფრო სწრაფად გაიცემა.

კანონპროექტის განხილვის პროცედურები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

ჯონდო ბალათურია „ქრისტიან-დემოკრატებს“ პლაგიატობაში ადანაშაულებს.

საქართველოში ბევრი აღმოჩნდა კიკაბიძე, მაგრამ არც ერთი — კამიკაძე!

საქართველოში ქარიშხლისწინა მყუდროება... როგორც მოსალოდნელი იყო, დეკემბრის მინისტრიალში — ეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის დახმარების ფინანსური საქართველოს კიდევ ერთხელ „გაუმასპინძლდნენ“ — სიტყვიერი დაპირებით, რომ მიიღებდნენ ნატოში სამომავლოდ, თუ მისი ხელისუფლება განახორციელებს დემოკრატიულ რეფორმებს და მიუახლოვდება ჩრდილოატლანტიკურ სტანდარტებს.

ამ მინისტრიალის შემდეგ ჩვენში დაიწყო „მინი-ისტერიალი“ მთავრობაში: უცებ შეცვალეს მრავალი მინისტრი, დიპლომატი და უშიშროების საბჭოს მდივანი, რამაც ავტომატურად გამოიწვია უამრავი გადადგომა ქვემდგომ რგოლებში (რითაც საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულად შეავსო ოპოზიციის რიგები). ამით შესაძლებელი გახდა დაძაბულობის დროებითი განმუხტვა — მოქალაქეების ყურადღება ოდნავ გადაიროთ მძიმე ფინანსური პრობლემებიდან, მაგრამ ბუფერულ ზონებში მუდმივი სისხლიანი ინციდენტები და 100000 ლტოლვილი სამხრეთ ოსეთიდან მალე შეიძლება გახდეს კოლოსალური სოციალური დაძაბულობის წყარო, შინაპოლიტიკური სიტუაცია საქართველოში უახლოეს პერიოდში კვლავ შესაძლოა დაიძაბოს და ამჯერად სააკაშვილს შეიძლება აღარ ეყოს რესურსები ოპოზიციური უმრავლესობის დასათრგუნავად.

თუმცა, არ მგონია, მოხდეს სამხედრო გადატრიალება (როგორც 1991 წელს, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე ტანკები პარლამენტის შენობისკენ ისროდნენ, სადაც იჯდა პრეზიდენტი გამსახურდია): დღეს საქართველოში აღარაა მოსკოვში მყოფი კიტოვანის ან ან განსვენებული იოსელიანის მსგავსი ფიგურები, პარლამენტში კი ამჟამად არის არა ზვიადი, არამედ მხოლოდ ხათუნა გოგორიშვილი — „ჩაუძირავი“ პირივნება, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს ხელისუფლების ყველა აფერაში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში.


ასევე არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლების შეცვლა შეიძლება მოხდეს პარლამენტისა და პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების გზით. მაგრამ ობამას ვეღარ მოატყუებ — ობამა გვერდს აუვლის სააკაშვილს და, ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი ხელისუფლებაში უკვე ველარასოდეს დაბრუნდება. მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთ-

ნალურ ომს, რის შემდეგაც საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნდებოდა ყოფილი პარტიულ-კომკავშირული ნომინალური ნაწილი, ამჟამადაც რომ სააკაშვილის წასვლა სწყურია.

ამიტომ სულაც არ გამიკვირდება, თუ თვალმისაწვდომ მომავალში საქართველოს პრეზიდენტი გახდეს დღევანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი (საფრანგეთის პრეზიდენტი ხომ გახდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი 2004-2006 წლებში სარკოზი?!). ამ ვარიანტს მე „ფრანგულს“ ვუნოვებ.

ხელისუფლებისაკენ მსწრაფი ყველა დანარჩენი „პარტიის“ ლიდერები კი — ეს ვაშინგტონში „კასტინგ“ და „სისხლის გადასხმას“ გავლილი ბატონები არიან, რომლებმაც საშინლად მოაბეზრეს თავი ქართულ საზოგადოებას. მათ შორის შეგვიძლია თვალის მოკვრათ, სულ ცოტა, ყოფილ პარლამენტარებს, როგორც მაქსიმუმ — ექს-პრემიერ-მინისტრს (დღეს ოფიციალურ მილიარდერ ნოლაიდელს) და პარლამენტის ექს-თავმჯდომარეს (ბურჯანაძეს). ყველა მათგანი სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს გამდიდრდა და კვლავ სურთ ხელისუფლებაში მოსვლა, რათა მომავალში საკუთარ კაპიტალს შეუქმნან საიმედო „კრიშა“, ისევე, როგორც მომავალ ხელისუფლებაში თავიანთ შთამომავლებსა და მახლობლებს. მათი ელექტორატი ღარიბია, ამიტომ არჩევნების წინ ისინი შეეცდებიან გაერთიანებას (როგორც უკვე გასულ კვირას უკვე გაერთიანდნენ უსუფაშვილის „რესპუბლიკელები“ და გამყრელიძის „ახალი მემარჯვენეები“).

საერთოდ კი, საინტერესოა: თუ ოდესმე საქართველოში მოხდება ლუსტრაცია და გამოაქვეყნებენ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი აგენტების სიას, გამოაქვეყნებენ კი განა საქართველოში უცხოეთის სახელმწიფოთა სპეცსამსახურების, მაგალითად, დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს — ცრუს დღემდე მოქმედი აგენტების სიას?! (სიტყვა „ცრუ“ ქართულად რასაც ნიშნავს, ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით); გახდება კი საზოგადოებისთვის ცნობილი ქვეყნის ყველა დამსახურებული ჯაშუშის სახელი, თუკი ლუსტრაციის შემდეგ (არ შეგვეშალოს ლუსტრაციაში) ისე „განათდება“, რომ გამოჩნდება ყველა სექსო-



ტი?! (სექსში არ შეგვეშალოს). განა არ აღმოჩნდება მათ შორის ზემოაღნიშნული „ოპოზიციის“ მთელი „ლიდერშიპი“?! აგრეთვე ზოგიერთი მინისტრი, მაგალითად — რეინტეგრაციის მინისტრი იაკობაშვილი, რომელმაც მოახდინა საქართველოს ტერიტორიის 20%-ის რეინტეგრაცია რუსეთის შემადგენლობაში? ამიტომ ხომ არ არის ის დღესაც თანამდებობაზე, ამდენი მინისტრის შეცვლის შემდეგ?!

მაგრამ ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა განიცდის არა მხოლოდ პატრიოტიზმისა და პროფესიონალიზმის დეფიციტს, არამედ სიმამაცის დეფიციტსაც! ნება მიბოძეთ, ვიკითხო: თუნდაც ერთი მათგანი გამოჩნდა გასული წლის აგვისტოს ტრაგედიის დროს საბრძოლო მოქმედებათა რაიონში? გამოიყვანა თუნდაც ერთი დაჭრილი, მიიღო ლტოლვილების თუნდაც ერთი ოჯახი?! არა მგონია, წინააღმდეგ შემთხვევაში ტელევიზია და გაზეთები აყვირდებოდნენ... რატომ არის, რომ ჩვენ — ქართველებს, აგვისტოს მოვლენების დროს არ აღმოგვაჩნდა არც ერთი კამიკაძე, რომელიც ტანკთან ერთად თავსაც აიფეთქებდა, მონაწილეობდა მის ჩავარდ-

ნოდა ხელში?! სამაგიეროდ, აღმოგვაჩნდა ბევრი „კიკაბიძე“, რომლებსაც შეუძლიათ ხამალაღი ტრაბახი ან სააკაშვილის ხელისუფლების კრიტიკა!

ვერ წარმოგიდგენია ცოცხალი ჩეჩენი, რომელსაც ომის დროს მონაწილეობდა მშვიდად ართმევს ახალ ტანკს...

და აი, პარადოქსი: თუ რუსს ჩეჩენი ისტორიულად არ უყვარს, მაგრამ პატივს სცემს მას, ქართველს დღეს, მართალია, პატივს არ სცემს, მაგრამ მაინც უყვარს!!! მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იგრძნო, რუსს, სულ ცოტა, პატივს უნდა სცემდე! ხომ არავინ შეცვლილა — არც ქართველები, არც რუსები, არც აფხაზები ოსებთან ერთად, ვისთან ერთადაც მაინც მოვიწვევს ცხოვრებას და ბუბა კიკაბიძეც არ უნდა შეიცვალოს მისი ნიჭის თავყანისმცემელი მილიონობით ადამიანის წარმოდგენაში: ის ცხოვრებაშიც უნდა დარჩეს თავისი უკუდავი კინოგმირების მსგავსი — იყოს კეთილშობილი და კეთილი მიმინო და არა პოლიტიკური „კონიუნქტურშიკი“!

არსო
სიღირსაპიშვილი

განაგებ რუსეთს თავი, შენ ან ომს წააგებ!

ის იმდენად სუსტი დაიბადა, რომ მშობლები ორი თვის განმავლობაში სახელს არ არქმევდნენ: ფიქრობდნენ, გოგონა ვერ იცოცხლებდა, მაგრამ მან არა თუ იცოცხლა, ბევრ გამოცდასაც გაუძლო და XX საუკუნის ცნობილი პიროვნებაც გახდა. ეს ვანგაა, ბერძნულად — „ღვთის ცნების მატარებელი“... მომავალი ნინასწარმეტყველი 1911 წელს ბულგარეთში, ლარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა. 3 წლისას დედა გარდაეცვალა. 12 წლისა ქარიშხლის ეპიცენტრში მოხვდა, სილის ნაკადმა მას თვალები დაუზიანა. ოჯახს სამკურნალო ფული არ შეეძლო. ასე დაბრმავდა ვანგა.

ბრმა გოგონას ზებუნებრივი მონაცემები თანდათან ვლინდებოდა, ერთხელ ის მამას ფარას მონყევით ცხვრის პოვნაში დაეხმარა. ვანგამ ზუსტად აღწერა ეზო, სადაც შეიძლება ყოფილიყო დაკარგული ცხვარი. გაცემულ გარემომყოფებს ვანგამ აუხსნა, რომ ეს ყველაფერი სიზმარში ნახა. ომის დაწყებამდე მას ასეთი ხილვა ქონდა: მან მალე თავად შეამჩნია, რომ არასასიამოვნო სიზმრები აუცილებლად რეალობად იქცეოდა. სრულად მისი შესაძლებლობები ომის დროს გამოვლინდა. ომის დაწყებამდე მას ასეთი ხილვა ქონდა: „ის (უცხო მხედარი) იყო მაღალი, ღვთაებრივად ლაზაზი, მეომრის ძველი ტანსაცმლით და მთვარის შუქზე ბრწყინავდა. მისი ცხენი თეთრ კუდს იქნევდა, მიწას ტორავდა. მან ცხენი გააჩერა, გადმოხტა და ბნელ ოთახში შევიდა, მისგან წამოსული ნათებით ყველაფერი დღესავით განათდა. შემობრუნდა და ხმადაბლა თქვა: — „მალე მსოფლიო შეტორტმანდება, ბევრი ხალხი დაიხოცება, ამ ადგილას შენ იდგები და მკვდრებსა და ცოცხლებს უწინასწარმეტყველებ. ნუ გეშინია! მე შენ გვერდით ვიქნები და ყველაფერს გატყვი, რაც მათ უნდა გადასცე“.

არავინ იცის, ვინ იყო ეს მხედარი. მაგრამ ადგილობრივი მცხოვრებნი თვლიდნენ, რომ იმ ადგილას, სადაც ვანგა ცხოვრობდა, ჩამარხული იყო მხედრის ოქროს ქანდაკება სრული (ნატურალური) ზომებით. ზოგი ფიქრობდა, რომ ეს იყო წმინდა კონსტანტინეს ქანდაკება, სხვათა აზრით კი, ეს ქანდაკება ფრიგიულ ლმერთს — ხეროსს ეკუთვნოდა. ასეა თუ ისე, ამ

ხილვის მერე ვანგა ნინასწარმეტყველი გახდა. — „როდესაც ჩემთან რომელიმე ადამიანი მოდის, მიჩნდება გრძნობა, რომ ჩემს თავში ფანჯარა იხსნება, რომლითაც თვალს ვადევნებ ამ ადამიანის ცხოვრებას, როგორც კინკაძრს. რაღაც „ხმა“ მეუბნება, რაც უნდა ვუთხრა მას“... ბულგარელი მეცნიერი გიორგი ლოზანოვი მეოთხედი საუკუნე აკვირდებოდა ვანგას და 700000 შემთხვევა აქვს აღწერილი, რომლებიც ახდა. ლოზანოვმა დაასკვნა, რომ ვანგას ნინასწარმეტყველებათა 80% გამართლებულია. ადოლფ ჰიტლერი პირადად ესტუმრა ვანგას და რუსეთთან ბრძოლის წინ რჩევა ჰკითხა. ნინასწარმეტყველმა მიახალა: — „განებე რუსეთს თავი, შენ ამ ომს წააგებ“. სიმართლის დასამტკიცებლად მან ადოლფის მცველები მეზობელ ქუჩაზე გააგზავნა, სადაც ფაშატი მშობიარობდა და ახალშობილი კვიცი გარეგნულად ზუსტად აღწერა. სტალინის გარდაცვალებამდე ნახევარი წლით ადრე ვანგამ ბელადის სიკვდილი იწინასწარმეტყველა, რისთვისაც ციხეში ჩასვეს. გაათავისუფლეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ამბავი მართლაც მოხდა. 1963 წელს ვანგამ თქვა, რომ აშშ-ის 35-ე პრეზიდენტს თავს დაესხმებოდნენ. თუ როგორ აუხდა მისი ნინასწარმეტყველება ჯონ კენედის ყველამ ვიცით. 1968 წელს სამი პოლიტიკური მოვლენა იწინასწარმეტყველა: ამბოხება ჩეხეთში, სენატორ რობერტ კენედის სასიკვდილო დაჭრა და არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის გამარჯვება. 1969 წელს იხილა ინდირა განდის სიკვდილი, 1979

წელს — ე.წ. „პერესტროიკა“ და სსრკ-ს დაშლა. ერთხელ თქვა, რომ კურსკი წყლის ქვეშ აღმოჩნდება და მსოფლიო მას დაიტრებდა. არავის სჯეროდა, რადგან ქალაქი წყლიდან შორს იყო. მაგრამ 2000 წლის აგვისტოში, ატომური წყალქვეშა ნავის ჩაძირვის შემდეგ, ყველა მიხვდა, რომელ კურსკზე იყო ლაპარაკი. ცნობილი ადამიანები ვანგას ხშირად მიმართავდნენ პირად პრობლემებზე. 1979 წელს მას ვიჩესლავ ტინოზოვი ესტუმრა. როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, ვანგამ დაუყვირა: — „რატომ არ შეასრულე შენი საუკეთესო მეგობრის სურვილი? მე იური გაგარინზე გუუბნები. უკანასკნელი გაფრენისას ის შენთან მოვიდა და გთხოვა: — მე დრო არა მაქვს, იყიდე მალედიარა ჩემს სახელზე, მაგიდაზე დაიდგი, რათა საათმა ჩემი თავი გაგახსენოს“. მსახიობზე ამ ნათქვამმა ისე ცუდად იმოქმედა, რომ ვალერიანის წვეთები დასჭირდა. მოგვიანებით დაადასტურა, რომ ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო, გაგარინის მოულოდნელმა სიკვდილმა კი ყველაფერი გადააიწყა. ვანგას პოეტი ევგენი ევტუშენკოც ესტუმრა. ნათელმხილველი მას უცერემონიოდ შეხვდა: — „რა მწერალი შენ ხარ, კასრის სუნად ყარხარ, ბევრი იცი და ბევრიც შეგიძლია, მაგრამ ამდენს რატომ სვამ და ეწევი?“. გასართობად ხშირად იხსენებენ ფეხბურთის ფანატების სურვილს. ისინი სთხოვდნენ ვანგას, ეწინასწარმეტყველა ბლაგოვეცკი რაღამე გამართული ფეხბურთის მატჩის შედეგი, სადაც გადაწყდებოდა, ბელასიცა დარჩებოდა თუ არა „ა“ კლასში. ვანგამ მათ სთხოვა, დიდი, ტორტი გამოეცხობთ და მისთვის მიეტანათ. მთელი ქალაქის კონდიტერების ლამისთვეთი გამომცხვარი ტორტი ვანგას მიართვეს. მან ხელი დაარტყა და ტორტი ზუსტად ორ თანაბარ ნაწილად (შუაზე) გაყო. მატჩი რამდენიმე საათის შემდეგ 0:0 ანგარიშით დამთავრდა. ერთხელ ვანგასთან უცნობი ქალი მივიდა და ჰკითხა: — „როგორ ვიცხოვრო ჩემი დის სიკვდილის შემდეგ, როცა მთელი სახსრები მის მკურნალობას დავახარჯე?“ ვანგამ იგი ყვირილით გააგდო: — „შენ ერთხელაც არ მისულხარ მის სანახავად, არაფრით დახმარებხარ. ახლა კი გინდა მისი შენახული ფული გააოვიწინო? არასოდეს გეტყვი, სად აქვს ფული შენახული“...

ერთ ახალგაზრდა კაცს ვანგამ უარი უთხრა მისი ძმის მკვლელის დასახელებაზე, რომელსაც ავადმყოფი ცოლი და სამი ობოლი დარჩა. უფრო მეტიც, ახალგაზრდას პირობა ჩამოართვა, რომ მკვლელებზე შურს არ იძიებდა. ახალგაზრდა შემდგომში ვანგას ქმარი გახდა. ეს ვანგამ მას პირველივე შეხვედრისთანავე უწინასწარმეტყველა. მაგრამ დიმიტრის ამის დაჯერება არ უნდოდა, რადგან არ სურდა, ცხოვრება დაეკავშირებინა ბრმა ქალისთვის. თანდათან ვიზიტები გახშირდა, დიმიტრის გუშტეროვს



ვანგა შეუყვარდა. ისინი შეუღლდნენ. შვილები არ ჰყავდათ და ქალვაჟი იშვილეს. უბადლო ნიჭის წყალობით ვანგა 100-200 წლის წინათ გარდაცვლილ ადამიანებს ეკონტაქტებოდა. მეცნიერები ამ მოვლენას მისი ნათელმხილველობის ყველაზე საიდუმლო აქტად მიიჩნევდნენ. 1981 წელს ვანგამ იწინასწარმეტყველა მრავალი დაავადების შესახებ: — „იყავით ყურადღებით! მალე ჩვენთან მოვა ახალი, უცნობი ავადმყოფობა. ადამიანები ქუჩაში დაცივდებიან ყოველგვარი ავადმყოფური სიმპტომის გარეშე. ყველაზე მძიმედ ისინი დაავადდებიან, ვისაც არასოდეს უავადმყოფია. შეიძლება ეს შევარჩეოთ, რადგან ეს შეგვიძლია“. მაშინ ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდით შიდსის, ატიპურ პნევმონიასა და ქათმის გრიპის შესახებ. ნათელმხილველმა იცოდა, რომ XXI საუკუნეში კაცობრიობა გრიპისაგან გათავისუფლდებოდა. სიმსივნის შესახებ ამბობდა: — „მოვა დღე, როცა კიბო რკინის ჯაჭვით შეიბოჭება“. ხსნიდა, რომ მის ნამალში ბევრი რკინა იქნებოდა. 1993 წელს ვანგამ იწინასწარმეტყველა, რომ სსრკ აღდგებოდა XXI საუკუნის პირველ მეოთხედში. ხოლო სიკვდილამდე ცოცხალი ადრე თქვა: — „მოვა საოცრებების დრო, ბევრი აღმოჩენითა და არამატერიალური განხრით. ჩვენ მოწმენი გავხდებით უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენებისა, რაც სამყაროზე ჩვენს შეხედულებებს ძირფესვიანად შეცვლის. მთელი დაფარული ოქრო ზედაპირზე ამოვა, მაგრამ წყალი წავა. ასეა გადაწყვეტილი“ ის აგრეთვე ამბობდა: „200 წლის შემდეგ ჩვენს შთამომავლობას ექნება შესაძლებლობა, კონტაქტი დაამყაროს სხვა პლანეტებიდან მოსულ ძმებთან“. ვანგას თქმით, სხვა სამყაროდან მოსულები უკვე დიდი ხანია, ცხოვრობენ დედამიწაზე. ისინი მოფრინავენ პლანეტებიდან, რომელსაც თავად ვამფიმს ეძახიან, ეს არის დედამიწიდან მე-3 პლანეტა. მეცნიერთა აზრით, ვანგას მოღვაწეობის 55 წლის მანძილზე მასთან მილიონობით ადამიანი მივიდა. აღებული ფულით მან ააშენა წმინდა პეტრეს სახელობის მართლმადიდებლური ტაძარი. მაგრამ მისი დამოკიდებულება ეკლესიასთან დაძაბული რჩებოდა, რადგან წმინდა მამები არ ცნობდნენ ნინასწარმეტყველებს. ვანგა თავს თვლიდა მართლმადიდებელ მორწმუნედ, მაგრამ სულაც არ ყოფილა ასეთი. ასე მიიჩნევდნენ რუსული საეკლესიო მოღვაწეები. რაკილა ის აღიარებდა რეინკარნაციას, ე.ი. იყო წარმართი. მიუხედავად ყველაფრისა, ვანგა რელიგიური იყო, აღნიშნავდა საეკლესიო თარიღებს

და იცავდა მარხვას. დაავადებული იყო პროგრესირებადი ონკოდაავადებით. 1996 წლის 10 აგვისტოს, შუალამისას, ექიმებმა დააფიქსირეს მდგომარეობის გაუმჯობესება. ახლობელი ნათესავის გადმოცემით, ბებია მითითოვა ჭიქა წყალი და პური. შემდეგ ბანაობა მოიხურვა. — „აი, ახლა წესრიგში ვარ“, — განაცხადა მან. დილის 9 საათზე მოყვა თუ როგორ მივიდნენ მასთან გარდაცვლილი წინაპრების სულელები. 10 საათზე კი პლანეტის ყველაზე ინფორმირებულმა ბებია, როგორც მას პრესაში უწოდებდნენ, სული განუტევა. ვანგას გარდაცვალებიდან 10 წელზე მეტი გავიდა. ანომალიური მოვლენების რუსი სპეციალისტები დღემდე ეძებენ მის ნინასწარმეტყველებაში ახალ აზრებს. — „საშინელება! საშინელება!“ ამერიკელი ძმები ეცემიან რკინის ჩიტების შეჯახებით. მგლები ბურქებიდან გამოდიან და უდანაშაულო ადამიანთა სისხლი იღვრება“. — ეს ვანგამ 1984 წელს თქვა. 2001 წელს ტერორისტთა რკინის ჩიტები მსოფლიოს სავაჭრო ცენტრს დაეჯახა. ვანგას თქმით, „ჩვენ მოწმენი გავხდებით საბედისწერო მოვლენების“. ორმა დიდმა ხელმძღვანელმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვა (გულისსმობა გორბაჩოვსა და რეიგანს), მაგრამ დრო გაივლის, სანამ მერვე არ მოვა. იგი პლანეტის საბოლოო მშვიდობას მოაწერს ხელს (იანვარი, 1988 წ.). მისი სიტყვები უკვე ახდა „მე-8“-თან დაკავშირებით (რუსეთმა შეავსო დიდი შვიდეული). ელცინის პრეზიდენტობისას ვანგა უკვე საუბრობდა შემცვლელზე და ხაზს უსვამდა, რომ იქნებოდა მოულოდნელი ფიგურა. — „ყველაფერი ცინულივით ტყდება, მხოლოდ ერთია ხელუხლებელი — ვლადიმირის დიდება — რუსეთის დიდება, ყველაფერს განმეცდს გზაზე, შეინარჩუნებს არა მარტო თავის თავს, არამედ ხდება მსოფლიოს მბრძანებელი“ (1979 წ.), — ეს ფრაზა ნათქვამია საბჭოთა პერიოდში, როდესაც სიტყვა რუსეთს იშვიათად წარმოთქვამენ. — „კოსმოსში იპოვიან სიცოცხლეს, რითაც ახსნიან, როგორ წარმოიშვა სიცოცხლე დედამიწაზე“... ჯერ კიდევ არ გამოუცვნიათ სიცოცხლის წარმოშობის გამოცანა, მისი ახსნა მარსზეც ვერ მოხერხდა, თუმცა ძებნა გრძელდება. ვანგას ერთ-ერთი უკანასკნელი ნინასწარმეტყველებით: — „რუსეთი კვლავ გახდება დიდი იმპერია, უპირველესად, სულიერების ეკლესია“...



ტიტანიკის ჩაძირვა რეპორტიორმა ინინასნარკმეტყველა

ფანტასტიკურ ჟანრში მოღვაწე დიდი ფრანგი მწერლის ჟიულ ვერნის თხზულებანი სხვა არაფერია, თუ არა წინასწარმეტყველება მეცნიერების განვითარების შესახებ. ვერნის გმირებმა გამოიგონეს ელექტრობა, ტელეფონი, ტელევიზორი, რადიოკავშირი, წყალქვეშა ნავი და მთვარეზე გასაფრენი აპარატი. საოცარი კი ის იყო, რომ მწერლის მიერ "ალნერილი" სიუჟეტები საოცრად ემთხვევა დღევანდელ ტექნიკურ მიღწევებს. კერძოდ, ვერნს კოსმონავტიკისა და საფრენი აპარატის ასაფრენ ადგილად ამერიკის შეერთებული შტატების ფლორიდის შტატში მდებარე კონავერალის კონცხი აქვს დაფიქსირებული, საიდანაც ამერიკული "მათლები" კოსმოსში დაფრინავენ. მწერალი თავის გმირებს უწონადობასაც განაცდევინებს. პერსონაჟები გარს უვლიან მთვარეს და ვულკანის ამოფრქვევასაც აფიქსირებენ.

მოსული გემი "ტიტანიკი" ატლანტიკაში ჩაიძირა. ანალიზისთვის შემოგთავაზებთ მწერლის ფანტაზიასა და ნამდვილად მომხდარი ფაქტის მონაცემებს. თუ რამდენად იდენტურია მსგავსება ფანტაზიასა და რეალობას შორის. ძვირფასო მკითხველო დასკვნის გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია:

ამგვარ დამთხვევებზე საუბარს ხშირად სიგიჟეს ვეძახით. შემოქმედ ადამიანებს ნამდვილად აქვთ ნათელხილვის ნიჭი, რაშიც მათ გაფაქიზებული ინტუიცია, ალლოსთან შენივთებული ინტელექტი, მდიდარი ფანტაზია, შექმნისა და წარმოსახვის უნარი ეხმარებათ. ვალტერ

მკარნახობს ვილაც გვერდიდან. მენდელსონს მელოდიებს საფლავიდან კარნახობდნენ, ამას ის მთელი დამაჯერებლობით ამტკიცებდა.

ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთ "ტიტანიკა ვლასტ" №21-ში გამოქვეყნდა ფანტასტიკის ჟანრში შექმნილი მრავალი რომანის ავტორის, მწერალ ართურ კლარკის წინასწარმეტყველება "3001 წლის უკანასკნელი ოდისეა". მისი თქმით, მომავალში კაცობრიობას აღარ დასჭირდება სკოლა. ადამიანებს ექნებათ სპეციალური ქუდი შიგ ჩამონტაჟებული კომპიუტერით, რომლითაც მიიღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. მეცნიერება იპოვის ყველა ემოციას და ნაშლის იმ გრძნობას, რომლის განცდა არ სურთ. მომავალი კაცობრიობა გიგანტურ ორბიტულ სადგურებზე იცხოვრებს, რომელიც პლანეტასთან დაკავშირებული იქნება ამწვე-დამწვევი მოწყობილობით. ხორცის ჭამაზე ყველა უარს იტყვის, კაცობრიობა ვეგეტარიანელი გახდება. ადამიანები შეძლებენ წარსულში მოგზაურობას, სურვილის შემთხვევაში იხილავენ II მსოფლიო ომს, საკუთარი მშობლების ქორწილს. ექნებათ ღმერთის რწმენა. რელიგიური ორგანიზაციები აღარ იარსებებს, ყველას თავის გულში ექნება ტაძარი.

დღეს გამუდმებით საუბრობენ უცხოპლანეტელებზე. ჩანს რომ ესეც პარალელური მომენტია სამყაროს განვითარებისა. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ფრანცისკანელი ბერი, ასტროლოგი და წინასწარმეტყველი რენო ნერო წერდა, რომ XXI საუკუნეში ადამიანებს შემოესევათ ჯუჯები, რომელთაც თავი ტანთან შედარებით უფრო დიდი ექნებათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ რენო ნეროს არა ერთი პროგნოზი აცხადდა, როგორცაა: ატომური აფეთქებები, წინასწარმეტყველება რომის პაპიოანე-პავლეზე, სტალინზე, ჩერნობილის აფეთქებაზე, შიდსზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამყაროში ყველა მოსალოდნელ მოვლენაზე არსებობს წინასწარი ინფორმაცია, რომლის მცირე ნაკადი ადამიანთა გონებას ზედაპირულად სწვდება. ობიექტული ამ ინფორმაციას ილუზიად მიიჩნევს, მორწმუნე – სასწაულად, სკეპტიკოსი-დამთხვევად.

გვერდები მოამზადა
ლალი შაშიაშვილმა

მწერლის ფანტაზია – 1892 წ.

1. გემი "ტიტანიკი";
2. ბრიტანული ბაირალი;
3. აპრილის ღამე;
4. წყალწყვა – 70000;
5. სიგრძე – 260;
6. მაქსიმალური სიჩქარე – 25 კვანძი;
7. მგზავრთა რაოდ. – 3000 კაცი;
8. სამაშველო ნაგები – 24;
9. შეჯახება მარჯვენა მხრიდან;
10. ტრაგედიის ადგილი – ატლანტიკის ოკეანე;
11. კატასტროფის მიზეზი – აისბერგი;


ნამდვილი ამბავი – 1912 წ.

1. გემი "ტიტანიკი";
2. ბრიტანული ბაირალი;
3. აპრილი;
4. წყალწყვა – 66000;
5. სიგრძე – 268;
6. მაქსიმალური სიჩქარე – 25 კვანძი;
7. მგზავრთა რაოდ. – 3000 კაცი;
8. სამაშველო ნაგები – 20;
9. შეჯახება მარჯვენა მხრიდან;
10. ტრაგედიის ადგილი – ატლანტიკის ოკეანე;
11. კატასტროფის მიზეზი – აისბერგი.



– 1898 წელს ყოფილმა მეზღვაურმა, ჟურნალ "თაიმის" რეპორტიორმა მორგან რობერტსონმა შეთხზა ამბავი, რომელიც მხოლოდ მისი ფანტაზიისა და შემოქმედებითი შთაგონების ნაყოფი გახლდათ. სიუჟეტი ასე ვითარდება: გემი "ტიტანიკი" ჩაიძირა აისბერგის დაჯახების შედეგად ჩრდილოეთ ატლანტიკაში. მას შემდეგ 14 წელი გავიდა და სინამდვილეში საუთჰემპტონიდან გა-

არანაკლებ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ "ტიტანიკის" დაღუპვამდე ორი საათით ადრე მასზე მყოფმა მესამე კლასის მგზავრმა იუჯინ დეილმა მოულოდნელად ფორტეპიანოზე ირლანდიური სამგლოვიარო სიმღერა დაუკრა. რა იყო ეს?.. რატომ – სამგლოვიარო?! ამის შემდეგ ლაინერი 3000 მგზავრით აისბერგს შეეჯახა და ოკეანის ფსკერზე აღმოჩნდა.



სკოტსა და ედგარ პოს მრავალი წინის სიუჟეტს ხილვებში კარნახობდნენ, სტივენსონს მისი განთქმული მოთხრობის "დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის უცნაური ამბავი" უცნობმა ხმამ უამბო. ნილ ბორმა ძილში აღმოაჩინა ატომის მოდელი, კარდ გაუსმა კი – ინდუქციის კანონი. პოფმანი მეგობრებს ეუბნებოდა: – მე ვმუშაობ თვალდახუჭული, ავსახავ იმას, რასაც

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს სამი რეკომენდაციით მიმართავს.

როგორც სოზარ სუბარმა განაცხადა, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად და-

ზარალებული მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, მოსავლის აღებამდე ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ე.წ. ბუფერული ზონის სოფლების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის სუბსიდირება;

შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეაფასებს ამ სოფლების სოციალურ მდგომარეობას და ბანკების წინაშე უზრუნველყოფს შიდა ქართლში ომისგან დაზარალებულ მცხოვრებთა საკრედიტო ვალდებულებების დაფარვას.

"ჩვენ ვიმყოფებით კონფლიქტის რეგიონში. ერთ კვირაზე მეტია, გათიშულია ფრონესპირა სოფლებში ელექტროენერჯია. ჩვენი ჩასვლისას ჩაურთეს, თუმცა წამოსვლის შემდეგ მეორე დღეს ისევ გაუთიშეს. ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს ან გარკვეული ლიმიტი დაანესოს ხელისუფლებამ და ელექტროენერჯის საფასური უნდა დაუფაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან", – განაცხადა სუბარმა.

ლექსო ლეკიაშვილი:

ასაკი არ გქონდა, თორემ მსოფლიო პერსონალს გაიგებდა, ვინ არის ობამა

არც ისე მდიდარ ქართულ ტელევიზორებს ახალი იუმორისტული პროექტი „ტელეკომიკი“ შეემატა. ტელეკომპანია „იმედი“ დილის ეთერს ახალგაზრდა იუმორისტების სკეტჩებით, გადაკეთებული ანდაზებითა და სასაცილო ისტორიებით იწყებს. პოლიტიკისგან გადატვირთული მაყურებლები, როგორც ჩანს, აქტიურად უყურებენ ამ გადაცემას, რაზეც შემოსული ზარების რაოდენობაც მიუთითებს. პროექტს კონკურსის სახე აქვს და გამარჯვებული ესემესით ირჩევა. ვესაუბრებით კონკურსის მონაწილეს და პირველი კვირის ფავორიტს — ლექსო ლეკიაშვილს.

– ლექსო, რამ გადაგანწყვტინა „ტელეკომიკი“ მონაწილეობის მიღება?
– ბავშვობიდან ამაზე ვოცნიერობდი. ვიცოდი, ოდესმე ჩატარდებოდა და მეც მივიღებდი მონაწილეობას. საერთოდ, ნიჭიერი დავიბადე. თუმცა, ჩემი დაბადება სხვა რამითაც გამოირჩეოდა. სამშობიაროში ექიმმა რომ დამინახა, სიცოცხლისგან ჩაბჭირდა და სამსახურიდან გააგდეს.
– რა აცინებდა?
– მე რო დამინახა...
– და რა გჭირდა ასეთი? ვუბი გოლდბერგს ჰგავდი?
– არა, კაცო! ექიმზე დიდი ვიყავი უკვე.
– რაზე გეცინება ხოლმე?
– ყველაფერზე. ოღონდ, მართლა.
– ჩოჩივმა რო უღვაში გაიპარსა, მაგაზეც გაგეცინა?
– ჩოჩივზე არა, მაგრამ მამაჩემმა რომ გაიპარსა, მაგაზე კი ვიცინე. ისე ვგავარ მამაჩემს, რო ვერ გავიგე, მე ვიპარსავდი თუ ის.

– ქართველ მომღერლებზე არ გეცინება ხოლმე?
– აღარ, ადრე მეცინებოდა. ახლა ცრემლები მერევა უკვე. დაახლოებით ისეა, როგორც „კავკასიელი ტყვე ქალში“, გიყვებს რომ ეუბნება შურიკა, გავიქცეთო. გახსოვს, რას ეუბნებიან? „გრემო სმეიატსა ნად ბოლნიმი ლუდმი“. აბა, ამის მერე როგორ უნდა გაცივოს ქართველ მომღერლებზე?
– მაგ ლოგიკით, ქართველ პოლიტიკოსებზე სულაც ლოყებს უნდა იხოკავდე.
– არა, ეგენი უფრო სასაცილოები არიან. განსაკუთრებით მაშინ, სერიოზული სახით რომ ამბობენ ხოლმე რაღაცებს. ამასწინათ იყო სიუჟეტი: ვის რა საჩუქარი მიუღია ცხოვრებაში და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა რა თქვა, იცი? ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც კი მიმიღია, იყო სათესლე მასალა. აბა, მოდი და ნუ გაგეცინება.
– სოფლის მეურნეობის მინისტრია და ეპატიება „პროფესიული“ სისუსტეები.

– კაცო, ეგ რა შუაშია? თავდაცვის მინისტრს კასეტური ბომბი რომ ჩამოუგდო ეზოში, „პროფესიული“ საჩუქარი იქნება?
– ისე ამბობ, რომ, მგონი, თავდაცვის მინისტრზეც იცი რაღაც...
– მინისტრზე არა, მაგრამ მისი სფეროდან ერთ ანეგდოტს გეტყვი:
„ჩინელი მხედართმთავარ ჯიუანგის საომარი ხრიკი ასე მთავრდება: „და ბოლოს, მცირე 7-8 მილიონიან ჯგუფებად ვიხვეთ უკან.“
– ჩინეთს სანამ მაგ საკითხში დავეწვით, გადმოვინაცვლოთ ჩვენს ქვეყანაში. წარმოშობით კახელი ხარ, ქიზიყელი. კახელებზე თუ ყველა ანეგდოტებს და როგორია მათი რეაქცია, ხომ არ სწყინთ?
– ანეგდოტი კეთილი ხუმრობაა და რატომ უნდა ეწყინოთ? აი, ახლაც მოგყვები ერთ-ერთს:
„კახელი ამანათით „ლიმონკას“ აგ ზაენის წერილის თანხლებით: – მამი, მაგ რგოლს თუ გამოსწვე, ორი კვირით სახლში გამომიშვებენ.“
– რომელი კუთხის იუმორია შენთვის საინტერესო?
– სამხრეთ-აღმოსავლეთის.
– კახურ იუმორს არ იყენებ კონკურსზე? ამბობენ, ჭრისო და...

– კიიი, კაცო! პირველ გამოსვლაზე კახელის მონოლოგი წარმოვადგინე და „კაკრაზი“ იმ დღეს მქონდა რეიტინგი 85%.
– კიდევ კარგი, პრეზიდენტობაზე არ იყრი კენჭს, თორემ ხომ ჩავარდებოდა ალასანას კანდიდატურა.
– ალასანია კი არა, ასაკი არ მქონდა, თორემ მსოფლიო ვერასდროს გაიგებდა, ვინ არის ბარაკ ობამა.
– რას გადარჩა ამერიკა? აფროამერიკელის ნაცვლად კაბოქიზიყელი რომ შერჩებოდა ხელში? ისე, მოქმედ პოლიტიკოსებზე რამე ცხელ-ცხელი ანეგდოტი არ იცი?
– რამდენიც გინდა. აი, მაგალითად:
– რატომ არ არსებობს ხუმრობები მიხეილ სააკაშვილზე?
– მისი გარემოცვა მათ სასაცილოდ ვერ აღიქვამს.
– დანარჩენი მოსახლეობა?
– დანარჩენი მოსახლეობა მათ ხუმრობად ვერ აღიქვამს!
– ქართველი იუმორისტებიდან ვინ მოგწონს, ან მოგწონს, საერთოდ, ვინმე?
– საერთოდ ქართველებს მსახიობები უფრო მეტი გვყავს, ვიდრე – იუმორისტები. მათ შორის, ისინიც მსახიობები არიან, ვისაც თავი იუმორისტი ჰგონია. ძალიან მომწონდა სტუდია „მაესტროს“ იუმორისტული სკეტჩები იმიტომ,

რომ ბუნებრივად ხდებოდა ყველაფერი, იუმორიც დახვეწილი იყო. რუსებიდან: ზადორნოვი, პეტროსიანი, სტეპანენკო, ბონდარენკო, ძმები პონომარენკოები... პრინციპში, არც ერთი არაა რუსი, თუმცა, რუსულად ხუმრობენ ყველანი.
– მოდი, შენს მეორე, უფრო სწორად, პირველ პროფესიას მივადგეთ. ლექსებში თუ იყენებ იუმორს?
– მაშ?! ამ უბედურმა ქართველმა პოეტებმა ჩემამდე იმდენი წერეს ცრემლებზე, დარდა და მწუხარებაზე, რომ ბაზარზე ადგილი აღარ დარჩა. მეც შედარებით თავისუფალი ნიშა დავიკავე. ასე რომ, იუმორისტულ პოეზიაში თითქმის კონკურენტის გარეშე ვარ.
– მერედა, „ტელეკომიკი“ მონაწილეობას არ გეჩივიან, ჩაგეტარებინა იუმორისტული ლექსების კონკურსი; ფიურშიც შენ იქნებოდი, მაყურებელიც და მონაწილე ხომ – თავისთავად.
– პრიზს ვინ მომცემდა მერე?
– პრიზსაც შენ თვითონ დაინიშნავდი, რა პრობლემაა?
– პრიზის ფული რო მქონოდა, რა მინდოდა იუმორში...
– კონკურენტები ძლიერები არიან?
– ჯერ ახლა დაიწყო პროექტი და არ გამოკვეთილა. ვნახოთ. ყველაფერი წინაა.

ესაუბრა
ბობა სხირტლაძე



ჩაკლაიისათვის დაკავით: 92 37 58

გაზეთი სემკმლვანალოზს თავისუფალი პრესის პრინციპებით გამოცემული ტარიელ გაბანიძე თბილისი, ტაბიძის ქ. 23, ტელ.: 92 37 58 მკითხველთა კორესპონდენცია მიიღება ელექტრონულ მისამართებზე: info@geworld.net; geworld@mail.ru